

კახაბერ ტიშინაძე

აბრეშული სეზონის ეკონომიკა



წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს - აგრარულ სექტორს. მასში თანამედროვე სამამულო და უცხოური ლიტერატურის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე თანმიმდევრულადაა განხილული აგრარული სექტორის ეკონომიკის საკითხები.

იგი განკუთვნილია აგრარული სექტორის საბაზო კურსით დაინტერესებული მკითხველისთვის და გათვლილია ორ სასწავლო კრედიტზე (15 ლექცია, 15 სემინარი).

რედაქტორი: საქართველოს სოფლის მეურნეობის
აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ნოდარ ჭითანავა

რეცენზენტები: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
ევგენი ბარათაშვილი

• ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ომარ ვაშაკიძე

ISBN 99940-0-383-6

© კ. ციშინტია

შინაარსი	3
Contents	4
Содержание	6
წინასიტყვაობა	7
სტრუქტურისთვის	8

თემა 1. აგრარული სექტორის ეკონომიკის საგანი აგრარული წარმოების თავისებურებანი 11

1.1. აგრარული სექტორის ეკონომიკის საგანი	11
1.2. აგრარული წარმოების თავისებურებანი	12
1.3. ფერმერული პრობლემები გრძელვადიან პერიოდში	13
1.4. ფერმერული პრობლემები მოკლევადიან პერიოდში	14
1.5. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების პარიტეტის პრობლემა	16
1.6. აგრარული წარმოების ტიპები და გეოგრაფიული ზონები	16

თემა 2. საქართველოს აგრარული სექტორი 19

2.1. საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ზოგადი პარამეტრები	19
2.2. საბაზო მანქნებელთა (სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის) დინამიკა	21
2.3. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება საქართველოში და მის რეგიონებში	26
2.4. სასურსათო უსაფრთხოების პარამეტრები	30

თემა 3. ფორმის ქცევის მოდელები. მუერნობრიობის ფორმები აგრარულ სექტორში 35

3.1. ფორმის ეკონომიკური შინაარსი. მისი ზოგადი პარამეტრები	35
3.2. საწარმოო ფუნქცია. აგრარული წარმოების წონასწორობა	37
3.3. ფორმის ქცევის მოდელი სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე	42
3.4. ფორმის ქცევის მოდელი არასრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე	44
3.5. მუერნობრიობის ფორმები აგრარულ სექტორში	45

თემა 4. აგრარული სექტორი და წარმოების ფაქტორთა ბაზრები 52

4.1. რესურსებზე მოთხოვნა და მიწოდება სხვადასხვა სტრუქტურის ბაზრებზე	52
4.2. მიწის ბაზარი	55
4.3. ეკონომიკური რენტა	57
4.4. მიწის რენტა და მიწის ფასი	58
4.5. სასოფლო-სამეურნეო მიწის არენდა	60
4.6. შრომის ბაზარი	61
4.7. კაპიტალის ბაზარი	62


თემა 5. აგროსამრეწველო კომპლექსი 64

5.1. აგროსამრეწველო კომპლექსის არსი. მისი ფორმირების წინამძღვრები	64
5.2. ინტეგრაცია და კოოპერაცია: არსი, ფორმები	65
5.3. აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურა	66
5.4. სასურსათო და არასასურსათო ქვეკომპლექსები	68
5.5. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურა	68

თემა 6. აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირება 70

6.1. სახელმწიფოებრივი რეგულირების არსი	70
6.2. აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების ობიექტური სახითა	71
6.3. აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზნები	

CPEOT



გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.....	72
6.4. აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდები.....	73
გამოფენვული ლიტერატურა.....	88

Contents

Foreword	7
For students	8
Theme 1. A subject of " Economics of Agrarian Sector ". Features of Agrarian Manufacture	11
1.1. Subject of " Economics of Agrarian Sector "	11
1.2. Features of Agrarian Manufacture	12
1.3. Farmer problems during the long-term period	13
1.4. Farmer problems during the short-term period	14
1.5. Problem of parity of the prices for agricultural production	16
1.6. Types of Agrarian Manufacture and Geographical Zones.....	16
Theme 2. Agrarian Sector of Georgia	19
2.1. The general parameters of development of Agrarian Sector of Georgia	19
2.2. Dynamics of base parameters (agricultural land, cattle)	21
2.3. Manufacture of principle agricultural production in Georgia and in its regions	26
2.4. Parameters of Food Safety	30
Theme 3. Models of Behaviour of Firm. Farm forms in Agrarian Sector	35
3.1. Economic contents of firm. Its general parameters	35
3.2. Production function. Balance of Agrarian Manufacture	37
3.3. Model of behaviour of firm in perfect competition market	42
3.4. Model of behaviour of firm in imperfect competition marke	44
3.5. Farm forms in Agrarian Sector	45
Theme 4. Agrarian sector and the markets of production factors	52
4.1. Requirement on resources and delivery to the markets of different structures	52
4.2. Land Market	55
4.3. Economic Rent	57
4.4. Rent on a land and its price	58
4.5. Rent of an agricultural land	60
4.6. Labour Market	61
4.7. Market of the Capital	62
Theme 5. Agriculture	64
5.1. Concept of agriculture. Preconditions of its formation	64
5.2. Integration and cooperation: concept, forms	65
5.3. Structure of Agriculture	66

5.4. Food and not food subcomplexes	68
5.5. Structure of Agriculture of Georgia	68
Theme 6. State regulation of Agrarian Sector	70
6.1. Concept of State Regulation	70
6.2. Objective character of State Regulation of Agrarian Sector	71
6.3. The reasons of state regulation of Agrarian Sector in the countries with developing economy	72
6.4. Methods of State Regulation of Agrarian Sector	73
References	88

Содержание

Предисловие	7
Для студентов	8
Тема 1. Предмет „Экономика Аграрного Сектора“. Особенности аграрного производства	11
1.1. Предмет „Экономика Аграрного Сектора“	11
1.2. Особенности аграрного производства	12
1.3. Фермерские проблемы в долгосрочном периоде	13
1.4. Фермерские проблемы в краткосрочном периоде	14
1.5. Проблема паритетности цен на сельскохозяйственную продукцию	16
1.6. Типы и географические зоны аграрного производства	16
Тема 2. Аграрный сектор Грузии	19
2.1. Общие параметры развития аграрного сектора Грузии	19
2.2. Динамика базовых (с.х.угодий, с.х. скота) показателей	21
2.3. Производство основных видов сельскохозяйственной продукции в Грузии и её регионах	26
2.4. Параметры продовольственной безопасности	30
Тема 3. Модели поведения фирмы. Формы хозяйствования в аграрном секторе	35
3.1. Экономическая сущность фирмы. Её общие параметры	35
3.2. Производственная функция. Равновесие аграрного производства	37
3.3. Модель поведения фирмы на рынке совершенной конкуренции	42
3.4. Модель поведения фирмы на рынке несовершенной конкуренции	44
3.5. Формы хозяйствования в аграрном секторе	45
Тема 4. Аграрный сектор и рынки факторов производства	52
4.1. Спрос и предложение ресурсов на рынках разной структуры	52
4.2. Рынок земли	55
4.3. Экономическая рента	57
4.4. Земельная рента и цена земли	58
4.5. Аренда сельскохозяйственной земли	60
4.6. Рынок труда	61
4.7. Рынок капитала	62

Тема 5. Агропромышленный комплекс	64
5.1. Сущность агропромышленного комплекса. Предпосылки его формирования	64
5.2. Интеграция и кооперация: сущность, формы	65
5.3. Структура агропромышленного комплекса	66
5.4. Продовольственные и непродовольственные подкомплексы	68
5.5. Структура агропромышленного комплекса Грузии	68
Тема 6. Государственное регулирование аграрного сектора	70
6.1. Сущность государственного регулирования	70
6.2. Объективный характер государственного регулирования аграрного сектора	71
6.3. Причины государственного регулирования аграрного сектора в странах переходной экономики	72
6.4. Методы государственного регулирования аграрного сектора	73
Литература	88

წინასიტყვაობა

აგრარული სექტორი (სოფლის მეურნეობა) ეროვნული ეკონომიკის განსაკუთრებული მნიშვნელობის დარგია, რომლის განვითარებაც განაპირობებს მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხს. ამ სექტორში მიმდინარე მოვლენების თავისებურებათა შესწავლას კი არსებითი როლი ენიჭება ეკონომიკის ბაკალავრის მომზადების სისტემაში, რამდენადაც კონკრეტული დარგის ტერიტორიაში განაგრძობს სტუდენტის მიერ ეკონომიკურ თეორიაში მიღებულ ცოდნას და იძლევა საფუძველს ცალკეული პრობლემის დარგობრივ ტერიტორიაში გააზრებისთვის. წარმოდგენილ წიგნში განხილულია „აგრარული სექტორის ეკონომიკის“ ისეთი საკითხები, როგორცაა: აგრარული წარმოების თავისებურებები, ფერმერთა პრობლემები გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდებში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების პარიტეტის პრობლემა, აგრარული წარმოების ფორმები და გეოგრაფიული ზონები, საქართველოს აგრარული სექტორი, სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა საქართველოში, ფორმების ქცევის მოდელები და მეურნეობრიობის ფორმები აგრარულ სექტორში, აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირებისა და შემადგენლობის პრობლემები, ინტეგრაციისა და კოოპერაციის ფორმები, წარმოების ფაქტორთა ბაზრები აგრარულ სექტორში, აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზეზები, მიზნები და მეთოდები.

სახელმძღვანელო წარმოდგენილია ორიგინალური სტრუქტურით, ნაკლებადაა ყურადღება გამახვილებული იმ ეკონომიკური მანქანებლების შესწავლაზე, რომლებსაც სტუდენტები სხვა დარგობრივ დისციპლინებშიც გაეცნობიან, მაგრამ დეტალურადაა წარმოდგენილი ეკონომიკის ის საკითხები, რომლებშიც აგრარულ სექტორს არსებითი სპეციფიკა გააჩნია.

წიგნი გამიზნულია ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის, „აგრარული სექტორის ეკონომიკის“ დისციპლინაში საბაზო განათლების მისაღებად.

ნაშრომის ირგვლივ გამოხმაურებები, წინადადებები და შენიშვნები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე:

KakhaTsimintia@mail.ru ან Kakhaber@posta.ge.

სტუდენტებისთვის

„აგრარული სექტორის კონომიკის“ კურსის შესწავლის დაწყებამდე დარწმუნდით, რომ ფლობთ შემდეგი საკითხების ცოდნას.

მოთხოვნა. მომხმარებელთა მზადყოფნა გარკვეულ ფასად, დროის გარკვეულ პერიოდში შეიძინონ საქონელი და მომსახურება. სხვა თანაბარ პირობებში, საქონელზე მოთხოვნა მით უფრო მაღალია, რაც უფრო დაბალია მასზე ფასი და პირიქით. ეს დამოკიდებულება ცნობილია მოთხოვნის კანონის სახელით. მოთხოვნის დამოკიდებულებას მის განმსაზღვრელ ფაქტორებთან მოთხოვნის ფუნქცია ეწოდება. მოთხოვნაზე მოქმედ ფაქტორებს (დეტერმინანტებს) განეკუთვნება: საქონელზე ფასები; მომხმარებლის შემოსავლის სიდიდე; მყიდველის გემოვნება; სხვა საქონელზე ფასები; მყიდველთა საერთო რიცხვი ბაზარზე (ბაზრის ზომები); დაგროვილი ქონება; ინფლაციური ღირებულება (ფასების ცვლილებაზე მომხმარებელთა მოლოდინი) და სხვა.

მიწოდება. ვისიმე მზადყოფნა გარკვეულ ფასად, დროის გარკვეულ პერიოდში გაყიდოს საქონელი და მომსახურება. სხვა თანაბარ პირობებში, საქონლის მიწოდება მით უფრო მაღალია, რაც უფრო მაღალია მასზე ფასი და პირიქით. ეს დამოკიდებულება ცნობილია მიწოდების კანონის სახელით. მიწოდების დამოკიდებულებას მის გამსაზღვრელ ფაქტორებთან ეწოდება მიწოდების ფუნქცია. მიწოდებაზე მოქმედ ფაქტორებს (დეტერმინანტებს) განეკუთვნება: საქონელზე ფასი; სხვა საქონელზე ფასები; საწარმოო ხიმძლავრების და ბუნებრივი რესურსების, სამუშაო ძალის არსებობა, რესურსებზე ფასები; ტექნოლოგიის ხასიათი; გამყიდველთა (მიწოდებელთა) რაოდენობა ბაზარზე; მიწარმოებელთა მოლოდინი ფასების ცვლილებაზე; გადასახადები და დოტაციები და სხვა.

მოთხოვნის ელასტიკურობა ფასის მიმართ. საქონელზე მოთხოვნის მოცულობის დამოკიდებულებას მასზე ფასების ცვლილებასთან უწოდებენ მოთხოვნის ელასტიკურობას ფასის მიმართ ან პირდაპირ ელასტიკურობას. თუ მყიდველი სწრაფად და ერთგვაროვნად რეაგირებს ფასების ცვლილებაზე, ამბობენ რომ მოთხოვნა ელასტიკურია ფასის მიმართ და პირიქით, თუ რეაგირებს ნელა ე.ი. მოთხოვნა არაელასტიკურია. იგი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$|E_d| = \frac{\Delta Q}{Q_1} : \frac{\Delta P}{P_1} = \frac{\Delta Q}{\Delta P} \times \frac{P_1}{Q_1}$$

სადაც, Q_1 და P_1 შესაბამისად, მოთხოვნისა და ფასის საწყისი მნიშვნელობებია, ხოლო ΔQ და ΔP შესაბამისად, მოთხოვნისა და ფასის ცვლილების შემდგომი მნიშვნელობები.

თუ $|E_d| > 1$, მოთხოვნა ელასტიკურია ფასის მიმართ. თუ $|E_d| < 1$, მოთხოვნა არაელასტიკურია ფასის მიმართ.

მოთხოვნის ელასტიკურობა შემოსავლებისადმი. იგი გამოხატავს ცალკეული მომხმარებლის, დარგის, მთლიანად ბაზრის მოთხოვნის დამოკიდებულებას ინდივიდუალური ან ერთობლივი ფულადი შემოსავლების ცვლილების მიმართ. მოთხოვნის ელასტიკურობის კოეფიციენტი შემოსავლების მიმართ გამოითვლება:

$$E'_d = \frac{\Delta Q}{Q_1} : \frac{\Delta I}{I_1} = \frac{\Delta Q}{\Delta I} \times \frac{I_1}{Q_1}$$

სადაც, Q_1 და I_1 შესაბამისად მოთხოვნისა და

შემოსავლების საწყისი მნიშვნელობებია. ΔQ და ΔI შესაბამისად, მოთხოვნისა

და შემოსავლების ცვლილების შემდგომი მოცულობაა. თუ $E_d' > 0$, შემოსავლების ზრდის კვალობაზე საქონელზე მოთხოვნა იზრდება, ოღონდ შემოსავლების ზრდის ტემპზე ნაკლები ტემპით. როცა $E_d' > 1$, შემოსავლების ზრდის კვალობაზე მოთხოვნა საქონელზე იზრდება შემოსავლის ზრდის ტემპზე მაღალი ტემპით. როცა $E_d' < 0$, შემოსავლების ზრდის კვალობაზე მოთხოვნა საქონელზე მცირდება.

ბაზრის სტრუქტურის ტიპები. ბაზრის სტრუქტურა განისაზღვრება პირობებით, რომლებშიაც ფირმები კონკურირებენ ერთმანეთთან. ამ პირობებს განეკუთვნება: ფირმათა რაოდენობა და ზომები, პროდუქციის ხასიათი, ფასებზე კონტროლის შესაძლებლობა, დარგში შესვლა-გამოსვლის პირობები, ინფორმაციის მიღება.

აღნიშნულიდან გამომდინარე განასხვავებენ სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრის ტიპებს. არასრულყოფილი კონკურენცია თავის მხრივ იყოფა: მონოპოლისტურ კონკურენციად, ოლიგოპოლიად და მონოპოლიად.

სრულყოფილი კონკურენციის დროს ბაზარზე ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელი მრავალი ფირმაა, სხვადასხვა ფირმების პროდუქცია ერთგვაროვანია (პროდუქცია სტანდარტიზებულია), დარგში ახალი მწარმოებლების შემოსვლა და გასვლაზე ბარიერები არ არის, ფირმებს არ შეუძლიათ ფასებზე კონტროლის დაწესება, ინფორმაციისადმი თანაბარი მიღწევადობაა.

მონოპოლისტური კონკურენციის დროს შექმნილია თითქმის იგივე სიტუაცია, რაც სრულყოფილი კონკურენციისთვისაა დამახასიათებელი, მხოლოდ სხვადასხვა ფირმების მიერ წარმოებული ერთი და იგივე პროდუქცია განსხვავებულია (პროდუქცია დიფერენცირებულია).

ოლიგოპოლიის დროს დარგში რამდენიმე ფირმა ფუნქციონირებს (ფირმათა რიცხვი შეზღუდულია), პროდუქცია ძირითადად დიფერენცირებული, ფასებზე ზემოქმედება მნიშვნელოვანი, დარგში შესვლისას გარკვეული ხიბნელები, ინფორმაციის მიღებაზე არსებობს შეზღუდვები.

მონოპოლიის დროს დარგში ფუნქციონირებს ერთი ფირმა, პროდუქცია ახლო შემცველების არ მქონეა (უნიკალურია), ფასებზე კონტროლი მნიშვნელოვანი, დარგში შესვლაზე არსებობს ბარიერები, ინფორმაციის მიღებაზე არსებობს შეზღუდვები.

მონოპოლია - მონოპოლია მყიდველის მხრიდან ანუ სიტუაცია, როცა ბაზარზე მრავალ გამყიდველს ერთი მყიდველი უპირისპირდება.

კონკურენცია - ბაზრის ძირითადი მექანიზმი, გულისხმობს ფირმებს შორის მეტოქეობას.

წარმოების ფაქტორები. წარმოების პროცესის განხორციელებისა და პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო საშუალებებს წარმოების ფაქტორები ეწოდება. წარმოების ფაქტორებს მიეკუთვნება შრომა, მიწა, კაპიტალი, სამეწარმეო უნარი, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი. წარმოების პროცესში ჩართვამდე წარმოების ფაქტორებს საწარმოო რესურსებს უწოდებენ.

ეკონომიკური უსაფრთხოება - ეროვნული ეკონომიკის უნარი უზრუნველყოს ეროვნული ინტერესების დაცვა, ეკონომიკური სისტემის დამოუკიდებელი ფუნქციონირება და თვითგანვითარება შინა და გარე პროცესების ყველაზე არახელსაყრელ პირობებშიაც კი.

შინამეურნეობა - ერთიანი ბიუჯეტით (ან მისი ნაწილით) და საცხოვრებელი ადგილით გაერთიანებული ერთი ან მეტი პირისაგან შემდგარი ეკონომიკური სუბიექტი, რომელიც ბაზრის ეკონომიკური რესურსებით

მომარაგებიდან მიღებულ შემოსავლებს იყენებს საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ, GDP) – ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული საბოლოო პროდუქციის ღირებულება განსაზღვრულ პერიოდში (როგორც წესი წლის განმავლობაში). იმისგან დამოუკიდებლად არის თუ არა წარმოების ფაქტორები ამ ქვეყნის მოქალაქეთა საკუთრებაში თუ ეკუთვნის უცხოელებს.

ეკონომიკური საქმიანობის სახეობები. მასში შედის: სოფლის მეურნეობა და მეტყვევობა, თევზჭერა; მრეწველობა (სამთოშოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება; დამამუშავებელი მრეწველობა; ელექტროენერჯია, აირი და წყალმომარაგება); პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ, მშენებლობა; საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების, მოტოციკლების, საყოფაცხოვრებო და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტი; სასტუმროები და რესტორნები; ტრანსპორტი და სასაწყობო მეურნეობა; კავშირგაბმულობა და ფოსტა; ფინანსური შუამავლობა; ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა; სახელმწიფო მართვა, თავდაცვა; განათლება; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება; მომსახურების სხვა სახეები.

FAO – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია.

ვმო (WTO) – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია.

თემა 1. „აგრარული სექტორის ეკონომიკის“ საგანი. აგრარული წარმოების თავისებურებანი

„აღმავალ კლასიკარმახად სოფლის მეურნეობის სიმდიარე წარმოადგენს ყველა პროდუქციის საფუძვლს, უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარებას, მოსახლეობის კეთილდღეობას, მთავრს მოძრაობაში მრეწველობას და ხელს ექსპორტის ერთ-ერთს“

უფლამ პეტე

- 1.1 „აგრარული სექტორის ეკონომიკის“ საგანი
- 1.2 აგრარული წარმოების თავისებურებანი
- 1.3 ფერმერული პრობლემები გრძელვადიან პერიოდში
- 1.4 ფერმერული პრობლემები მოკლევადიან პერიოდში
- 1.5 სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების პარიტეტის პრობლემა
- 1.6 აგრარული წარმოების ტიპები და გეოგრაფიული ზონები

1.1. „აგრარული სექტორის ეკონომიკის“ საგანი, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა წარმოადგენს ერთმანეთთან დაკავშირებული დარგების ერთობლიობას, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმოების ტექნოლოგიით, საჭირო წარმოების საშუალებებით, წარმოებული პროდუქციის ხასიათით და მოითხოვენ განსხვავებულ კვალიფიკაციას.

სოფლის მეურნეობა (აგრარული სექტორი) მატერიალური წარმოების უაღრესად მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც აღმოცენდა კაცობრიობის განვითარების ადრეულ საფეხურზე. მისი დანიშნულებაა მოსახლეობის უზრუნველყოფა კვების პროდუქტებით, ხოლო მრეწველობის რიგი დარგებისა - ნედლეულით. აგრარული სექტორის შემადგენლობაში გამოიყოფა მემცენარეობის (მიწათმოქმედების) და მეცხოველეობის დარგები. მემცენარეობა თავის მხრივ მოიცავს: მემინდვრეობას, მეზოხტნეობას, მეხილეობას, მეჩაიეობას, მეციტრუსეობას და ა.შ. მეცხოველეობაში აკუმულირებულია: მესაქონლეობა, მელორეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და ა. შ. ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მიღებულია სოფლის მეურნეობასთან ერთად თევზის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის წარმოდგენა.

ამგვამად, განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს და დასაქმებულია სოფლად. შესაბამისად, აგრარულ სექტორზე მოდის ქვეყანაში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი და ეს დარგი წარმოადგენს მოსახლეობის მიერ მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს.

როგორც განვითარებული ქვეყნების XIX-XX საუკუნეების პრაქტიკა გვიჩვენებს, მათში ეკონომიკური ზრდის სტაბილიზაციისა და ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობის ბაზისის როლი აგრარულმა სექტორმა შეასრულა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა წინაპირობებს ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისთვის, შემდგომ კი მათი სწრაფი ზრდის კვალობაზე, ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის სტრუქტურაში, მიუხედავად რაოდენობრივი ზრდისა, თანდათანობით შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა.

ამგვარად, აგრარული სექტორი წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგს, რომლის ფარგლებშიაც მიმდინარე მოვლენების შესწავლას მრავალი მეცნიერება ემსახურება, ამ დისციპლინებს შორისაა აგრარული სექტორის ეკონომიკაც. (ეკონომიკურ მეცნიერებებს შორის მისი შიფრი და დასახელებაა: 08.00.14. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა).

„აგრარული სექტორის ეკონომიკა“ შეისწავლის აგრარულ სექტორში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების თავისებურებებსა და კანონზომიერებებს. იგი დარგობრივი მეცნიერებაა, რომელიც კონკრეტული დარგის (სოფლის მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება) ფარგლებში შეისწავლის ეკონომიკური თეორიის, ფუნქციური (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი და ა.შ.) და რეგიონული ეკონომიკური მეცნიერებების თავისებურებებსა და კანონზომიერებებს.

12. აგრარული წარმოების თავისებურებანი. აგრარული წარმოებისთვის დამახასიათებელია რიგი თავისებურებებისა, რომლებიც განსაზღვრავენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისთვის განსაკუთრებულ პირობებს, ობიექტურ ხასიათს ანიჭებენ აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივ რეგულირებას. აღნიშნულ თავისებურებებს მიეკუთვნება:

1. **ბაზრის სტრუქტურა აგრარულ სექტორში.** აგრარული სექტორისთვის დამახასიათებელია თავისუფალი კონკურენციის ბაზრის სტრუქტურის პირობები, კერძოდ: მრავალი მყიდველისა და გამყიდველის არსებობა; მყიდველის ან გამყიდველის მხრიდან ფასების კონტროლის შეუძლებლობა; დარგში ფირმის (მწარმოებლის, გამყიდველის) შესვლა-გამოსვლაზე ბარიერების უქონლობა; ინფორმაციის მიღების სისრულე; პროდუქციის სტანდარტული ხასიათი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დარგში საბაზრო პროცესების განვითარების შესაბამისად, მოსალოდნელ წონასწორობის რყევას უფრო გამოხატული ხასიათი გააჩნია, რაც მთელი რიგი სასურსათო პროდუქციის მიმართ დაუშვებელია, რადგანაც შეუძლია სოციალური ან პოლიტიკური არასტაბილურობის გამოწვევა.

2. **ბუნებრივ პირობებზე დამოკიდებულება.** აგრარული წარმოება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე. ამინდის ცვალებადობის, სხვადასხვა სტიქიური უბედურებების, ავადმყოფობებისა და მავნებლებით დასნებოვნების შესაძლებლობანი აგრარულ სექტორში წარმოების პროცესს გარკვეულწილად უკონტროლოს ხდის. რაც განაპირობებს აგრარული წარმოების მაღალ რყევადობას. აქედან გამომდინარე, ფერმერთა შემოსავლებისა და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ცვალებადობას.

3. **კვლავწარმოების ეკონომიკური და ბიოლოგიური პროცესების მჭიდრო კავშირი.** აგრარულ სექტორში წარმოების საშუალებებად ცოცხალი ორგანიზმებიც (მცენარეები, ცხოველები) გვევლინებიან, რომელთა მოვლა-გამოყენების პროცესი ინდივიდუალურია არა მარტო ცალკეული კულტურისა და სახეობის მიხედვით, არამედ თვით კულტურისა და სახეობის შიგნითაც კი. აღნიშნული კი მწარმოებელთა მხრიდან შრომისა და კაპიტალის განსხვავებულ ხარჯებს მოითხოვს.

4. **წარმოებისა და შრომის პერიოდების განსხვავებულობა (სეზონურობა).** ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, აგრარულ სექტორში წარმოების პერიოდი არ ემთხვევა სამუშაო პერიოდს. პროდუქციის მიღებამდე რამდენიმე თვით ადრე ფერმერს უწევს შრომის მნიშვნელობანი დანახარჯების გაწევა. აღნიშნული თავისებურება, დარგებისა და კულტურების რაციონალური შეთანაწყობით, წარმოების ფაქტორთა ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ზრდის რეზერვია.

5. **მიწის, როგორც წარმოების განსაკუთრებული საშუალების გამოყენება.** მიწა ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგში გამოიყენება, მაგრამ არასასოფლო-სამეურნეო წარმოებაში (გარდა მომპოვებელი მრეწველობისა) მიწა ბაზისს წარმოადგენს საწარმოო ნაგებობებისა თუ სხვა სახის წარმოების საშუალებებისთვის. აგრარულ სექტორში კი მიწა აღნიშნულთან ერთად წარმოადგენს აქტიურ საშუალებას, რომლის გარეშეც სასოფლო-სამეურნეო

წარმოების განხორციელება შეუძლებელია. აგრარული წარმოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიწის ზედაპირიზონტალური ფენის - ნიადაგის თავისებურებას, უზრუნველყოს მცენარეები მათი ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელი ნივთიერებებით. აღნიშნულ თავისებებას ნაყოფიერებას უწოდებენ. მიწის ნაკვეთები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ნაყოფიერებით, რაც იწვევს კაპიტალდაბანდებათა განსხვავებული მოცულობის აუცილებლობას. ამავდროულად, აგრარული წარმოებისთვის მიწა შეუცვლელი წარმოების საშუალებაა, რომლის მიწოდებაც ძირითადად ფიქსირებულ ხასიათს ატარებს.

6. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის ფასის მიმართ არაელასტიკური ხასიათი. დადგენილია, რომ სურსათზე მოთხოვნა ფასის მიმართ არაელასტიკური ხასიათისაა. კერძოდ, სურსათის გაყიდვის 10%-ით გაზრდისთვის აუცილებელია მასზე ფასის თითქმის 50%-ით შემცირება ($|E_d| = 0,20$). თვით ღარიბ საზოგადოებაშიაც კი მომხმარებლები პირველ რიგში მათი არსებობისთვის აუცილებელ დოვლათს - სურსათს ყიდულობენ. მეტნაკლებად განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, მომხმარებლები ძირითადად უკვე დაკმაყოფილებული არიან მათთვის სასურველი ასორტიმენტის სურსათის საჭირო რაოდენობით. ასეთ შემთხვევაში სურსათზე ფასების მნიშვნელოვანი შემცირება მასზე მოთხოვნას შედარებით უმნიშვნელოდ გაზრდის.


7. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის შემოსავლების მიმართ არაელასტიკური ხასიათი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნას ასევე არაელასტიკური ხასიათი გააჩნია შემოსავლებისადმი. როცა საქმე გვაქვს დაბალი კეთილდღეობის დონის საზოგადოებასთან მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი კვების პროდუქტებზე იხარჯება. კეთილდღეობის მაღალი დონის საზოგადოებაში, სასურველი ასორტიმენტისა და რაოდენობის სურსათზე მოთხოვნა ძირითადად დაკმაყოფილებულია. ასეთ შემთხვევაში შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის კვალობაზე მოსალოდნელია სურსათზე მოთხოვნის უმნიშვნელო ზრდა. ცნობილია, რომ რეალური შემოსავლის 10%-ით ზრდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნას მხოლოდ 2%-ით ზრდის, ხოლო რიგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე შემოსავლების ზრდის კვალობაზე შეიძლება მოთხოვნა შემცირდეს.

8. აგრარულ სექტორში წარმოების ფაქტორების (მიწა, შრომა) იმობილურობა. უმრავლეს შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისთვის თავიანთი მეურნეობა წარმოადგენს დასაქმების ერთადერთ რეალურ წყაროს. მათთვის ფერმერული მეურნეობა წარმოადგენს როგორც ოჯახს, ასევე სამუშაო ადგილს და აქედან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო შრომა ნაკლებადაა მიდრეკილი სხვა დარგებში გადინებისაკენ. ასევეა მიწაც. ფერმერმა შეიძლება შეცვალოს ის კულტურა, რომელიც მოჰყავდა ან სხვა ფერმერს მიყიდოს ნაკვეთი, მაგრამ თვით სავარგული უმრავლეს შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში რჩება.

13. ფერმერული პრობლემები გრძელვადიან პერიოდში. აგრარული წარმოების თავისებურებები თავიანთ გამოსატყულებას ფერმერულ პრობლემებში პოულობენ. ფერმერულ პრობლემებს ადგილი აქვს, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში.

გრძელვადიან პერიოდში ფერმერულ პრობლემას წარმოადგენს დაბალი შემოსავლები. აღნიშნული პრობლემის მიზეზთა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის ფასის მიმართ არაელასტიკური ხასიათი; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნასა და მიწოდებაში მომხდარი ძვრები; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი რესურსის - მიწის, იმობილური ხასიათი.

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნა ფასის მიმართ არაელასტიკური ხასიათისაა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი რესურსი - მიწა, იმობილურობით გამოირჩევა. აღნიშნულთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა, რომელსაც ადგილი აქვს გრძელვადიან პერიოდში და გამოწვეულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებით (მექანიზაცია, ელექტროფიკაცია, კომპიუტერიზაცია, ტექნოლოგიური გაუმჯობესებანი, სელექცია და ა.შ.) ფერმერთა დაბალი შემოსავლების მიზეზი ხდება.




ნახ. 1.1. გრძელვადიანი ფერმერული პრობლემის გრაფიკული გამოსახვა

მიწოდების მნიშვნელოვანი და მოთხოვნის ზომიერი ზრდის კვალობაზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის არაელასტიკური ხასიათის გამო, მოხდება ფასების მნიშვნელოვანი დაცემა და გაყიდული პროდუქციის უმნიშვნელო ზრდა. შედეგად ფერმერთა შემოსავლებს დაცემის ტენდენცია ექნებათ. ამასთანავე, მიწის იმობილურობიდან გამომდინარე, ამ წარმოების ფაქტორის სხვა უფრო მომგებიან დარგებში გადინების ტენდენციას ადგილი არ ექნება. კერძოდ, გრძელვადიანი პერიოდისთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის მრუდი D -დან D_1 -სკენ გადაინაცვლებს, ხოლო მიწოდების მრუდი S -დან S_1 -სკენ, ფასები კი შემცირდება P -დან P_1 -მდე. (ნახ.1.1). შესაბამისად, ფერმერთა შემოსავლები $OPAQ$ -დან შემცირდება OP_1BQ_1 -მდე.

1.4. ფერმერული პრობლემები მოკლევადიან პერიოდში. მოკლევადიანი პერიოდისთვის ფერმერთა პრობლემად აღიარებულია შემოსავლების არასტაბილურობა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის არაელასტიკურ ხასიათთან ერთად ფერმერთა მოკლევადიანი პრობლემის მიზეზს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების რყევა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის გადაადგილების ხასიათი წარმოადგენს.


სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მისი შემცირების ან გაზრდის მიმართულებით, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე, ხოლო დარგში სრულყოფილი კონკურენციის არსებობა ფერმერებისთვის შეუძლებელს ხდის ფასების საშუალებით შემოსავლების კონტროლს. იქნება სიტუაცია, როდესაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისთვის დაბალ მოსავალს უფრო მეტი შემოსავალი მოაქვს, ვიდრე მაღალს. კერძოდ, თუ ფერმერი მიიღებს „ნორმალურ“ მოსავალს (Q_n), მის საქონელზე „ნორმალური“ ფასი დამყარდება (P_n) და იგი მიიღებს „ნორმალურ“ შემოსავალს (OP_nNQ_n). იმ შემთხვევაში თუ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების შედეგად ფერმერმა

არნახულად დიდი მოსავალი მიიღო (Q_3), მის პროდუქციაზე ფასი დაბალ დონეზე დამყარდება (P_3) და ფერმერის შემოსავალი მნიშვნელოვნად იკლებს (OP_3BQ_3). კონკრეტული წლისთვის არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების დროს პირიქით, მიღებულ არანორმალურად დაბალ პროდუქციაზე (Q_1) ფასი მაღალ დონეზე დამყარდება (P_1) და არნახულად მაღალი მოსავლის პირობებთან შედარებით ფერმერთა შემოსავლები უფრო მაღალი იქნება (OP_1AQ_1). (ნახ.12).



ნახ. 12. მოკლევადიანი ფერმერული პრობლემის გრაფიკული გამოსახვა

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის შემოსავლებისადმი არაელასტიკური ხასიათი მოკლევადიან პერიოდში მოთხოვნის მრუდის თვისებრივ გადაადგილებას იწვევს. კერძოდ, გარკვეული სტაბილური დონიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადახრის შემთხვევაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება ფასებსა და შემოსავლებში.



13. მოთხოვნის მრუდის გადაადგილების ეფაქტი მოკლევადიან პერიოდში

თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნა D -დან D_1 -მდე, ანუ უმნიშვნელოდ დაეცემა, ფერმერთა შემოსავალი შესაბამისად შემცირდება OP_1AQ -დან OP_2BQ -მდე, ანუ მისი ცვლილება კლების მიმართულებით მნიშვნელოვანია. ცხადია, ასეთ სიტუაციაში სხვა დარგის მწარმოებლები დროებით შეაჩერებდნენ ან შეზღუდავდნენ თავიანთ წარმოებას. შესაბამისად, მოთხოვნის შემცირების ხარჯზე ფასების და შემოსავლების დაცემის ტენდენციას არ ექნება მასშტაბური ხასიათი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები მსგავსი სახის ღონისძიებას ვერ განახორციელებენ, რადგანაც მათ ხარჯებში მუდმივ ხარჯებს (სენსის სარგებელი, საიჯარო ქირა და ა.შ.) მაღალი ხვედრითი წილი აქვთ. ამასთანავე, წარმოების დაწყების პროცესში მათ არ აქვთ საბოლოო მოსავლის ზუსტი რეგულირების შესაძლებლობა.

15. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების პარიტეტის პრობლემა.
 პარიტეტი ლათინური სიტყვაა და თანასწორობას ნიშნავს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების პარიტეტი კი გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო და სხვა დარგების პროდუქციის ფასების თანაფარდობას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების პარიტეტის პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იმ პროდუქციაზე ფასები, რომლებსაც ფერმერები მოიხმარენ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. აღნიშნული პრობლემა ახახვას პოულობს პარიტეტის კონცეფციაში. პარიტეტის კონცეფცია გულისხმობს, რომ თანაფარდობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასებსა და იმ პროდუქციასა და მომსახურებაზე ფასებს შორის, რომელსაც ფერმერები მოიხმარენ მუდმივი უნდა იყოს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და ფერმერთა მიერ მოხმარებულ პროდუქციაზე ფასებსა შორის თანაფარდობა დროის გარკვეული პერიოდისთვის ფერმერთა საზიანოდ იცვლება, რის გამოც განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები სხვადასხვა მეთოდებით ცდილობენ ამ უთანაბრობის შერბილებას. იმისთვის, რომ დადგენილ იქნას თუ რა მიმართულებით განხორციელდა ცვლილება, შემდეგი ფორმულის საშუალებით გამოითვლება პარიტეტის ინდექსი:

$$\text{პარიტეტის ინდექსი} = \frac{\text{სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასები}}{\text{ფერმერის მიერ შეძენილი საქონლის ფასები}}$$

კერძოდ, თუ ფუთი ხიმინდი ღირს 5 ლარი, ხოლო ნაჯახი 10 ლარი, მაშინ მათი ფასების პარიტეტის ინდექსი იქნება 0,5. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისთვის ხელსაყრელია, რომ მათი საქონლისა და მათ მიერ საყიდი პროდუქციის ფასები შეიცვალოს მათთვის ხელსაყრელად. პრაქტიკაში კი საპირისპირო სურათს ვხვდებით, სულ უფრო მცირდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების პარიტეტულობა.

16. აგრარული წარმოების ტიპები და გეოგრაფიული ზონები. მსოფლიოში აგრარული წარმოება წარმოდგენილია განსხვავებული საწარმოო ფორმებითა და გეოგრაფიული ზონებით. ცნობილია კაპიტალისტური, სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების აგრარული წარმოების საწარმოო ფორმები. აღნიშნულთან ერთად მიღებულია მარცვლეულის, მეცხოველეობის, შერეული, მერქული, და მებაღეობა-მებოსტნეობის გეოგრაფიული ზონების გამოყოფა.

წარმოების კაპიტალისტური ფორმის დროს აგრარული წარმოება დაკავშირებულია საბაზრო სისტემასთან. მისთვის ამოსავალია კერძო საკუთრება, თავისუფალი ფასწარმოქმნა და კონკურენცია. გადამწყვეტ როლს, რესურსების განაწილებასა და საქონლის არჩევაში, ფასები ასრულებენ.

წარმოების სოციალისტური ფორმა გავრცელებული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში, აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში. ასევე მონღოლეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რიგ ქვეყნებში (ვიეტნამი, ჩრდილოეთ კორეა, ლაოსი), ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, კუბაში, აფრიკის რიგ ქვეყნებში (ეთიოპია, ანგოლა) და სხვ. მისთვის დამახასიათებელი იყო აქცენტი მსხვილმასშტაბურ წარმოებაზე, რომლის ამოსავალი იყო წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრება. საკუთრების ფორმიდან გამომდინარე გავრცელებული იყო ორი ტიპის საწარმოები: სახელმწიფო და კოლექტიური მეურნეობები.

განვითარებადი ქვეყნების აგრარული წარმოება ჯერ კიდევ წარმოების ტრადიციულ ხარისხებშია მოქცეული, რომელიც თითქმის მთლიანად დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე. ამ წარმოების წესის ქვეყნებში დაბალია მექანიზაციის დონე (ენერგეტიკული საშუალებები ძირითადად ცოცხალი გამწვევი ძალითაა წარმოდგენილი), უმთავრესად შრომატევადი კულტურებია განვითარებული, ძალზე დაბალია წარმოების დონე, ჭარბობს ნატურალური ხასიათის, წვრილი მეურნეობები.

აგრარული წარმოების გეოგრაფიული ზონების ჩამოყალიბების საფუძველია ბუნებრივ-კლიმატური პირობები, წარმოების ტრადიციები, ბაზრებთან სიახლოვე.

მარცვლეულის, ძირითადად ზორბლის გეოგრაფიული ზონა წარმოდგენილია ზომიერად მშრალი კლიმატის რაიონებში, სადაც ხელსაყრელი პირობებია აღნიშნული პროდუქციის წარმოებისთვის. კერძოდ, დაბალია მოსახლეობის სიმჭიდროვე და ოპტიმალური პირობებია კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებისთვის. ამ ზონაში მეურნეობები წარმოდგენილია მსხვილი ფერმების სახით.

მარცვლეულის სპეციალიზებული მეურნეობებია აშშ-ში, კანადაში, არგენტინაში, ავსტრალიაში. ეს ქვეყნები წარმოადგენენ მარცვლეულის წარმოების მსოფლიო მნიშვნელობის რეგიონებს და მარცვლეულის ყველაზე მსხვილ ექსპორტიორებს. კერძოდ, კანადას გააქვს წარმოებული მარცვლეულის 85%, ავსტრალიას - 40%-მდე, აშშ-ს - 30%-მდე. აბსოლუტურ მარეწებლებში ექსპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აშშ-ს გააჩნია, რომელსაც მსოფლიო ბაზარზე ყოველწლიურად გააქვს 130 მლნ. ტონამდე მარცვლეული.

მეცხოველეობის გეოგრაფიული ზონა წარმოდგენილია გველვიან ფართობებზე და ძირითადად მდებარეობს მარცვლეულის წარმოების ზონის გვერდით. ზონა მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც შიგა, ისე მსოფლიო ბაზრებთან. ასეთი ზონებია აშშ-ში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკის კავშირში, არგენტინაში და ა.შ.

შერეული გეოგრაფიული ზონა წარმოდგენილია მიწათმოქმედების და მეცხოველეობის მეურნეობების სახით. იგი ზომიერ სარტყელს ემთხვევა. ამ ზონისთვის აუცილებელია და შემოსავლების მიხედვით ძირითადი დარგია მეცხოველეობა. მიწათმოქმედებაში წამყვანია საკვები კულტურების წარმოება.


მერძეული მეცხოველეობის ზონა მდებარეობს ტენიან რაიონებში, რომლისთვისაც დამახასიათებელია შედარებით დაბალი ტემპერატურული ჯამი და მცენარეთა მოკლე სავეგეტაციო პერიოდი, რაც მხოლოდ იმის საშუალებას იძლევა, რომ მინდვრის კულტურები დაითესოს მწვანე საკვებად. მერძეული მეცხოველეობის ტიპური რეგიონებია: აშშ-ში - ვისკონსინისა და ახალი ინგლისის შტატები, ევროპაში - სკანდინავიის ქვეყნები.

მებაღეობისა და მებოსტნეობის გეოგრაფიული ზონა ჩამოყალიბებულია მსხვილ ქალაქებთან და სამრეწველო ცენტრებთან ახლოს. მსგავსი ზონების ჩამოყალიბებაში ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს გააჩნიათ გადაამწვევტი მნიშვნელობა, ასევე მნიშვნელოვანია შესაბამისი სარწყავი სისტემებისა და სასათბურე მეურნეობების ფორმირებისთვის პირობების არსებობაც. მაგ. აშშ-ში ასეთი ზონა კალიფორნიის შტატშია, ევროპაში - ესპანეთში, საფრანგეთში, იტალიაში.

2030

კითხვები და ამოცანები:

1. რას შეისწავლის „აგრარული სექტორის ეკონომიკა“ თქვენი აზრით, რა გამოყენება ექნება მას თქვენს მომავალ პროფესიაში?
2. რომელ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიაზე შეიძლება მოთხოვნა შემცირდეს შემოსავლების ზრდის კვალობაზე?



1. რას შეისწავლის „აგრარული სექტორის ეკონომიკა“? თქვენი აზრით, რა გამოყენება ექნება მას თქვენს მომავალ პროფესიაში?
2. რომელ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე შეიძლება მოთხოვნა შემცირდეს შემოსავლების ზრდის კვალობაზე?
3. რაში მდგომარეობს აგრარული წარმოების თავისებურებები?
4. რა მიზეზები იწვევენ ფერმერთა გრძელვადიან და მოკლევადიან პრობლემებს?
5. აგრარული წარმოების რამდენი გეოგრაფიული ზონაა? როგორია მათი დასახელება?
6. 1990 წელს ნორმალურ მდგომარეობაში მყოფი უცხოური ავტომობილის შესაძენად ფერმერს უნდა გაეყიდა 11 340 კვ ყურძენი. 2000 წლისთვის ასეთივე ავტომობილის შესაძენად მას უკვე ჭირდება 17 010 კვ ყურძენის გაყიდვა. ვის სასარგებლოდ შეიცვალა ფასების პარიტეტი და რამდენჯერ?
7. ოჯახის შემოსავალი თვეში 2000 ლარია, საიდანაც სურსათზე იხარჯება 1000 ლარი. სურსათზე მოთხოვნის შემოსავლებისადმი ელასტიკურობის კოეფიციენტი 0,5 - ს შეადგენს. დავეშვათ ოჯახის შემოსავალი გაიზარდა 200 ლარით, ანუ 10% -ით. ა) რამდენს დახარჯავს ოჯახი სურსათზე, შემოსავლების ზრდის შემდეგ? ბ) როგორი იქნება სურსათზე ოჯახის ხარჯების წილი გაზრდილ შემოსავლებში? როგორი იყო იგი თავიდან?

თემა 2. საქართველოს აგრარული სექტორი

„რა დღი ღვინო უნდა მიუღწიოს ეროვნებს წარსულში,
თუ ავი აწყოში არას წარმადგენს, ბრწყინვალე წარსულს
კვას უშველოს.“

ივანე ჯავახიშვილი

- 2.1. საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ზოგადი პარამეტრები
- 2.2. საბაზო მანქანებელთა (სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის) დინამიკა
- 2.3. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება საქართველოში და მის რეგიონებში
- 2.4. სასურსათო უსაფრთხოების პარამეტრები

2.1. საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ზოგადი პარამეტრები.


საქართველო უნიკალური აგრარული ტრადიციების ქვეყანაა, რომელიც გამოირჩევა აგრარული სექტორის განვითარებისთვის აუცილებელი გეოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური და შრომითი მონაცემებით. მიუხედავად აღნიშნულისა, ამჟამად საქართველოს აგრარული სექტორი განვითარების მაღალი დონით არ ხასიათდება.

დღეისათვის აგრარული სექტორის განვითარებისთვის არსებული მუქარებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- სოფლის მეურნეობის არაოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურა, მისი მაღალი წილი შპპ-ში;
- სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე;
- ადგილობრივი პროდუქციის დაბალკონკურენტუნარიანობა და საგარეო ბაზრებზე გადწევის სირთულე;
- სურსათისადმი ხელმისაწვდომობის, სურსათის საკმარისობისა და თვითუზრუნველყოფის დაბალი დონე;
- იმპორტირებული სასურსათო პროდუქციის ეკოლოგიურობის დაბალი ხარისხი;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური აღჭურვის დაბალი დონე;
- ქვეყნის მაღალი დამოკიდებულობა სტრატეგიული სურსათის იმპორტზე.

უმოკლეს პერიოდში აღნიშნული მუქარების მნიშვნელოვანწილად დაძლევა წარმოადგენს საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონისა და ხარისხის უზრუნველყოფის, ევროკავშირის სიერცესთან მისი პარმონიზაციის უმნიშვნელოვანეს პირობას.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში აგრარულმა სექტორმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, როგორც განვითარების პოზიტიური პარამეტრების უზრუნველყოფასა და გარკვეულ სტაბილიზაციაში, ასევე განსაკუთრებით, კრიზისული პერიოდის სირთულეების შერბილებაში. არსებული მონაცემებით (ნახ.2.1.) მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში აგრარულმა სექტორმა (სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა, თევზჭერა) 2003 წლისთვის 19,2 % შეადგინა, ნაცვლად 1990 წელს არსებული 29,7%-სა. მომავალში უნდა განხორციელდეს, აგრარული სექტორის ფორსირებული ზრდის კვალობაზე, მთლიან შიდა პროდუქტში მისი წილის ოპტიმალურ დონემდე (7-9%) შემცირების ღონისძიებები.



ნახ.2.1. სოფლის მეურნეობის, ნადირობის, მეტყვეობისა და თევზჭერის წილი მთლიან შიდა პროდუქტში

საქართველოში სოფლის მოსახლეობა, მთელი განვითარების მანძილზე, მნიშვნელოვანი წილით იყო წარმოდგენილი. კერძოდ, იგი 1985 წლისთვის მთელი მოსახლეობის 46,2%-ს შეადგენდა, ხოლო 2003 წლისთვის – 42,5%-ს.

ცხრილი 2.1¹

დასაქმების პარამეტრები სოფლის მეურნეობაში

წელი	სოფლის მოსახლეობა (მლნ.კაცი)	სოფლის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში %	ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებული რიცხოვნობა (მლნ.კაცი)	სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები	
				რიცხოვნობა (მლნ.კაცი)	სტრუქტურა %
1985	2430,4	46,2	2667,3	728,2	27,3
1990	2397,9	43,9	2767,3	695,0	25,2
1995	2278,1	48,0	1730,1	530,1	30,6
2000	1943,0	42,2	1748,8	903,0	51,6
2003	2068,7	42,5	1814,5	995,6	54,9

1985 წლისთვის ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებული 2667,3 ათასი კაციდან სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 728,2 ათასი კაცი (27,3%), ხოლო 2003 წლისთვის თუ მთლიანად დასაქმებულთა რიცხვი 1814,5 ათას კაცამდე შემცირდა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვი პირიქით 995,6 ათას კაცამდე გაიზარდა (54,9%). აღნიშნულიდან გამომდინარე, ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში კვლავაც მადალია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზებიდან მიღებული შემოსავლების წილი (14,4%). (ცხრილი 2.1).

აგრარული სექტორის პროდუქციის გამოშვება მიმდინარე ფასებში 1990 წელს 5198,6 მლნ. ლარი იყო. 1996 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 1726,8 მლნ. ლარამდე შემცირდა, ხოლო 2003 წლისთვის 2213,8 მლნ ლარი იყო (1990 წლის 42,6%).

¹ თქმაში მოცემული ციფრობრივი მასალის წყაროა: „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2003. სტატისტიკური კრებული. თბილისი, 2004.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის გამოშვება
(მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

	1990 წელი		1996 წელი		2000 წელი		2003 წელი	
	სულ	%	სულ	%	სულ	%	სულ	%
სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის გამოშვება	5198,6	100	1726,8	100	1591,5	100	1860,8 2213,8	100
მემცენარეობა	3571,4	68,7	951,9	55,1	782,0	49,1	1175,8	53,1
მეცხოველეობა	1627,2	31,3	774,9	44,9	809,5	50,9	1038,0	46,9

თუ 1990 წლისთვის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის გამოშვებაში მემცენარეობის წილი 68,7%-ს, ხოლო მეცხოველეობის - 31,3%-ს შეადგენდა, უკვე 2003 წლისთვის მემცენარეობის წილი 53,1%-ს, ხოლო მეცხოველეობის - 46,9%-ს შეადგენდა. აღნიშნულ პერიოდში მემცენარეობის პროდუქცია 3571,0 მლნ ლარიდან 1175,8 მლნ. ლარამდე (3-ჯერ), ხოლო მეცხოველეობის პროდუქცია 1627,2 მლნ. ლარიდან 1038,0 მლნ. ლარამდე (1,6-ჯერ) დაეცა.

2.2. საბაზო მანქანებელთა (ხასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ხასოფლო-სამეურნეო პირუტყვის) დინამიკა. ხასოფლო-სამეურნეო წარმოების მიღწეული დონე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საბაზო პირობებზე. კერძოდ, ხასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობასა და ნაყოფიერებაზე, ხასოფლო-სამეურნეო პირუტყვისა და ფრინველის რაოდენობაზე. აღნიშნული საბაზო მანქანებლებით უზრუნველყოფის განსაზღვრული პირობები საშუალებას იძლევა შემდგომში წარმოების ზრდა განხორციელდეს როგორც კვსტენსიური, ასევე ინტენსიური გზით.

მიწით უზრუნველყოფის თვალსაზრისით საქართველო პოზიტიური პარამეტრებით ხასიათდება. კერძოდ, 2003 წლისთვის მოსახლეობის ერთ სულზე ხასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი შეადგენს 0,7 ჰა-ს, სახნავეს - 0,18 ჰა-ს, მრავალწლიანი ნარგავების - 0,06 ჰა-ს, სათიბის -0,03 ჰა-ს, საძოვრის - 0,4 ჰა-ს. რაც განვითარებული ქვეყნებისთვის პოზიტიურ ფონად ითვლება მაღალი დონის ხასოფლო-სამეურნეო წარმოების ფორმირებისათვის.

საქართველოში XX საუკუნის 90-იან წლებში დაწყებულმა მიწის რეფორმამ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა მიწის საკუთრებით სტრუქტურაში, ცალკეული შინამეურნეობებისთვის იგი ვახდა მიწით უზრუნველყოფის გაუმჯობესების წყარო (ცხრილი 2.3).

საქართველოს მიწისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი
საკუთრების ფორმების მიხედვით

	1985 წელი		1991 წელი		2001 წელი		2003 წელი	
	ფართობი (ათასი ჰა)	%	ფართობი (ათასი ჰა)	%	ფართობი (ათასი ჰა)	%	ფართობი (ათასი ჰა)	%
მიწის ფართობი ყველა კატეგორიაში	7272.6	100	7272.3	100	6949.4	100	7628.4	100
კერძო საკუთრებაში	199.0	2.7	211.4	2.9	942.3	13.6	948.9	12.4
სახელმწიფო საკუთრებაში	7073.6	97.3	7060.9	97.1	6007.1	86.4	6679.5	87.6
სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ყველა კატეგორიაში	3267.1	100	3275.4	100	3019.7	100	3025.8	100
კერძო საკუთრებაში	183.6	5.6	195.3	6.0	762.1	25.2	767.3	25.3
სახელმწიფო საკუთრებაში	3083.5	94.4	3080.1	94.0	2257.6	74.8	2258.5	74.7
სახნაფი ყველა კატეგორიაში	783.2	100	790.4	100	792.9	100	801.8	100
კერძო საკუთრებაში	96.4	12.3	95.9	12.1	434.1	54.7	438.5	54.7
სახელმწიფო საკუთრებაში	686.8	87.7	694.5	87.9	358.8	45.3	363.3	45.3
მრავალწლიანი ნარგობა ყველა კატეგორიაში	357.0	100	336.9	100	269.3	100	263.8	100
კერძო საკუთრებაში	84.7	23.7	97.6	29.0	182.5	67.8	180.5	68.4
სახელმწიფო საკუთრებაში	272.3	76.3	239.3	71.0	86.8	32.2	83.3	31.6
სათიბი ყველა კატეგორიაში	176.3	100	158.4	100	142.3	100	143.8	100
კერძო საკუთრებაში	2.5	1.4	1.8	1.1	41.3	29.0	44.0	30.5
სახელმწიფო საკუთრებაში	173.8	98.6	156.6	98.9	101.0	71.0	99.8	69.5
სამოთხარი ყველა კატეგორიაში	1947.7	100	1983.7	100	1795.8	100	1796.6	100
კერძო საკუთრებაში	-	-	-	-	84.8	4.7	84.5	4.7
სახელმწიფო საკუთრებაში	1947.7	100	1983.7	100	1711.0	95.3	1712.1	95.3
სახეფი ყველა კატეგორიაში	2.9	100	6.0	100	-	-	-	-

კერძო საკუთრებაში სახელმწიფო საკუთრებაში	-	-	-	-	-	-	-	-	-
საკუთრებაში	2.9	100	6.0	100	-	-	-	-	-
საცხოვრებელი და სამეურნეო შენობებისა და ეზოების ფართობები ქველა კატეგორიაში	-	-	-	-	19.4	100	19.8	100	100
კერძო საკუთრებაში	-	-	-	-	19.4	100	19.8	100	100
სახელმწიფო საკუთრებაში	-	-	-	-	-	-	-	-	-

კერძოდ, 1986 წლისთვის (1.01-ის მდგომარეობით) საქართველოს მიწის ფართობის (7272,6 ათასი ჰა) მხოლოდ 2.7% (199,0 ათასი ჰა) იყო კერძო საკუთრებაში, ხასოფლო-სამეურნეო სავარგულების მთლიანი ფართობის (3267,1 ათასი ჰა) მხოლოდ - 5,6%, სახნაის (783,2 ათასი ჰა) - 12,3% (96,4 ათასი ჰა), მრავალწლიანი ნარგავების (357,0 ათასი ჰა) - 23,7% (84,7 ათასი ჰა), ხათიბის (176,3 ათასი ჰა) - 1,4% (2,5 ათასი ჰა), ხოლო საძოვრის ფართობები მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაში იყო აკუმულირებული. 2004 წლისთვის კერძო საკუთრებაშია საქართველოს მიწის მთლიანი ფართობის (7628,4 ათასი ჰა) 12,4% (948,5 ათასი ჰა), ხასოფლო-სამეურნეო სავარგულების (3025,8 ათასი ჰა) - 25,3% (767,3 ათასი ჰა), სახნაის (801,8 ათასი ჰა) - 54,7% (438,5 ათასი ჰა), მრავალწლიანი ნარგავების (263,8 ათასი ჰა) - 68,4% (180,5 ათასი ჰა), ხათიბის 143,8 ათასი ჰა) - 30,5% (44,0 ათასი ჰა) და საძოვრის (1796,6 ათასი ჰა) - 4,7% (84,5 ათასი ჰა).

აღნიშნულ პერიოდში კერძო საკუთრებაში გადავიდა სახნაის, მრავალწლიანი ნარგავების, ხათიბის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამასთანავე, შინამეურნეობების მიერ ხასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული მიწის ფართობი ქალაქად 17%-ით, ხოლო სოფლად 6%-ით გაიზარდა.

2003 წლის მდგომარეობით (ცხრილი 2.4.) ნათესი ფართობების (561,4 ათასი ჰა) მნიშვნელოვანი წილის (90,4%) გამოყენება ოჯახური მეურნეობების (შინამეურნეობების) მიერ ხდება. აქედან ოჯახური მეურნეობების მიერ გამოიყენება მარცვლეულისა და მარცვლეულ-პარკოსნების მთლიანი ფართობის (371,0 ათასი ჰა) 91,7%, ტექნიკური კულტურების (48,2 ათასი ჰა) - 91,9%, კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბალჩულის (87,2 ათასი ჰა) - 98,4% და საკვები კულტურების (55,0 ათასი ჰა) - 67,8%.

ცხრილი 2.4.

ნათესი ფართობების გამოყენების სტრუქტურის დინამიკა

	1985 წელი				2003 წელი					
	ქველა კატეგორიაში (ათასი ჰა)	ს.ს.საწარმო ებში		ოჯახურ მეურნეობებ ში		ქველა კატეგორიაში (ათასი ჰა)	ს.ს.საწარმოებ ში		ოჯახურ მეურნეობებ ში	
		ფართობი	%	ფართობი	%		ფართობი	%	ფართობი	%
ნათესი ფართობები სულ	730.1	641.1	87.8	89.0	12.2	561.4	53.6	9.6	507.8	90.4
მათ შორის: მარცვლეულისა და მარცვლეულ- პარკოსანი კულტურების	272.7	219.6	80.5	53.1	19.5	371.0	30.6	8.3	340.4	91.7

ტექნიკური კულტურების	39.1	36.6	93.6	2.5	6.4	48.2	3.9	8.1	44.3	91.9
კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბალახულის	76.7	48.2	62.8	28.5	42.3	87.2	1.4	1.6	85.8	98.4
საკვები კულტურების	341.6	336.7	98.6	4.9	1.5	55.0	17.7	32.2	37.3	67.8

როგორც ჩანს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები ძირითადად მცირე საოჯახო ფერმების ხელშია, ხოლო მსხვილ ფერმერულ მეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვანი წილის წარმოებისთვის, საეარგულების სახით, ჯერჯერობით შესაბამისი ბაზა არ გააჩნიათ. ამავდროულად, სახეზეა ნათესი ფართობების მთლიანი ფართობის შემცირების ტენდენცია საკვები კულტურების ფართობის შემცირების სარჯზე, რაც ნეგატიურ საბაზო პირობებს ქმნის მეცხოველეობის განვითარებისთვის.

ამავე პერიოდისთვის ნათესი ფართობების სტრუქტურაში მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურები 66,1%-ით (371,0 ათასი ჰა), ტექნიკური კულტურები 8,6%-ით (48,2 ათასი ჰა), კარტოფილი და ბოსტნეულ-ბალახული კულტურები 15,5%-ით (87,2), საკვები კულტურები 9,8 %-ით (55,0 ათასი ჰა) არის წარმოდგენილი.

რეგიონების მიხედვით ნათესი ფართობების დისტრიბუცია შემდეგნაირია (ცხრილი 2.5):

ცხრილი 2.5.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები რეგიონების მიხედვით

	ფართობი (ჰექტარი)	მხარეების წილი მთლიან ნათესებში %
საქართველო, სულ	561384	100
მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	9354	2
იმერეთი	71947	13
სამეგრელო-ზემო სვანეთი	55159	10
გურია	15909	3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	7144	1
შიდა ქართლი	58635	10
მცხეთა-მთიანეთი	27927	5
კახეთი	152787	27
ქვემო ქართლი	105668	19
სამცხე-ჯავახეთი	56854	10

კახეთის მხარის წილი შეადგენს 27%-ს (152,8 ათასი ჰა), ქვემო ქართლის - 19%-ს (105,7 ათასი ჰა), იმერეთის - 13%-ს (71,9 ათასი ჰა), ერთნაირი წილით - 10%, არიან წარმოდგენილი სამეგრელო-ზემო სვანეთის (55,2 ათასი ჰა), შიდა ქართლის (58,6 ათასი ჰა), სამცხე-ჯავახეთის (56,8 ათასი ჰა) მხარეები, მცხეთა-მთიანეთის მხარის წილი შეადგენს 5%-ს (27,9 ათასი ჰა), გურიის მხარის - 3%-ს (15,9 ათასი ჰა), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის - 2%-ს (9,3 ათასი ჰა), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის - 1%-ს (7,1 ათასი ჰა).

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისაგან განსხვავებით სასოფლო-სამეურნეო პირუტყვისა და ფრინველის რიცხოვნობაში, საკუთრებით ურთიერთობებში განხორციელებული ცვლილებების გვერდით, ადგილი ქონდა უაღრესად ნეგატიურ მოვლენას - მათი რიცხოვნობის მნიშვნელოვან კლებას. (ცხრილი 2.6). (საანალიზო პერიოდში გამოჩნდნის სახით გვხვდება ფურისა და ფურკამქის სულადობა, რომელიც 649,2 ათასი სულიდან 726,2 ათას სულამდე გაიზარდა და ფურკრის ოჯახების რაოდენობა, რომელიც 126,5 ათასი სკიდან 132,8 ათას სკამდე გაიზარდა). კერძოდ, 1986 წელთან შედარებით 2004 წლისთვის მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობა შემცირდა 1645,5 ათასი სულიდან 1242,5 ათას სულამდე (1,3-ჯერ), ღორის - 1173,4 ათასი სულიდან 473,8 ათას სულამდე (2,5-ჯერ), ცხვრისა და თხის - 1979,6 ათასი სულიდან 722,2 ათას სულამდე (2,7-ჯერ), ცხენის - 83,1 ათასი სულიდან 43,4 ათას სულამდე (1,9-ჯერ), ფრინველის - 24295,6 ათასი ფრთიდან 9200,6 ათას ფრთამდე (2,6-ჯერ) და ბოცვრების - 654,7 ათასი სულიდან 17,2 ათას სულამდე (38-ჯერ). ამასთანავე, ოჯახური მეურნეობების საკუთრებაშია მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობის 99,7%, ღორის - 99,9%, ცხვრისა და თხის - 96,9 %, ცხენის - 99,1%, ფრინველის - 93,4%, ბოცვრების - 94,2%, ფურკრის ოჯახის - 99,7%.

რეგიონების ჭრილში სასოფლო-სამეურნეო პირუტყვისა და ფრინველის განაწილება შემდეგნაირია. მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობით გამოირჩევიან: იმერეთის მხარე (მთელი სულადობის 23,1%), სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე (16,0%), ქვემო ქართლის მხარე (12,0%). ღორის მნიშვნელოვანი სულადობაა თავმოყრილი: სამეგრელო-ზემო სვანეთის (28,8%), იმერეთის (22,2%), კახეთის (19,3%) მხარეებში. ცხვრისა და თხის სულადობით გამოირჩევიან: კახეთის (38,1%), ქვემო ქართლის (21,8%), სამცხე-ჯავახეთის (13,8%) მხარეები. ფურკრის ოჯახების რაოდენობით გამოირჩევიან: იმერეთის (19,5%), კახეთის (16,1%) მხარეები. ფრინველის სულადობის მხრივ აღსანიშნავია: სამეგრელო-ზემო სვანეთის (23,5%), იმერეთის (19,6%), ქვემო ქართლის (18,8%) მხარეები.

ამგვარად, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის საბაზო მანქნებლები პოზიტიურია და გულისხმობს როგორც ექსტენსიური, ისე ინტენსიური ზრდის რეზერვების არსებობას. ამასთანავე, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობებთან დაკავშირებით ადგილი აქვს საკუთრებითი სტრუქტურის რადიკალური ცვლილების პოზიტიურ ტენდენციას მათი ფართობების ზრდის კვალობაზე მეცხოველეობაში კი საკუთრებითი სტრუქტურის ცვლილების კვალობაზე მნიშვნელოვანია პირუტყვისა და ფრინველის სულადობის შემცირების მანქნებლები. აღსანიშნავია ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის საბაზო მანქნებლები თითქმის მთლიანად აკუმულირებულია წვირულ საოჯახო მეურნეობებში (შინამეურნეობებში), რაც შემაფერხებელი

ცხრილი 2.6.

სასოფლო-სამეურნეო პარუტყვის, ფრინველისა და ფუტკრის ოჯახების დინამიკა კატეგორიების მიხედვით (1.01 -ის მდგომარეობით)

	1986 წელი				2004 წელი				2004 წ. 1986 წ-სთან %
	სულ	ს.ს.საწ	ოჯახურ		სულ	ს.ს.ს	ოჯახურ		
		არმოებ	სულ	%		არმო	სულ	%	
შსხვილი რქოსანი პარუტყვი (ათასი სული)	1645,5	676.2	969.4	58.9	1242.5	3.5	1239.0	99.7	75.5
მათ შორის ფური და ფურკამუხი	649.2	188.1	461.1	711.0	728.0	1.8	726.2	99.8	154.0
ღორი (ათასი სული)	1173.4	537.3	636.1	54.2	473.8	0.7	473.1	99.9	40.4
ცხვარი და თხა (ათასი სული)	1979.6	1099.3	880.3	44.5	722.2	22.6	699.6	96.9	36.5
მ.მ. ცხვარი	1879.4	1077.4	802.0	46.7	628.8	22.1	606.7	64.9	33.5
ცხენი (ათასი სული)	83.1	65.0	18.1	21.8	43.4	0.4	43.0	99.1	52.2
ფრინველი (ათასი ფრთა)	24295.6	14639.0	9656.6	39.8	9200.6	614.6	8586.0	93.4	37.9
ბოცვერი (ათასი სული)	654.7	229.7	425.0	64.9	17.2	1.0	16.2	94.2	2.6
ფუტკრის ოჯახი (ათასი სკა)	126.5	68.9	57.6	45.5	133.2	0.4	132.9	99.7	105.3

ფაქტორია პროდუქციის ხასიათონლო ხასიათის მინიჭებისა და მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების სწრაფი დანერგვის პროცესში.

2.3. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება საქართველოში და მის რეგიონებში. არსებული მონაცემებით, XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან დღევანდელდამდე, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია. კერძოდ, 1985 წელთან შედარებით 2003 წლისთვის (ცხრილი 2.7; 2.8.) მარცვლეულის წარმოება გაიზარდა 1,2-ჯერ, კარტოფილის - 1,1-ჯერ, ბადრეული კულტურების - 2,9-ჯერ, რძის - 1,1-ჯერ, თაფლის - 5-ჯერ. აღნიშნულის გვერდით, მნიშვნელოვნად შემცირდა წარსულში საექსპორტო ხასიათის მქონე, საქართველოს აგრარული სპეციალიზაციის განმსაზღვრელი პროდუქციის წარმოება. კერძოდ, ხილისა და სექტორის კენკრის - 2,5-ჯერ, ყურძნის - 3,1-ჯერ, ციტრუსების - 4,3-ჯერ, ჩაის -

მემცენარეობის ძირითადი პროდუქციის წარმოების დინამიკა საქართველოში

	1985 წელი			1995 წელი			2003 წელი			2003 წ. 1985 წ. სთან %
	სულ ათასი ტონა	ოჯახურ მეურნეობებში		სულ ათასი ტონა	ოჯახურ მეურნეობებში		სულ ათასი ტონა	ოჯახურ მეურნეობებში		
		ათასი ტონა	%		ათასი ტონა	%		ათასი ტონა	%	
მარცვლეული (გაწმენდის შემდეგ)	622.2	158.5	25.4	516.2	173.3	33.6	754.1	704.1	93.4	121.2
პარკოსანი კულტურები	16.1	7.7	47.8	14.8	14.1	95.3	12.2	12.2	100	75.8
კარტოფილი	393.8	168.6	42.8	353.3	341.4	96.6	425.2	419.3	98.6	107.9
ბოსტნეული ბაღიერი კულტურები	604.3	286.7	47.4	428.3	416.0	97.1	430.1	420.9	97.9	71.2
ხილი და კენკრა ²	645.3	496.9	77.0	383.9	379.4	98.8	260.0	254.3	97.8	40.3
კერძენი ²	629.5	273.2	43.4	422.4	358.8	84.9	200.0	194.6	97.3	31.8
ციტრუსი ²	259.8	208.1	80.1	118.0	114.0	96.6	59.2	59.2	100	22.8
ჩაი ²	522.4	36.3	6.9	38.5	18.3	47.5	25.2	19.3	76.6	4.8

20,7-ჯერ, ასევე შემცირდა პარკოსანი კულტურების - 1,4-ჯერ, ხორცის - 1,5-ჯერ, კვარცხის - 1,8-ჯერ, მატყლის - 3,1-ჯერ. ამავდროულად, მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, როგორც საბაზო მანქანების შემთხვევაში, აქაც აკუმულირებულია წერილი ხაოჯახო მეურნეობების ხელში. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება თვითდაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული და არ აქვს სასაქონლო ხასიათი.

მეცხოველეობის ძირითადი პროდუქციის წარმოების დინამიკა საქართველოში

	1985 წელი	1995 წელი				2003 წელი			
		შველი კატეგორიის მეურნეობებში	სსსსწ არმობებში	ოჯახურ მეურნეობებში		შველი კატეგორიის მეურნეობებში	ს.ს.სა წარმობებში	ოჯახურ მეურნეობებში	
				რაოდ.	%			რაოდ.	%
ხორცი (დაკლუდ წონაში), ათასი ტონა	166,4	115,4	2,9	111,9	97,1	108,9	0,1	108,8	99,9
რძე, ათასი ტონა	684,4	475,4	19,6	455,8	95,9	765,1	15	763,6	99,8
კვერცხი, მლნ. ცალი	822,7	269,4	8,0	261,4	97,0	458,2	66,8	391,4	85,4

² 1985 წლის მანქანებლად წარმოადგენილია 1986-1990 წწ. საშუალო წარმოება.

მატყელი (ფიზიკურ წონაში), ტონა	6255	3053	232	2821	92,4	2023	39	1984	98,1
თაფლი, ტონა ³	407	700	17	683	97,6	2046	4	2042	99,8

რეგიონების ჯრილში უმთავრეს ტენდენციას წარმოადგენს წარსულში კონკრეტული რეგიონის აგრარული სექტორის სპეციალიზაციის განმსაზღვრელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების როგორც ფართობის, ასევე წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი შემცირება. რის შედეგადაც საანალიზო პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ასეთი რეგიონების წილი მსგავსი პროდუქციის წარმოებაში. 2003 წლის მონაცემებით (ცხრილი 2.9.) მარცვლეულის წარმოების 21,5% (162,3 ათასი ტონა) მოდის კახეთის მხარეზე, 18,3% (137,9 ათასი ტონა) – იმერეთის მხარეზე, 17,3% (130,6 ათასი ტონა) – სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეზე, კარტოფილის წარმოებაში 48,6% (206,7 ათასი ტონა) მოდის სამცხე-ჯავახეთის მხარეზე, 28,6% (121,6 ათასი ტონა) ქვემო ქართლის მხარეზე, ბოსტნეულის წარმოებაში 30,0%-ით (128,9 ათასი ტონა) ლიდერობს ქვემო ქართლის

ცხრილი 2.9.
რეგიონების წილი მემცენარეობის ძირითადი პროდუქციის წარმოებაში
2003 წელი

	მარცვლეული		კარტოფილი		ბოსტნეული		ხილი		ყურძენი	
	ტონა	%	ტონა	%	ტონა	%	ტონა	%	ტონა	%
საქართველო სულ	754064	100	425246	100	430143	100	260000	100	200000	100
აჭარა	14867	2.0	28779	6.8	7073	1.6	17467	6.7	1930	1.0
იმერეთი	137877	18.3	7411	1.7	36462	8.5	51657	19.9	45794	22.9
სამეგრელო- ზემო სვანეთი	130605	17.3	2568	0.6	10982	2.5	39633	15.2	7758	3.9
გურია	37342	4.9	5513	1.3	4285	1.0	23627	9.1	7758	3.9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	12042	1.6	5150	1.2	2372	0.6	3579	1.4	7598	3.8
შიდა ქართლი	94892	12.6	13883	3.3	105598	24.5	74808	28.8	16431	8.2
მცხეთა- მთიანეთი	32126	4.3	13747	3.2	20875	4.9	12781	4.9	10500	5.2
კახეთი	162355	21.5	19936	4.7	82854	19.3	22077	8.5	90592	45.3
ქვემო ქართლი	103245	13.7	121601	28.6	128879	30.0	8043	3.1	12840	6.4
სამცხე- ჯავახეთი	28713	3.8	206658	48.6	30763	7.1	6328	2.4	207	0.1

მხარე, ასევე მნიშვნელოვანი პოზიციები აქვს შიდა ქართლს – 24,5% (105,6 ათასი ტონა) და კახეთს – 19,3% (82,8 ათასი ტონა). ხილის წარმოებაში გამოირჩევა შიდა

³ 1985 წლის მარჯვენა მხარეს წარმოდგენილია 1986-1990 წწ. საშუალო წარმოება.

ქართლის მხარე - 28,8% (74,8 ათასი ტონა), იმერეთი - 19,9% (51,6 ათასი ტონა). ყურძნის წარმოება კონცენტრირებულია კახეთის მხარეში - 45,3% (90,6 ათასი ტონა), ასევე აღსანიშნავია იმერეთის მხარის მაღალი წილი - 22,9% (45,8 ათასი ტონა). ხორცის წარმოებით გამოირჩევიან (ცხრილი 2.10) იმერეთის (21,3%. 23,2 ათასი ტონა), კახეთის (17,3%. 18,8 ათასი ტონა), სამეგრელო-ზემო სვანეთის (15,6%. 17,0 ათასი ტონა) მხარეები. რძის წარმოებაში მნიშვნელოვანი წილი აქვთ იმერეთის 920%. 154,4 ათასი ტონა) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (16,0%. 122,5 ათასი ტონა) მხარეებს. კვერცხის წარმოებაში მაღალი ხედრითი წონითაა წარმოდგენილი სამეგრელო-ზემო სვანეთის (20%. 93010 ათასი ცალი), იმერეთის (19,3%. 88220 ათასი

ცხრილი 2.10.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება რეგიონების მიხედვით 2003 წელს

	ხორცი (დაკლულ წონაში)		რძე		კვერცხი		მატყლი		თაფლი	
	ტონა	%	ტონა	%	ათასი ცალი	%	ტონა	%	ტონა	%
საქართველო	108916	100	765100	100	458220	100	2023	100	2046	100
აჭარის არ	6792	6.2	68420	8.9	27800	6.1	16	0.8	185	9.1
იმერეთი	23230	21.3	154450	20.2	88220	19.3	76	3.8	410	20.1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	17030	15.6	122548	16.0	93010	20.3	8	0.4	204	10.0
გურია	5190	4.8	38168	5.0	21815	4.8	4	0.2	115	5.6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2705	2.5	26690	3.5	9954	2.2	15	0.7	115	5.4
შიდა ქართლი	8279	7.6	51647	6.8	36080	7.9	84	4.2	140	6.9
მცხეთა-მთიანეთი	3940	3.6	41150	5.4	23947	5.2	213	10.5	111	5.4
კახეთი	18839	17.3	78463	10.3	71380	15.6	763	37.7	380	18.6
ქვემო ქართლი	12720	11.7	106783	13.9	67294	14.6	502	24.8	145	7.1
სამცხე-ჯავახეთი	10191	9.4	76781	10.0	18720	4.0	342	16.9	241	11.8

(ცალი), კახეთის (15,6%. 71380 ათასი ცალი) და ქვემო ქართლის (14,6%. 67294 ათასი ცალი) მხარეები. მატყლის წარმოებაში ტრადიციულად გამოირჩევიან კახეთის (37,7%. 763 ტონა), ქვემო ქართლის (24,8%. 502 ტონა) და სამცხე-ჯავახეთის (16,9%. 342 ტონა) მხარეები. თაფლის წარმოებაში მნიშვნელოვანია იმერეთის (20,1%. 410 ტონა) და კახეთის (18,6%. 380 ტონა) მხარეების როლი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების საბაზო მაჩვენებლების შედარება შედეგებთან გვიჩვენებს, რომ არსებული რესურსები არასრულყოფილია და გამოყენებული და საქართველოს აგრარულ სექტორს განვითარებისთვის მნიშვნელოვანი რეზერვები გააჩნია მიწის, შრომითი, ბუნებრივი რესურსების სახით. ქვეყნის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს მიხი ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, რეგიონული მრავალფეროვნება და არსებული ტრადიციები, რომლებიც საშუალებას იძლევიან წარმოებულ იქნას მრავალფეროვანი და ეკოლოგიურად მაღალხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

საქართველოს აგრარულ სექტორში არსებულ რეზერვებზე მიუთითებს აგრეთვე საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საშუალო მოხავედიანობის (პროდუქტიულობის) შედარება მსოფლიოს შესაბამის

მანქანებლებთან ცხრილი 2.11). როგორც ჩანს, საქართველო მსოფლიო საშუალო მანქანებლებს ჩამორჩება მარცვლეულის მოსავლიანობის მხრივ 1,5-ჯერ, სიმინდის - 2,8-ჯერ, კარტოფილის - 1,4-ჯერ, საშუალო წველადობის მხრივ - 2,2-ჯერ. მაშინ როცა, მისი საბაზო პირობები, მოცემული პროდუქციის წარმოებისთვის, უკეთესია მსოფლიო საშუალო პირობებზე.

ცხრილი 2.11.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მანქანებლების შედარება მსოფლიო მანქანებლებთან
2002 წელი

	პროდუქციის წარმოება, ათასი ტონა			წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე კვ			საშუალო მოსავლიანობა, ც/ჰა (წველადობა) კვ		
	მსოფლიო	საქართველო	%	მსოფლიო	საქართველო	%	მსოფლიო	საქართველო	%
მარცვლეული	2044155	714	0.03	333	162	48.6	30.5	19.9	65.2
ხორბალი	566843	306	0.05	92.4	69	74.7	26.9	26.9	100
სიმინდი	599974	289	0.05	-	-	-	43	15.6	36.3
კარტოფილი	307860	422	0.14	-	-	-	163	116	71.2
ხორცი	232965	102	0.1	38.8	23	59.6	-	-	-
მ.შ. მხხვილი რქოსანი პირუტყვის დონის	56647	47	0.08	-	-	-	-	-	-
ფრინველის	91188	35	0.04	-	-	-	-	-	-
რძე	493828	710	0.1	80.5	161	200	2207	1018	46.1

ამგვარად, საქართველოს აგრარულ სექტორში მნიშვნელოვანი რეზერვებია მისი შემდგომი აღმავლობისა და განვითარებისათვის. აღნიშნული რეზერვების რაციონალური გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია გავხდეთ განვითარებული აგრარული სექტორის მქონე ქვეყანა.

2.4. სასურსათო უსაფრთხოების პარამეტრები. სასურსათო უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკისა და შესაბამისი ინსტიტუტების უნარს, უზრუნველყოს ეკოლოგიურად სუფთა სურსათის სტაბილური საკმარისობა და ხელმისაწვდომობა, თვითუზრუნველყოფის გარკვეული დონის პირობებში.

ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების მიღწეული დონის შეფასებისთვის იყენებენ სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორებს. მათში დიფერენცირებულია სურსათის ენერგეტიკული ფასეულობის, პროდუქტების ეკოლოგიურობის ხარისხის, ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფის, იმპორტზე დამოკიდებულებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ადგილობრივი მწარმოებლების დაცვის ინდიკატორები.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ორი ძირითადი მანქანებელია ცნობილი. პირველი გულისხმობს მარცვლეულის გარდამავალი მარაგების მოცულობას. თუ მარცვლეულის მსოფლიო მარაგი მთელი მოხმარების 17 %-ზე ხვეითაა (ანუ 60 დღის მარაგზე მეტი) საერთაშორისო სასურსათო მდგომარეობა უსაფრთხოდ ითვლება. მეორე მანქანებელი მარცვლეულის წარმოების მონაცემებს მოიცავს მთლიანად და ერთ

სულზე გაანგარიშებით. ზოგადად, ცალკეული ქვეყნების მიხედვით 1 სულზე იტ განსხვავებულია და 500-800 კგ-ის ფარგლებში მერყეობს.

FAO-ს კლასიფიკაციით ის პირები, რომლებიც იღებენ 1520 კკალორიას და ნაკლებს დღეში მიეკუთვნებიან მოშიშშილეთა კატეგორიას. 2150 კკალორიის მიღება დღეში ითვლება შიმშილობის ზღვრად. საქართველოს ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მონაცემებით საქართველოში დღე-ღამური კვების რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა მოხმარების რაციონალური ნორმების მიხედვით 2500 კკალორიას შეადგენს. ამასთანავე მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულებიდან გამომდინარე 2000 წლიდან სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში სიღარიბის ორი ზღვარი გაითვლება - ოფიციალური და გადასინჯული. ოფიციალური მინიმუმი მოიცავს შრომისუნარიანი მამაკაცის ეკვივალენტური მოზრდილის მინიმალური ხამომხმარებლო კალათის ღირებულებას მიმდინარე ფასებში, რომელიც უზრუნველყოფს დღე-ღამის განმავლობაში მინიმუმ 2500 კკალორიის მიღებას. გადასინჯული მინიმუმის შემთხვევაში კი ერთ ეკვივალენტურ მოზრდილზე დღე-ღამეში 2200 კკალორიის მიღებაა გათვალისწინებული.

საერთოდ, ენერგიის მოხმარების თვალსაზრისით ეკონომიკურ დიტერატურაში გამოყოფენ სიცოცხლისუნარიანობის სამ დონეს:

- ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობა. 2500-3500 კკალორიის დღიური მოხმარების პირობებში;
- არასრულყოფილი სიცოცხლისუნარიანობა. 1500-2500 კკალორიის დღიური მოხმარების პირობებში;
- კრიტიკული სიცოცხლისუნარიანობა. 1000-1500 კკალორიის დღიური მოხმარების პირობებში.

აღნიშნულთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვების პროდუქტებისათვის ნედლეულის მიღებიდან საბოლოო პროდუქციის რეალიზაციამდე ნებისმიერ ფაზაში ჯანმრთელობისათვის მავნე მოვლენების გამორიცხვას, სურსათით თვითუზრუნველყოფის პოტენციური და არსებული დონის ანალიზს, ადგილობრივ საქონელმწარმოებელთა დაცვის მსოფლიოში აპრობირებული და მიღებული ნორმების გამოყენებას. ამ საკითხში ზოგჯერ ორმაგი სტანდარტებიც შეიმჩნევა, როცა დეკლარებულია თავისუფალი ვაჭრობა, პროტექციონიზმის მინიმალური პირობები, მაგრამ განვითარებული ქვეყნები აღნიშნულის შესრულებას თავს არიდებენ.

სასურსათო უსაფრთხოების არსებულ მდგომარეობას ნათლად ახასიათებს კვების პროდუქტების ერთ სულზე წლიური მინიმალური მოხმარების ნორმისა და ფაქტორი მოხმარების პარამეტრები (ცხრილი 2.12).

წარმოდგენილი მონაცემების დისტრიბუცია გვიჩვენებს, რომ წლიური მოხმარების მინიმალურ ფიზიოლოგიურ ნორმასა და რეალურ მოხმარებას შორის მთელი რიგი პროდუქტების მიხედვით ნეგატიური დისპროპორციებია. კერძოდ, პურისა და პურპროდუქტების მოხმარების მაჩვენებელი წლიური ნორმის - 166კგ-ის ნაცვლად ფაქტიურად 146 კგ-ით შემოიფარგლება. მინიმალურ ფიზიოლოგიურ ნორმას მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხორცის (1,6-ჯერ), თევზისა და თევზის პროდუქტების(2,6-ჯერ), ბოსტნეულის (1,5-ჯერ), კვრცხის (1,4-ჯერ) ღობიოს (2,4-ჯერ), ხილის (1,5-ჯერ), ჩაის (10-ჯერ) მოხმარების მაჩვენებლებიც.

წლიური მოხმარების ნორმასთან შედარებით პოზიტიური პარამეტრებითაა წარმოდგენილი რძისა და რძის პროდუქტების (1,6-ჯერ), მცენარეული ზეთის (1,2-ჯერ), შაქრის (1,8-ჯერ), მარგარინის (1,15-ჯერ), ღვინის(1,3-ჯერ) მოხმარების მაჩვენებლები, ხოლო კარტოფილისა და მარილის ზუსტად ემთხვევა მას.

სურსათის წლიური მოხმარების მინიმალური ფიზიოლოგიური ნორმა და ფაქტობრივი მოხმარება საქართველოში

(შრომისუნარიანი მამაკაცის ეკვივალენტურ მოხრდილზე გაანგარიშებით)

№	დასახელება	დღეღამის რაციონის კვების ენერჯეტიკული ფასეულობა ფიზიოლოგიური ნორმის მიხედვით (კკალორია)	წლიური მოხმარების მინიმალური ფიზიოლოგიური ნორმა (კგ)	მოხმარება ერთ სულზე 2002წელი (კგ)
1	პური და პურპოდუქტები მათ შორის ა) ხორბლის პური და პურ-პროდუქტები ბ) მკარონის ნაწარმი	1222,45 - -	166 141 6	146 - 6,5
2	რძე და რძის პროდუქტები	321,29	141	231,0
3	ხორცი და ხორცის პროდუქტები	303,98	55	35
4	თევზი და თევზის პროდუქტები	22,28	10	3,8
5	ბოსტნეული	54,8	118	81
6	კარტოფილი	78,8	50	50
7	ღობიო	10,16	12	5,0
8	ხილი	7232	61	41,3
9	კვერცხი (ცალი)	56,3	150	138
10	შაქარი	155,75	15	27,3
11	მცენარეული ზეთი (ღაღარი)	147,78	6	7,4
12	მარგარინი	40,71	2	2,3
13	მარილი	-	5	5
14	ჩაი	2,98	1	0,1
15	ღვინო (ღაღარი)	23,3	12	16

ამჟამად, რომ თვით სურსათის მოხმარების გადასინჯული კრიტერიუმებითაც კი მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ იკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნილებასაც კი. სურსათისადმი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ქვეყანაში მოქალაქეებისათვის შექმნილია არასრულყოფილი სიცოცხლისუნარიანობის პირობები (დღიურად 1500-2500 კკალორიის მოხმარება).

კვების ძირითადი პროდუქტების წარმოებისა და ზღვრული მოთხოვნილების ბალანსი (ცხრილი 2.13.) კიდევ ერთხელ ადასტურებს წლიურ მოხმარებასა და რაციონალურ ნორმას შორის არსებულ დამოკიდებულებას.

კერძოდ, სახეზეა კარტოფილის, რძისა და რძის პროდუქტების, ჩაის ზღვრულზე უფრო მაღალი დონით წარმოება, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ წარმოდგენილი ზღვრული პარამეტრები უწევენ კვების ძირითადი პროდუქტების იმ დონით წარმოებას რათა უზრუნველყოფილი იყოს ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობის მინიმალური დონე და გათვლილია მხოლოდ საქართველოს ამჟამად სახეზე მყოფ მოსახლეობაზე. ცხადია, რომ თვით ძირითადი კვების პროდუქტების ჭრილშიაც კი სრული თვითუზრუნველყოფის მიღწევა არარეალურია და არაოპტიმალურიც, მაგრამ კვერცხის, ბოსტნეულის, ხილის წარმოების ზღვრულ პარამეტრებზე გასულა შესაბამისი დონისძიებების კვალობაზე შესაძლებელია.

ძირითადი კვების პროდუქტების წარმოებისა და ზღვრული
მოთხოვნილების მანივენებლები

№	დასახელება	საქართველოს ზღვრული მოთხოვნილება ⁴	ადგილობრივი წარმოება 2001 წ. ⁵
1	მარცვლეული, ათასი ტონა	2178 ⁶	713,6
2	კარტოფილი, ათასი ტონა	218	422,2
3	კვერცხი მღნ ცალი	653	395,2
4	რძე და რძის პროდუქტები რძეზე გადაუვანილი, ათასი ტონა	615	710
5	ხორცი სუბპროდუქტების ჩათვლით, ათასი ტონა	240	102,4
6	შაქრის ფხვნილი, ათასი ტონა	65	-
7	ბოსტნეული, ათასი ტონა	566	396
8	ხილი, ათასი ტონა	266	200
9	ჩაი, ათასი ტონა	4,4	23
10	მცენარეული ხეთი, ათასი ლიტრი	26	-
11	თევზი და თევზის პროდუქტები, ათასი ტონა	44	-

სურსათის საკმარისობასთან და ხელმისაწვდომობასთან ერთად სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პარამეტრად თვითუზრუნველყოფა გვევლინება. არსებული მონაცემებით (ცხრილი 2.14.) ქვეყანაში პოზიტიური პარამეტრებია მიღწეული სიმინდით (100%), კარტოფილით (103%) თვითუზრუნველყოფის მხრივ, მაგრამ დანარჩენი კვების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის პარამეტრები უაღრესად ნეგატიურია, განსაკუთრებით დაბალია თვითუზრუნველყოფის მანივენებლები სტრატეგიულ კვების პროდუქტებთან მიმართებაში - მარცვლეული (50%), ხორბალი (24%), ხორცი (75%), თვითუზრუნველყოფის ასეთი დაბალი დონის ნეგატიურობას კიდევ უფრო ამძაფრებს ის რომ იმპორტული სასურსათო საქონელი უმეტეს წილად დაბალხარისხოვანია და ეკოლოგიურად არასაიმედო. მიუხედავად იმისა, რომ

⁴ ზღვრული მოთხოვნილება გათვლილია როგორც ხელზე მინიმალური ნორმისა და მოსახლეობის რიცხოვნობის ნამრავლი

⁵ სსდი სოფლის მეურნეობისა და ეკოლოგიის სამსართველო.

⁶ სასურსათო უსაფრთხოების კრიტერიუმებიდან გამომდინარე შსოფელიში ერთ სულზე მარცვლეულის წარმოების ოპტიმალურ მაჩვენებლად სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით 500-800 კგ ითვლება. საქართველოსთვის ამ შემთხვევაში 500 კგ, ხოლო მოსახლეობის რიცხოვნობად 2002 წლისათვის სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობა-4355,7 ათასი კაცი.

წესით ისინი სამამულო საქონელს კონკურენციას ვერ უნდა უწევდნენ, რეალობაში საპირისპირო ხურათი გეხვდება: ისინი, ძირითადად დაბალი ფასების გამო, აქტიურად უშლიან ხელს სამამულო პროდუქციის რეალიზაციას.

ცხრილი 2.14.

სახოფლო-სამეურნეო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფა

	დასახელება	2002წ. %
1	მარცვლეული	50
2	ხორბალი	24
3	სიმინდი	100
4	კარტოფილი	103
5	ბოსტნეული	96,9
6	მცენარეული ცხიმი	23,3
7	შაქარი	25,7
8	ხორცი	75,5
9	რძე	74,8
10	კვრცხი	69

საშინაო დავალება. შეურწმინთ სათაური და წარმოადგინეთ არგუმენტირებული ნარკვევი საქართველოს აგრარულ სექტორზე, რომელშიაც ასახული იქნება აგრარული სექტორის განვითარების პარამეტრები, განვითარებაში არსებული პოზიტიური და ნეგატიური მომენტები, განვითარებისთვის ცალკეულ დარგებსა და რეგიონებში არსებული პოტენციალი, განვითარების სცენარები.

დავალების ინფორმაციული უზრუნველყოფისთვის რეკომენდირებული წყაროები:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური კრებული.
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. სტატისტიკური კრებული.
3. საქართველოს შინამეურნეობები. სტატისტიკური კრებული.
4. საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები. ეკონომიკური პოლიტიკისა და საშარტდებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრი (GEPLAC).
5. [WWW.sof_eko@statistics.gov.ge](http://www.sof_eko@statistics.gov.ge)
6. [WWW.geplac.org](http://www.geplac.org)
7. WWW.Statistics.ge

თემა 3. ფირმის ქცევის მოდელები. მეურნეობრიობის ფორმები აგრარულ სექტორში

„რეკლამა არა არა აქვს გეგმავნით სანჯარს, რომ საქართველო არსებობს, ისტორია ძალიან დაწარმებული და სუსტის არც მოხდება უნდა და არც გავება ძალი კ ერთი შეიძლება იყოს - მეტროით წყვი შრომითა და კონტრაქტით იმ წერტილებში, სადაც მოდის წყვი ცხოვრების დონის და პირობების განმსაზღვრელი სფერო.“

მკრამ მამარლაშვილი

- 3.1. ფირმის ეკონომიკური შინაარსი. მისი ზოგადი პარამეტრები
- 3.2. საწარმოო ფუნქცია. აგრარული წარმოების წონასწორობა
- 3.3. ფირმის ქცევის მოდელი სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე
- 3.4. ფირმის ქცევის მოდელი არასრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე
- 3.5. მეურნეობრიობის ფორმები აგრარულ სექტორში

3.1. ფირმის ეკონომიკური შინაარსი. მისი ზოგადი პარამეტრები.
კოორდინაციის საბაზრო მექანიზმის პირობებში თითოეული ეკონომიკური სუბიექტი ცდილობს ხაშუალებათა ისეთ განაწილებას, რომ მიიღოს მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტი. მეურნეობრიობის ისეთი სუბექტებისთვის, როგორცაა ცალკეული ფირმა მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მიღებად ითვლება მოგების მაქსიმიზაცია. ზოგადეკონომიკური ავადსაზრისით აღნიშნული წარმოადგენს ნებისმიერი ფირმის უმთავრეს მოზანს.

ფირმა წარმოადგენს მეურნეობრიობის სუბიექტს, რომელიც იქმნება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აერთიანებს საწარმოო და ადამიანურ რესურსებს, ხაზოვადობისთვის სასარგებლო დოვლათის წარმოების გზით მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით.

მიღებულია ფირმების კლასიფიკაცია საქმიანობის სფეროების, დარგობრივი, ეკონომიკური დანიშნულების, შრომის საგნებზე ზემოქმედების, წარმოების ტიპის, წარმოებული საქონლის სახეების, ზომის მიხედვით.

საქმიანობის სფეროების მიხედვით სამეურნეო სუბიექტები იყოფა მატერიალური და არამატერიალური წარმოების სფეროებში მოქმედ სუბიექტებად. მატერიალური წარმოების სფეროებში დაკავებულს განეკუთვნება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის დარგების ფირმები. არამატერიალური წარმოების სფეროში დაკავებული ფირმების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ისინი ქმნიან მომსახურებას (საყოფაცხოვრებოს, სოციალურს, კულტურულს), ან დაკავებული არიან საშუამავლო საქმიანობით.

დარგობრივი ნიშნით ფირმები იყოფა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობის, საბითუმო და საცალო ვაჭრობის, ჯანდაცვის და ა.შ. დარგის ფირმებად.

ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით ფირმა შეიძლება იყოს წარმოების საშუალებების მწარმოებელი და მოხმარების საგნების მწარმოებელი.

შრომის საგანზე ზემოქმედების თვალსაზრისით სამეურნეო სუბიექტები იყოფა მომწოდებელ და გადამამუშავებელ ფირმებად.

წარმოების ტიპის მიხედვით გამოყოფენ ერთეულოვანი, სერიული და მასიური წარმოების ფირმებს. ერთეულოვანი წარმოება ხასიათდება ინდივიდუალური ტიპის პროდუქციის გამოშვებით (გემთმშენებლობა, რიგი

უნიკალური ხასიათის მოწყობილობანი). სერიული წარმოება გულისხმობს ფართო ნომენკლატურის ერთგვაროვანი პროდუქციის გამოშვებას. (სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, ქიმიური მრეწველობის საწარმოები). მასიური წარმოება გულისხმობს ცალკეული სახის პროდუქციის დიდი რაოდენობით გამოშვებას. (სატრაქტორო, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა).

გამოშვებული პროდუქციის სახეების რაოდენობის მიხედვით გამოყოფენ სპეციალიზირებულ, რომლებიც შემოიფარგლებიან კონკრეტული სახის პროდუქციის წარმოებით და მრავალპროფილიან (უნივერსალურ) ე.ი. მრავალი სახის პროდუქციის მწარმოებელ ფირმებს.

ზომის მიხედვით ფირმა შეიძლება იყოს მსხვილი, საშუალო ან მცირე.

როგორც აღვნიშნეთ, ფირმის უმთავრეს მიზანს მოგების მაქსიმიზაცია წარმოადგენს. განახსვავებენ ბუღალტრულ და ეკონომიკურ მოგებას. ბუღალტრული მოგება გაითვლება, როგორც ფირმის მიერ მიღებული საერთო შემოსავლების (იგი ფირმის მიერ რეალიზებული პროდუქციისა (Q) და გაყიდული საქონლის ერთეულის ფასის (P) ნამრავლის ტოლია. ე.ი. მთლიანი შემოსავალი $TR=QP$) და აშკარა ხარჯების (ფირმის მიერ რესურსების მოზიდვასა და გარიგებაზე გაწეული ხარჯები, რომელიც ფიქსირებულია საფინანსო და საბუღალტრო დოკუმენტებში) სხვაობა. ეკონომიკური მოგება კი გაითვლება როგორც ფირმის მიერ მიღებული საერთო შემოსავლისა და აშკარა + ფარული ხარჯების სხვაობა. ფარული ხარჯების ქვეშ იგულისხმება ფირმის ან მისი მფლობელების საკუთრებაში არსებული წარმოების ფაქტორების ალტერნატიული გამოყენების შემთხვევაში მოსალოდნელი, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ხელიდან გაშვებული მოგების სიდიდე. ეკონომიკური მოგება = ბუღალტრული მოგება - ფარული ხარჯები.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბუღალტრული მოგება მეტია ნულზე, ფირმა ეფექტიანად იყენებს მოზიდულ რესურსებს, არ აქვს დავალიანება და აქვს წარმოების გაფართოების შესაძლებლობები. იმ შემთხვევაში, როდესაც ბუღალტრული მოგება უტოლდება ნულს, ფირმა არ არის ზარალიანი და არ აქვს საგარეო დავალიანებები. თუ ბუღალტრული მოგება ნაკლებია ნულზე, ფირმა ზარალიანია და აქვს საგარეო დავალიანებები.

იმ შემთხვევაში, როცა ეკონომიკური მოგება მეტია ნულზე, ფირმა ეფექტიანად იყენებს არა მარტო მოზიდულ, არამედ საკუთარ რესურსებსაც, კონკურენტუნარიანია და მომავალში რესურსების მოზიდვის თვალსაზრისით, პრობლემები მოსალოდნელი არ არის. როცა ეკონომიკური მოგება უტოლდება ნულს, ფირმა საკუთარ რესურსებს მართალია საუკეთესოდ არ იყენებს, მაგრამ არც იმაზე ცუდად ვინემ ეს ალტერნატიულ ვარიანტში იყო შესაძლებელი. ასეთი დარგი კაპიტალის მოზიდვისთვის მიზნიდველი არ არის. რაც შეეხება შემთხვევას, როცა ეკონომიკური მოგება ნულზე ნაკლებია, ფირმა საკუთარ რესურსებს არაეფექტიანად იყენებს და მომავალში მას პრობლემები ელოდება. აღსანიშნავია ისიც, რომ შეიძლება ფირმა არ ღებულობდეს ეკონომიკურ მოგებას, მაგრამ ჰქონდეს ბუღალტრული მოგება.

ფირმების ფუნქციონირების ანალიზისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საშუალო და ზღვრულ სიდიდეებს. საშუალო შემოსავალი (AR) ერთი ერთეული საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს გულისხმობს და AR

$= \frac{TR}{Q}$. ზღვრული შემოსავალი (MR) წარმოადგენს საერთო შემოსავლის ნაზრდს,

რომელიც მიიღება დამატებითი ერთეული საქონლის რეალიზაციიდან, $MR = \frac{\Delta TR}{\Delta Q}$.

მთლიანი ხარჯები (TC), ესაა ფირმის მიერ პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული ხარჯები. ერთეული პროდუქციის წარმოებაზე გაწეული

ხარჯები (ATC) საშუალო მთლიან ხარჯებს წარმოადგენს და იგი გამოითვლება როგორც მთლიან ხარჯებთან პროდუქციის რაოდენობის თანაფარდობა $ATC = \frac{TC}{Q}$.

ზღვრული ხარჯები (MC) კი ახასიათებს დამატებით ერთეული პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს:

$$MC = \frac{\Delta TC}{\Delta Q}$$

ფირმის მახასიათებლებს შორის მნიშვნელოვანია მთლიანი პროდუქტის (TP), საშუალო პროდუქტის (AP) და ზღვრული პროდუქტის (MR) მაჩვენებლები. მთლიანი პროდუქტი (TP) - ესაა წარმოებული პროდუქტის საერთო რაოდენობა, რომელიც იცვლება ცვლადი ფაქტორის გამოყენების შედეგად. საშუალო პროდუქტი (AP) წარმოადგენს მთლიანი პროდუქტისა და წარმოებაში გამოყენებული ცვლადი ფაქტორის თანაფარდობას:

$$AP = \frac{TP}{X}$$

ზღვრული პროდუქტი (MP) წარმოადგენს დამატებით პროდუქტის რაოდენობას, მიღებულს ცვლადი რესურსის დამატებით ერთეულის გამოყენებით:

$$MP = \frac{\Delta TP}{\Delta X}$$

ფირმების თეორიაში ასევე მიღებულია მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდების გამოყოფა. მოკლევადიან პერიოდში თითოეული ფირმის საწარმოო სიმძლავრეები ფიქსირებულია, მაგრამ პროდუქციის გამოშვების ცვლილება შესაძლებელია ცვლადი ფაქტორების ხარჯზე. ამ პერიოდში დარგში ფირმათა რიცხვი უცვლელია. გრძელვადიან პერიოდში საწარმოო სიმძლავრეები შეიძლება შეიცვალოს მოთხოვნისა და დანახარჯების პირობების შესაბამისად. ამ პერიოდში დარგში ფირმათა რიცხოვნობა ცვლელადია.

3.2. საწარმოო ფუნქცია. აგრარული წარმოების წონასწორობა.

წარმოებულ პროდუქტს წარმოების ფაქტორთა გაერთიანების პროცესს, რომლის მიზანია მომხმარებლისთვის აუცილებელი დოვლათისა და მომსახურების მიღება.

პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებით ფერმერის არჩევანი დამოკიდებულია: საწარმოო ფუნქციაზე ანუ იმაზე, თუ რა მოცულობის პროდუქციის წარმოებაა შესაძლებელი მოცემული რესურსების პირობებში; განსაზღვრული პროდუქციის წარმოებისთვის რესურსთა როგორი კომბინაციაა ყველაზე ოპტიმალური და იმაზე თუ წარმოებული პროდუქციის როგორი შეთანაწეობაა ყველაზე ოპტიმალური რესურსების მოცემული რაოდენობისა და კომბინაციის პირობებში.

წარმოებული პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობის დამოკიდებულებას გამოყენებული ფაქტორებისადმი ეწოდება საწარმოო ფუნქცია.

$Q = f(K, L)$ სადაც, Q - პროდუქციის მაქსიმალური მოცულობაა, რომელიც შეიძლება წარმოებულ იქნას არსებული ტექნოლოგიითა და ფაქტორებით.

K - კაპიტალის დანახარჯია, L - შრომის დანახარჯი.


საწარმოო პროცესის გამსხვილებული ანალიზისთვის გამოიყენება ქობ-დავლასის საწარმოო ფუნქცია: $Q = A K^\alpha L^\beta$ სადაც, Q - პროდუქციის წარმოების მაქსიმალური მოცულობაა არსებული ფაქტორების პირობებში. K და L - შესაბამისად, კაპიტალისა და შრომის დანახარჯებია. A - პროპორციულობის ან

მასშტაბის კოეფიციენტი. იგი წარმოადგენს მოცემული ტექნოლოგიის მწარმოებლურობას. α , β - წარმოების მოცულობის ელასტიკურობის კოეფიციენტი, შესაბამისად კაპიტალისა და შრომის მიხედვით ანუ Q - ს ნაზრდის კოეფიციენტი, რომელიც მოდის შესაბამისი ფაქტორის 1%-ით ზრდაზე. ე.ი. კაპიტალზე დანახარჯების 1%-ით ზრდა გამოშვების მოცულობას α %-ით გაზრდის, ხოლო შრომის დანახარჯების 1%-ით ზრდა - β %-ით.

აგრარული სექტორში მრავალი ცვლადი ფაქტორის მქონე საწარმოო ფუნქციის შემდეგი სახით წარმოდგენა მიღებული: $Q = f(X_1, X_2, \dots, X_n)$. სადაც, Q - გამოშვებული პროდუქციის მოცულობაა, X_1, X_2, \dots, X_n - გამოყენებული წარმოების ფაქტორები (რესურსები). ამასთანავე, აგრარულ სექტორში პროდუქციის წარმოება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიაც, როცა რიგი სასოფლო-სამეურნეო რესურსებისა (X) (ქიმიური საშუალებები, სარწყავი წყალი და ა.შ.) წარმოების პროცესში არ არის ჩართული. ასეთ შემთხვევაში საწარმოო ფუნქციას შემდეგი სახე ექნება: $Q = a + bx + cx^2$. სადაც a ამ რესურსთა არ არსებობისას წარმოებული პროდუქციის მოცულობაა.

ფაქტორთა განსხვავებული კომბინაცია პროდუქციის სხვადასხვა მოცულობას იძლევა. არსებობს წარმოების ზრდის გარკვეული ზღვარი, როცა ერთი ფაქტორი მუდმივია, დანარჩენი კი ცვალებადი. აღნიშნული თვისება ცნობილია კლებადი მწარმოებლობის კანონის ან კლებადი უკუგების კანონის სახელით. იგი მისაღებია ყველა ცნობილი საწარმოო პროცესისათვის. აგრარულ სექტორში როცა ცვლად რესურსად წარმოგვიდგება სასუქი, მისი რაოდენობის ზრდისას პროდუქცია იზრდება, მაგრამ გარკვეული მომენტიდან თითოეულ დამატებით შეტანილ სასუქის ერთეულზე პროდუქციის ნაზრდი (ზღვრული ფიზიკური პროდუქტი) შემცირდება, ბოლოს, გადაჭარბება ნარგავთა მოწამვლას გამოიწვევს და ამ მომენტიდან მთლიანი პროდუქცია კლებას იწყებს.

წარმოვადგინოთ ერთი ცვალებადი ფაქტორის მქონე საწარმოო ფუნქციის გრაფიკული ინტერპრეტაცია. 3.1. ნახაზის ზედა ნაწილში მოცემულია მთლიანი პროდუქტის მრუდი TP, რომელიც იცვლება X ცვლადი ფაქტორის სიდიდესთან დამოკიდებულებაში.



ნახ.3.1. მთლიანი პროდუქტის (TP), საშუალო პროდუქტის (AP) და ზღვრული პროდუქტის (MP) მრუდები

TP მრუდზე მოცემულია სამი წერტილი: B - გადახრის წერტილი, C - რომელიც ეკუთვნის მხებს და ამ წერტილს აერთებს კოორდინატთა სათავესთან და D - TR -ის მაქსიმალური მნიშვნელობის წერტილი. ამ წერტილებთან ერთად მოცემულია A წერტილიც, რომელიც საჭიროების მიხედვით შეიძლება დაემათხვიოთ უკვე წარმოდგენილ წერტილებს. A წერტილის კოორდინატთა სათავესთან შეერთებით მივიღებთ OA მონაკვეთს. A წერტილიდან პერპენდიკულარის აბცისაზე დაშვებით მივიღებთ სამკუთხედს OAM, სადაც $\angle \alpha$ არის AM მხარის ურთიერთობა OM-თან, ე.ი. საშუალო პროდუქტის გამოსახულება:

$$AP = \operatorname{tg} \alpha = \frac{AM}{OM} = \frac{TP}{X}$$

A წერტილიდან მხების გატარებით მივიღებთ β კუთხეს, რომლის ტანგენსიც გამოხატავს ზღვრულ პროდუქტს - MP.


$$MP = \operatorname{tg} \beta = \frac{AM}{LM} = \frac{\Delta TP}{\Delta X}$$

ორი სამკუთხედის LAM და OAM შედარებისას ჩანს, რომ გარკვეულ მომენტამდე $\operatorname{tg} \beta$ მეტია $\operatorname{tg} \alpha$ -ზე, როცა წერტილი A დაემთხვევა C წერტილს საშუალო და ზღვრული პროდუქტის სიდიდეები ერთმანეთს გაუტოლდება. X ფაქტორის შემდგომი ზრდისას $\operatorname{tg} \beta$ შემცირდება და D წერტილში 0-ს გაუტოლდება. შემდგომში მთლიანი პროდუქტი შემცირებას იწყებს, ხოლო ზღვრული პროდუქტი უარყოფით მნიშვნელობას იძენს. ეს ცხადად ჩანს გრაფიკის ქვედა ნაწილში. ზღვრული პროდუქტი (MP) მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს B წერტილში, შემდგომ თანდათან მცირდება და C წერტილში საშუალო პროდუქტის (AP) გრაფიკს გადაკვეთს, რომელიც ამ წერტილში მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს. შემდგომში ჩანს, რომ მცირდება ზღვრული და საშუალო პროდუქტი, მაგრამ ზღვრული პროდუქტის დაცემის ტემპი უფრო სწრაფია. საერთო პროდუქტის (TP) მაქსიმუმის წერტილში ზღვრული პროდუქტი (MP) 0-ის ტოლია.

გაკეთებული ანალიზიდან ჩანს, რომ X ცვლადი ფაქტორის ყველაზე უუქმესიანი გამოყენება ხდება B წერტილიდან C წერტილამდე მონაკვეთში. ამ ზღვრული პროდუქტი (MP) აღწევს რა მაქსიმალურ მნიშვნელობას, იწყებს კლებას, ხოლო საშუალო პროდუქტი (AP) ჯერ კიდევ იზრდება. მწარმოებელი სწორედ ამ მონაკვეთში დახარჯული ცვლადი ფაქტორის დამატებით ერთეულზე ღებულობს პროდუქტის ყველაზე მაღალ ნაზრდს.

იზოკვანტა. იმ შემთხვევაში, როცა წარმოების ფაქტორები ცვლადი სიდიდეებია საწარმოო პროცესის უფრო სრული დახასიათება ხერხდება. სიმარტივისთვის მარცვლეულის წარმოებაში გამოყენებული რესურსები ორ ცვლადში გავაერთიანოთ - სასუქებზე დანახარჯებსა და მიწაზე დანახარჯებში. ამ ორი რესურსის გარკვეული (სხვადასხვა მოცულობის) შეთანაწყობა იძლევა წარმოებული პროდუქტის ერთნაირ რაოდენობას. კერძოდ, წარმოვიდგინოთ რომ, X და Y ფაქტორები (შესაბამისად შრომა და მიწა) ცვალებადია ერთი რესურსის ზრდა და მეორის კლება კი იმგვარად ხდება, რომ წარმოების მოცულობა უცვლელი რჩება. ეს დამოკიდებულება გრაფიკულად შეიძლება წარმოვადგინოთ იზოკვანტის საშუალებით.

იზოკვანტა ანუ თანაბარი პროდუქტის მრუდი, წარმოადგენს იმ ორი ფაქტორის ყველა შესაძლო კომბინაციას, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გარკვეული მოცულობის პროდუქტის წარმოებისთვის.




ნახ. 32. იზოკვანტების რუკა

პროდუქციის წარმოების მოცულობის უცვლელობისას ერთი რესურსის ერთი ერთეულით ზრდის კვალობაზე მეორე რესურსის შესამცირებელი რაოდენობა ჩანაცვლების ზღვრულ ტექნიკოლოგიურ ნორმაში (MRTS) აისახება. ჩანაცვლების ზღვრული ტექნოლოგიური ნორმა იზომება Y ფაქტორის ცვლილების დამოკიდებულებით X ფაქტორის ცვლილებასთან. რამდენადაც ფაქტორთა ჩანაცვლება უკუმიმართულებით ხდება, MRTS-ის მათემატიკურად გამოსახვა მიწის ნიშნით მოხდება $MRTS = -\frac{\Delta Y}{\Delta X} = \frac{MP_Y}{MP_X}$. სადაც, MP_Y - Y ფაქტორისგან მიღებული

ზღვრული პროდუქტია. MP_X - X ფაქტორისგან მიღებული ზღვრული პროდუქტი. საერთოდ, MRTS წარმოადგენს მოცემულ წერტილში იზოკვანტის დახრის კუთხის ტანგენსს: $MRTS = tg \alpha$.

იზოქოსთა. თითოეული ფერმერი (მწარმოებელი) წარმოებისთვის ფაქტორთა შესყიდვისას გარკვეულწილად სახსრებით შეზღუდულია. თუ ცვალებად X და Y ფაქტორების ფასები შესაბამისად P_X და P_Y , მაშინ ფერმერის დანახარჯი X ფაქტორის შექენაზე იქნება $X P_X$ ხოლო Y ფაქტორის შექენაზე - $Y P_Y$ და საერთო დანახარჯები შეადგენს: $C = X P_X + Y P_Y$. მოცემულ განტოლებას იზოქოსთის (თანაბარი ხარჯების) განტოლება ეწოდება. მისი გრაფიკული ინტერპრეტაცია მოცემულია 33. ნახაზზე. ცვალებად ფაქტორებზე ხარჯების ზრდისას ე.ა. ბიუჯეტური შეზღუდვის შემცირებისას იზოქოსთის ხაზი მარჯვნივ და ზევით გადაიწევს: $C_1 = X_1 P_{X1} + Y_1 P_{Y1}$. იზოქოსთის გარდაქმნით შესაძლებელია კუთხის

კოეფიციენტის $\frac{P_X}{P_Y}$ მიღება, რომელიც გვიჩვენებს იზოქოსთის დახრის კუთხეს.




ნახ. 33. იზოქოსთები

აგრარული წარმოების წონასწორობა. ფერმერის ამოცანა იმაშია, რომ ცვალებად ფაქტორებზე გამოიყენოს მის ხელთარსებული სახსრები და მიიღოს პროდუქციის რაც შეიძლება მეტი მოცულობა. ე.ი. დაიკაოს კოორდინატთა დასაწყისიდან ყველაზე შორს მყოფი იზოკვანტა. ფერმერის რაციონალური ქცევის წერტილი კი იქნება იზოქოსთისა და იზოკვანტის დამთხვევის წერტილი. ცხადია ამ წერტილში იზოქოსთისა და იზოკვანტის დახრის კუთხეები ერთმანეთს დაემთხვევა და შესრულდება პირობა:

$$\frac{MP_x}{P_x} = \frac{MP_y}{P_y}, \text{ ან } \frac{MP_x}{MP_y} = \frac{P_x}{P_y}.$$


რაც წარმოადგენს კიდევაც წარმოების

წონასწორობის პირობას ანუ წარმოდგენილი ტოლობის პირობებში ფერმერის მიერ შერჩეულია რესურსთა ოპტიმალური კომბინაცია და მიღწეულია ამ რესურსების პირობებში პროდუქციის ყველაზე რაციონალური წარმოება.



ნახ. 34. წარმოების წონასწორობის გრაფიკი


ყოველივე განვიხილოთ შავალითის საფუძველზე. ფერმერსთვის, რომელიც აწარმოებს სიმინდს, ცვალებადს წარმოადგენს ორი რესურსი - მიწა და გამოყენებული სასუქების რაოდენობა. 1 კა მიწაზე საარენდო ღირებულება შეადგენს 50 ლარს, ხოლო 1 ც სასუქი ღირს 100 ლარი. ვთქვათ, ფერმერის მიზანს წარმოადგენს ცვლად რესურსებზე დახარჯოს 500 ლარი და აწარმოოს 40 ტ სიმინდი. ამისთვის ფერმერმა უნდა შეარჩიოს ცვლადი რესურსების ყველაზე ოპტიმალური კომბინაცია.



ნახ.3.5. ა) იზოკვანტა და ბ) იზოქოსთა 40 ტ სიმინდის წარმოებისთვის

გამომდინარე მოცემული იზოკვანტიდან (ნახ.3.5.ა), 40 ტ სიმინდის წარმოების ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს 9 ჰა მიწის და 1 ც სასუქის გამოყენება (A წერტილი). თუ ფერმერი მოინდომებს ფართობის შემცირებას, მაშინ უნდა გაზარდოს სასუქის გამოყენება. (მაგ. მას შეუძლია 40 ტ სიმინდი მოიყვანოს 6 ჰა მიწისა და 2 ც სასუქის პირობებში (B წერტილი) ან 3 ჰა მიწისა და 5 ც სასუქის პირობებში (C წერტილი)). არსებული ბიუჯეტისა და ფასების პირობებში, ფერმერს შეუძლია აიღოს 10 ჰა მიწა, მაგრამ ვერ იყიდოს სასუქს, ან პირიქით იყიდოს 5 ც სასუქს, მაგრამ ვერ აიღებს მიწას. ასევე ხარჯთა სხვა ვარიანტები მოცემულია იზოქოსთაზე (ნახ.3.5.ბ).

როგორც ნახ.3.6-დან ჩანს ფერმერის მიერ 40 ტ სიმინდის წარმოებისთვის ყველაზე ოპტიმალურია 6 ჰა მიწის და 2 ც სასუქის გამოყენება (B წერტილი). რაც შეეხება A წერტილს (რომელიც 40 ტ სიმინდის წარმოებისთვის მოითხოვს 9 ჰა მიწასა და 1 ც სასუქს) ან C წერტილს (3 ჰა მიწა და 5 ც სასუქი) ისინი ფერმერისაგან 40 ტ სიმინდის წარმოებისთვის 500 ლარზე მეტ დანახარჯებს მოითხოვს (შეხაბამისად, 550 და 650 ლარს).



ნახ.3.6. 40 ტ სიმინდის წარმოებისთვის რესურსთა ოპტიმალური კომბინაციის გრაფიკი (შანჯნებლები პირობითია).


3.3. ფირმის ქვეყნის მთლიანი სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ფირმის პროდუქციაზე ფასი, საშუალო შემოსავალი და ზღვრული შემოსავალი ტოლი სიდიდეებია. ამ დროს საერთო, საშუალო და ზღვრული შემოსავლების, ასევე საერთო, საშუალო და ზღვრული ხარჯების მრუდებს ნახაზზე წარმოდგენილი სახე ექნებათ (ნახ. 3.7.).

ფირმის მოგება მაქსიმალურია იმ შემთხვევაში, როცა ზღვრული შემოსავალი და ზღვრული ხარჯები ერთმანეთის ტოლია და ამავდროულად, ზღვრული ხარჯების მრუდი ზღვრული შემოსავლის გრაფიკს კვეთს ქვემოდან. (წერტილი C).

აღგებრულად აღნიშნული შემდეგნაირად ჩაიწერება: \max მოგება =

$$\frac{\Delta TR}{\Delta Q} = \frac{\Delta TC}{\Delta Q} \quad \text{ან} \quad MR = MC \quad \text{და} \quad \frac{\Delta^2 TR}{\Delta Q^2} - \frac{\Delta^2 TC}{\Delta Q^2} < 0$$

მოკლევადიანი პერიოდისთვის სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე წონასწორობა იმ შემთხვევაში მყარდება, როცა დარგის მიწოდება და ამ პროდუქციაზე საბაზრო მოთხოვნა თანაბრდება. ასეთი შემთხვევას ადგილი კი ფირმისთვის შეიძლება ეკონომიკური მოგების მიღების პერიოდშიაც ჰქონდეს ადგილი.



ნახ.3.7. ფირმის ხაერთო, ხაშუალო და ზღერული შემოსავლებისა და ხაერთო, ხაშუალო და ზღერული ხარჯების გრაფიკო

რადგანაც გრძელვადიან პერიოდში ყველა საწარმოო რესურსი ცვალებადია, როგორც ცალკეულ ფირმას, ასევე მთლიანად დარგს შეუძლიათ მოგების მაქსიმიზაციისთვის ხელსაყრელი პირობების შესაბამისად შეცვალონ გამოყენებული რესურსების მოცულობა. ამავდროულად, დარგში ფირმათა რიცხვი ცვალებადია, ნებისმიერ ფირმას შეუძლია შემოვიდეს დარგში ან დატოვოს იგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მოკლევადიან პერიოდში დარგში მაღალია ეკონომიკური მოგება, კაპიტალის მოდინებაც მაღალი იქნება, რაც საბოლოოდ დარგში შეამცირებს მას და გრძელვადიანი წონასწორობა ბაზარზე დამყარდება ნულოვანი ეკონომიკური მოგების პირობებში.

ცალკეული ფირმისთვის მოგების მაქსიმიზაციის პირობების განსაზღვრასთან ერთად მნიშვნელოვანია მთლიანი ხარჯებისა და მთლიანი ამონაგების ტოლობის წერტილთა ანუ „უზარალობის წერტილთა“ განსაზღვრა (ნახ. 3.7. B და D წერტილები). „უზარალობის წერტილი“ B წარმოადგენს ფირმის ზარალიანი მდგომარეობიდან მომგებიანში, ხოლო D წერტილი - ფირმის მომგებიანი მდგომარეობიდან ზარალიან პირობებში გადასვლის ზღვარს. „უზარალობის წერტილში“ წარმოების მოცულობისა და რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების განსაზღვრა განსაკუთრებით აქტუალურია საკრედიტო ორგანიზაციებისთვის ფირმის კრედიტუნარიანობის დამტკიცების დროს.

„უზარალობის წერტილში“ წარმოების მოცულობის განსაზღვრას აღვებრულად შემდეგი სახე გააჩნია:

მოგება = $[Q_2(P - AVC) - FC](1 - T)$ სადაც, Q - რეალიზებული საქონლის მოცულობა (ფირმის მიწოდების მოცულობა);

P - პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასი;

AVC - საშუალო ცვალებადი ხარჯები (ცვალებადი ხარჯი პროდუქციის ერთეულზე);

FC - მუდმივი ხარჯები;

T - მოგების გადასახადი.


რადგანაც „უზარალობის წერტილში“ მოგების გადასახადი ნულის ტოლია, $(1 - T) = 1$. მარტივი გარდაქმნით მივიღებთ: $Q_s = (P - AVC) - FC = 0$ და $Q_s = \frac{FC}{P - AVC}$. ამგვარად, ფირმის წარმოების მოცულობა „უზარალობის წერტილში“ შეადგენს მუდმივ ხარჯებთან ერთეული პროდუქციის გასაყიდი ფასისა და საშუალო ცვალებადი ხარჯების სხვაობის შეფარდებას.

რაც შეეხება რეალიზაციიდან ამონაგების მოცულობის განსაზღვრას, იგი შემდეგნაირად ხდება: ცხადია, რომ „უზარალობის წერტილში“ მთლიანი ამონაგები (TR) და მთლიანი ხარჯები (TC) ტოლია და კონკრეტული შემთხვევისთვის $TR = TC = FC + (AVC \cdot Q_s)$. აღნიშნულ ტოლობას შეიძლება შემდეგი სახე მივცეთ:


$$TC = FC + \frac{AVC \cdot Q_s}{TC} \cdot TC \Rightarrow TC \left(1 - \frac{AVC \cdot Q_s}{TC}\right) = FC \Rightarrow TC = \frac{FC}{1 - \frac{AVC \cdot Q_s}{TC}} = \frac{FC}{1 - \frac{AVC \cdot Q_s}{P \cdot Q_s}} = \frac{FC}{1 - \frac{AVC}{P}}$$

ამგვარად, „უზარალობის წერტილში“ $TR = \frac{FC}{1 - \frac{AVC}{P}}$.

3.4. ფირმის ქცევის მოდელი არასრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე.
 არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში პროდუქციის მოცულობის ზრდასთან ერთად ფასი თანდათანობით ეცემა. ამ დროს პროდუქციის თითოეული შემდგომი ერთეული ნაკლებ ფასად იყიდება. აღნიშნული მიუთითებს, რომ ფირმა-მონოპოლისტი არ არის დაინტერესებული რაც შეიძლება მეტი პროდუქციის წარმოებით, რადგანაც ასეთ შემთხვევაში შეიძლება მის პროდუქციაზე ფასი მნიშვნელოვნად შემცირდეს. ფირმა-მონოპოლისტს ასევე არ შეუძლია მნიშვნელოვნად შეზღუდოს თავისი პროდუქციის გამოშვება და ამით დიდი მასშტაბით გაზარდოს ფასი, რადგანაც მაღალ ფასებში მოცემულმა საქონელმა ბაზარზე შეიძლება საერთოდ ვერ იპოვოს მყიდველი. შესაბამისად, ფირმა-მონოპოლისტები იძულებული არიან ბაზარზე დაიკაონ ისეთი პოზიცია, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას პროდუქციის განსაზღვრული მოცულობისა და ფასის პირობებში მაქსიმიზირება გაუკეთონ მოგებას. მოგების მაქსიმიზაციის პირობა არასრულყოფილი კონკურენციის დროსაც იგივეა, რაც სრულყოფილი კონკურენციისას. იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში მოგების მაქსიმიზაციის წერტილში ფირმის ზღვრული შემოსავალი (MR) ნაკლებია საქონლის ფასზე. ე.ი.



ნახ. 3.8. ხაერთო შემოსავლისა და ხაერთო ხარჯების გრაფიკი არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში



ნახ.3.9. საშუალო და ზღვრული შემოსავლებისა და საშუალო და ზღვრული ხარჯების გრაფიკი არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში

$$\max \text{ მოგება} = \frac{\Delta TR}{\Delta Q} = \frac{\Delta TC}{\Delta Q} \quad \text{ან} \quad MR = MC < P \quad \text{და} \quad \frac{\Delta^2 TR}{\Delta Q^2} - \frac{\Delta^2 TC}{\Delta Q^2} < 0$$

არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში საერთო შემოსავლისა და საერთო ხარჯების მრუდს 3.8. ნახაზზე წარმოდგენილი ხაზე აქვს. რაც შეეხება საშუალო და ზღვრული შემოსავლისა და საშუალო და ზღვრული ხარჯების მრუდებს, მათი კონფიგურაციაც განსხვავდება სრულყოფილი კონკურენციის პირობების ანალოგიური მრუდებისგან (ნახ.3.9).

სრულყოფილი კონკურენციის პირობებისგან კიდევ ერთ განსხვავებად წარმოგვიდგება ის, რომ ფირმა-მონოპოლისტს, ასევე ფირმა-ოლიგოპოლისტს თვით გრძელვადიანი წონასწორობის პირობებშიაც შეიძლება ჰქონდეთ ეკონომიკური მოგება. რაც შეეხება მონოპოლისტური კონკურენციის ბაზრის სტრუქტურას, აქ გრძელვადიანი წონასწორობა მყარდება ნულოვანი ეკონომიკური მოგების პირობებში, მაგრამ სრულყოფილი კონკურენციის ბაზრისგან განსხვავებით, ასეთ ბაზარზე საქონლისა და მომსახურების რაოდენობა იქნება ნაკლები, ხოლო ფასი უფრო მაღალი.

3.5. მეურნეობრიობის ფორმები აგრარულ სექტორში აგრარულ სექტორში ფუნქციონირებენ მეურნეობრიობის მრავალფეროვანი ფორმები, რომლებიც ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობიდან გამომდინარე სხვადასხვა სამართლებრივ-ორგანიზაციულ ფორმებში პოულობენ ასახვას. დღეისათვის განვითარებული და ევოლუციური ეკონომიკის ქვეყნების აგრარულ სექტორებში განსაკუთრებულად გამოირჩევიან მეურნეობრიობის შემდეგი ფორმები:

საკარმიდამო (კომლური) მეურნეობა ინდივიდუალური საქმიანობის ფორმაა და კომლის (ოჯახის) ფარგლებშია წარმოდგენილი. იგი დაფუძნებულია ოჯახის წევრთა საქმიანობაზე და, პირველ რიგში, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება.

სხვადასხვა ეპოქაში ბევრი ქვეყნის აგრარული მრეწველობის ყველაზე ეფექტურ ფორმას ოჯახური მეურნეობები წარმოადგენდნენ (მათი სიდიდეების განსხვავების მიუხედავად). კაპიტალის პირველდაწყებითი დაგროვების ეპოქაში, როცა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან კუსტარული მეურნეობები გამოიდევენ, ოჯახური მეურნეობები კვლავაც ფუნქციონირებენ. ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ იგი არის არა მარტო სამეურნეო საქმიანობის განსაკუთრებული ფორმა, არამედ ცხოვრების განსაკუთრებული წესიცაა, რომელიც საპირკველს უქმნის ხალხთა კულტურულ ტრადიციებს და ერის სასიცოცხლო ძალების წყაროს წარმოადგენს.

ფერმერული მეურნეობა კერძო, სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო საწარმოა, რომელიც პროდუქციას აწარმოებს საკუთარ ან არენდით ადებულ მიწაზე და მიზნად ისახავს მოგების მიღებას. თანამედროვე ფერმერული მეურნეობები ოჯახის წევრთა შრომასთან ერთად აქტიურად იყენებენ დაქირავებულ შრომასაც.

წარმოების ორგანიზაციის ტიპის მიხედვით განასხვავებენ ფერმერულ მეურნეობათა სამ ტიპს: საოჯახო (ინდივიდუალური), ერთობლივი და ფერმერული კორპორაცია. საოჯახო (ინდივიდუალური) ფერმებში მისი მფლობელები თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად ახორციელებენ სამეურნეო საქმიანობას და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გარკვეული დროით იყენებენ დაქირავებულ შრომას. ერთობლივი ფერმერული მეურნეობები იქმნებიან ორი ან მეტი პირის მიერ, არსებული საშუალებების გაერთიანებით, ერთობლივი საქმიანობისათვის. ფერმერული კორპორაცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით

დაკავებულ საწარმოთა ერთობლიობაა, რომლებიც ფუნქციონირებენ სააქციო საზოგადოებების სახით.

XX საუკუნის პირველ ნახევარში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად, განვითარებულ ქვეყნებში პრაქტიკულად ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები ფერმერული მეურნეობებია. თანამედროვე ფერმერული მეურნეობები მაღალმექანიზებული, მსხვილი-სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებია.

XX საუკუნის 90-იანი წლისათვის ევროკავშირის 12 ქვეყანაში ფუნქციონირებადი 7 მლნ. ფერმერული მეურნეობიდან (1 ჰა-ზე ნაკლები მიწის ფართობის მქონე ფერმების გარეშე) დაახლოებით ნახევარს 5 ჰა-ზე ნაკლები ფართობი ჰქონდა. ამასთანავე, ასეთი ფერმების უმრავლესობა თავმოყრილია სამხრეთ ევროპაში, ხოლო დიდ ბრიტანეთში, რომელშიაც ევროკავშირის ქვეყნებიდან ფართობის მიხედვით ყველაზე დიდი ფერმერული მეურნეობებია, მხოლოდ 13%-ს ჰქონდა 5 ჰა-ზე ნაკლები მიწის ფართობი, მაშინ როცა 59% საშუალოდ 20 ჰა-ზე მეტი ფართობის მქონე ფერმერული მეურნეობა იყო. მიწის ხარისხობრივი მანვენებლების მკვეთრი განსხვავებულობის გამო ფერმერული მეურნეობის ფართობი არ წარმოადგენს შეფასების იმ კრიტერიუმს, რომელსაც შეუძლია სრულად დაახასიათოს ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირების ეფექტიანობა. ამიტომაც ევროკავშირის ქვეყნებში ფერმერული მეურნეობის ეკონომიკური სიდიდის ერთეულად შემოღებულია ზომის ევროპული ერთეული (ზეე). 1987 წლისათვის მიღებული იყო, რომ 1 ზომის ევროპული ერთეულის სიდიდის იყო ის ფერმერული მეურნეობა, რომლის საერთო-სტანდარტული მთლიანი მოგება (პროდუქციის ღირებულება მინუს ზოგიერთი ცვალებადი ხარჯები) უტოლდებოდა 1200 ეკიუს. ამ მანვენებლის მიხედვით ყველაზე დიდი ფერმერული მეურნეობები არის პოლანდიაში, სადაც ფერმერული მეურნეობების 44% 40 ზომის ევროპულ ერთეულზე უფრო დიდია, ხოლო ყველაზე პატარა ფერმერული მეურნეობების დიდი ხვედრითი წილი მოდის იტალიასა და ესპანეთზე.

ამავე პერიოდისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ ფერმერულ მეურნეობაზე საშუალოდ 180 ჰა მიწის ნაკვეთი მოდიოდა, მთელი შემოსავლების 86%-ს იღებდა ფერმერთა 11%. ამ ქვეყანაში ფერმერულ მეურნეობებს შეუძლიათ შემდეგი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების ფარგლებში განვითარდნენ: მფლობელობის უფლება, საერთო პარტნიორობა, შეზღუდული პარტნიორობა, ჩვეულებრივი კორპორაცია, "S"-ის ტიპის კორპორაცია.

მფლობელობის უფლების დროს ფერმერული მეურნეობის გაძლოლას ერთი პირი ასრულებს.

საერთო პარტნიორობა წარმოადგენს საწარმოს, რომელიც ორი ან უფრო მეტი მფლობელის მიერ იმართება. ისინი აერთიანებენ თავიანთ რესურსებს და ინაწილებენ პასუხისმგებლობას მოგებასა და ხარაღზე. ამ დროს შეთანხმების საფუძველზე დგინდება თითოეული პარტნიორის წილი კაპიტალში, წმინდა შემოსავალში, შრომასა და მართვაში. საერთო პარტნიორობა ერთიანად არ ახორციელებს საშემოსავლო გადასახადის გადახდას, არამედ პარტნიორები ცალ-ცალკე იბეგრებიან ინდივიდუალური წილის მიხედვით, თუმცა თითოეული პარტნიორის ყველა მოქმედებისათვის ისინი ერთიანად აკებენ პასუხს.

შეზღუდული პარტნიორობის დროს პარტნიორთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება ბიზნესში მათი შენატანების შესაბამისად. შეზღუდულ პარტნიორად ითვლება შემომტანი, რომელიც მონაწილეობას არ ეღებულობს მეურნეობის მართვაში. ასეთ შემთხვევაში საჭიროა თუნდაც ერთი საერთო პარტნიორი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს საწარმოს და ბოლომდე აკებს პასუხს ყველა ხელშეკრულებისა თუ პარტნიორთა გაერთიანების სხვა ვალდებულების შესრულებაზე.

ჩვეულებრივი კორპორაცია წარმოადგენს განცალკევებულ ეკონომიკურ ერთეულს. მისი მფლობელები იგივე აქციის მფლობელები არიან, რამდენადაც ფლობენ საწარმოს აქციითა იმ რაოდენობას, რომელიც შეესაბამება მათ წილს ბიზნესის კაპიტალდაბანდებაში. ჩვეულებრივ, კორპორაციაში ირჩევენ დირექტორებსა და ბიზნესის მართვისთვის საჭირო სხვა ჩინოვნიკებს. "S"-ის ტიპის კორპორაციას იგივე მახასიათებლები გააჩნია, რაც ჩვეულებრივ კორპორაციას. ამასთანავე, ის არ იხდის საშემოსავლო ფედერალურ გადასახადს. ამის მაგივრად, აქციის თითოეული მფლობელი ავსებს ინდივიდუალურ დეკლარაციას, სადაც უთითებს თავის წილს კორპორაციის მოგებაში. ასეთი ტიპის კორპორაციაში მონაწილეთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 35 აქციონერს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი (აგროკოოპერატივი) – ფიზიკურ პირთა, მეწარმეთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გაერთიანება, დაფუძნებული წევრთა შრომით საქმიანობაზე. აგროკოოპერატივის წევრები ერთიანდებიან აგრარულ სექტორში სამეურნეო თუ სხვა სახის საქმიანობის ერთობლივად შესრულების მიზნით საკუთარი ან არენდით აღებული ქონების ბაზაზე. მისი მთავარი ამოცანაა კოოპერატივის წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება.

განვითარებულ ქვეყნებში შიგა ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით მიღებულია კოოპერატივის სამი ძირითადი ტიპი. კერძოდ: ცენტრალიზებული, ფედერაციული და შერეული ტიპის კოოპერატივები.

ცენტრალიზებული ტიპის კოოპერატივი იქმნება რამდენიმე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფის ფარგლებში და მისი წევრი ფერმერები ამ კოოპერატივის უშუალო წევრებს წარმოადგენენ. ასეთი ტიპის კოოპერატივებისათვის დამახასიათებელია ერთიანი მმართველობა, რომელსაც ახორციელებს დირექტორთა საბჭო და ერთიანი გენერალური მმართველი.

ფედერალური ტიპის კოოპერატივი წარმოადგენს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნიშნის მიხედვით შექმნილი კოოპერატივების გაერთიანებას. ამასთანავე, თითოეულ ადგილობრივ კოოპერატივს მართავს ადგილობრივი მართვის აპარატი. ისინი, მიუხედავად იმისა რომ ავტონომიური ერთეულებია, სათაო-კოოპერატივზე დამოკიდებული არიან მთელი რიგი სამსახურებით.

შერეული ტიპის კოოპერატივში თავის ასახვას პოულობს ზემოთ დახასიათებული კოოპერატივების ნიშნები. ასეთი ტიპის კოოპერატივის წევრები არიან როგორც ფერმერები, ასევე ადგილობრივი კოოპერატივები.

XX საუკუნის 90-იანი წლებისთვის 120 სახესხვაობის მილიონამდე კოოპერაციული ორგანიზაცია მოქმედებდა, რომლებიც თავის რიგებში 600 მლნ-მდე ადამიანს აერთიანებდნენ. მსოფლიო ეკონომიკის განვითარებამ კოოპერატივთა არსებითი მოდიფიკაცია გამოიწვია. თანამედროვე მსოფლიოში ცნობილი კოოპერატივები ღრმად ინტეგრირებული და დივერსიფიცირებული ორგანიზაციებია. ამასთანავე, სხვადასხვა ქვეყნებში მათი მართვის სტრუქტურა განსხვავებულია. უკანასკნელ ხანს აგრარულ სექტორში აქტიურ ფუნქციონირებას ახორციელებენ ვენჩურული, ლიზინგური და სერვისის კოოპერატივები. ვენჩურული კოოპერატივები სწრაფ რეაგირებას ახდენენ ცვალებად საბაზრო კონიუნქტურაზე. ამ სახის კოოპერატივებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ რისკის კოოპერატივები, რომლებიც ძირითადად სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობით არიან დაკავებული. ლიზინგური კოოპერატივები დაკავებულნი არიან თანამედროვე ტექნიკის მიწოდებით, მათი მომსახურებითა და არენდით გაცემით. ხოლო სერვისის კოოპერატივები ძირითადად ახორციელებენ ელექტროფიკაციის, ტელეფონიზაციის, კომპიუტერიზაციისა და ა.შ. სამუშაოებს.

კოოპერატივის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, ხოლო კოოპერატივებში, სადაც წევრთა რაოდენობა ხუთასზე მეტია – წარმომადგენელთა კრება. საერთო (წარმომადგენელთა) კრების მთავარი დანიშნულებაა კოოპერატივის წლიური ბალანსის დამტკიცება, მოგების გამოყენების

ან ზარალის დაფარვის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება, გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება და ა.შ. საერთო ან წარმომადგენელთა კრება ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ 3 და არაუმეტეს 15 წევრის შემადგენლობით, ხოლო კოოპერატივის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვისათვის ირჩევენ გამგეობას არანაკლებ ორი წევრით.

საკრედიტო კოოპერატივი. (გლეხთა საკრედიტო კააფშირი). მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისთვის კოოპერაციულ კაეშირებს დიდი ხნის ისტორია აქვს, საკრედიტო კაეშირებმა განსაკუთრებული აღიარება XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან პოვა. ამ პერიოდში გერმანიის ერთ-ერთი სოფლის მამასახლისმა ფ. რაიფაიზენმა ჩამოაყალიბა საზოგადოებები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წვრილი მწარმოებლების დასახმარებლად, შემდგომში მსგავსი კაეშირების მთავარი მახასიათებელი ურთიერთდახმარების პრინციპი გახდა. უკვე 1862 წლისთვის ქალაქ ანჰაუზენში ფ. რაიფაიზენის მიერ ჩამოყალიბებულ იქნა კლასიკური საკრედიტო კოოპერატივი.

რაიფაიზენის ტიპის კოოპერატივები შემდეგ პრინციპებს ეყრდნობა:

- კოოპერატივის ვალდებულებებზე წევრების შეუზღუდავი პასუხისმგებლობა;
- გახაცეში სესხის საწარმოო დანიშნულება;
- მხოლოდ კოოპერატივის წევრთა მომსახურება;
- კოოპერატივის საქმიანობის ტერიტორიული შეზღუდვა;
- კოოპერატივის მართვის ფუნქციების შესრულების საპატიო ხასიათი და აუნახადურებლობა.

ამჟამად განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში რაიფაიზენის ტიპის საკრედიტო ორგანიზაციებზე მოდის სოფლის მწარმოებლებზე გაცემული კრედიტების მნიშვნელოვანი ნაწილი. გერმანიაში (გერმანული კოოპერატიული ბანკი) მასზე მოდის სოფლის მეურნეობის ყველა საბანკო კრედიტების 40%, ნიდერლანდებში (რაიფაიზენული გლეხთა ბანკი) - 70%, ბელგიასა და ლუქსემბურგში (ცენტრალური რაიფაიზენული სასოფლო-სამეურნეო ბანკი) - 70%.

განვითარებული ქვეყნების აგრარული სექტორისთვის ასევე დამახასიათებელია სხვა ტიპის კოოპერაციული საკრედიტო სისტემების არსებობა. ამ მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთი მსხვილი ბანკია ფრანგული „კრედიტ აგრიკოლა“ („Kredit Agricola“). მასზე მოდის აგრარული კრედიტების 75%. იგი სახელმწიფოს მხარდაჭერით შეიქმნა და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცენტრალურ ოფისს სახელმწიფო აფინანსებდა.

სააქციო საზოგადოება. პირველი სააქციო საზოგადოებების შექმნას XVI საუკუნის მეორე ნახევარს მიაკუთვნებენ. იგი წარმოადგენს მსხვილი წარმოების ორგანიზაციის ტიპს და ფართოდ გავრცელებულ სამართლებრივ-ორგანიზაციულ ფორმას. სააქციო საზოგადოება ისეთი ამხანაგობაა, სადაც გაერთიანებული არიან ფიზიკური ან იურიდიული პირები (აქციონერები). მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია საწესდებო კაპიტალის აქციებად დაყოფა. სააქციო საზოგადოებები იქმნება დამფუძნებელთა ჯგუფის მიერ, რომლებიც ადგენენ მისი საქმიანობის სფეროს, გამოიმუშავენ მის წესდებას. დამფუძნებლები ქმნიან მის პირველდაწყებით სადამფუძნებლო ან აქციონერულ კაპიტალს, რომელიც ფორმირდება აქციების გაყიდვით და აუცილებელია საქმიანობის დაწყებისათვის. კაპიტალის მინიმალურ ნომინალურ რაოდენობას (საქართველოში იგი 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს შეადგენს ეროვნულ ვალუტაში). სხვა სახის ამხანაგობებისაგან განსხვავებით, თითოეული აქციონერის უფლებები დამოკიდებულია აქციის წილზე, რომელსაც ის ფლობს. ამასთანავე, აქციონერები არ არიან ვალდებული პასუხი აგონ სააქციო საზოგადოების ვალდებულებებზე. მოპასუხედ გამოდის თვითონ სააქციო საზოგადოება საწესდებო კაპიტალის ზომით.

სააქციო საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც ირჩევს მეთვალყურეთა საბჭოს სულ ცოტა სამი და არაუმეტეს ოცდაერთი წევრის შემადგენლობით. მეთვალყურეთა საბჭო, თავის მხრივ, ირჩევს თავუჯდომარესა და მის მოადგილეს, ახორციელებს საზოგადოების გამგეობის საქმიანობის კონტროლს. საერთო კრების კომპეტენციაში შედის წესდების მიღება და მასში ცვლილებების შეტანა, სააქციო საზოგადოების საბჭოს არჩევა, სამეურნეო საქმიანობის წლიური შედეგების, სააქციო საზოგადოების სტრუქტურული რგოლების ცვლილებების განხილვა-დამტკიცება. აქციებისა და ობლიგაციების გამოშვების საკითხების გადაწყვეტა, სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი მუშაკების შრომის ანაზღაურების საკითხების განხილვა და თანამდებობრივი ხელფასის დამტკიცება და ა.შ. აქციონერთა საერთო კრების მიერ არჩეული სააქციო საზოგადოების საბჭო ამ კრებისაგან მთელ რიგ ფუნქციებს იღებს. იგი, თავის მხრივ, ირჩევს თავუჯდომარეს და ნიშნავს სააქციო საზოგადოების აღმასრულებელ ორგანოს, გამგეობის სახით. გამგეობის საქმიანობის კონტროლისათვის ირჩევს აგრეთვე სარევიზო კომისიას.

„მეწარმეთა შესახებ კანონის“ შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში საწარმო, გარდა კოოპერატივისა, რომელშიაც ორმოცდაათზე მეტი პარტნიორია, უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით.

აგროსამრეწველო ფორმა (აგროფორმა) წარმოადგენს საწარმოს, რომელიც სამეურნეო საქმიანობას ასრულებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის პროცესის შერწყმის საფუძველზე. მისი ძირითადი ამოცანაა აგრობიზნესის საწარმოო ჩარჩოებში, მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გზით, მოგების მიღება.

აგროფორმაში შემავალ ქვედანაყოფებს გააჩნიათ სრული ოპერატიულ-სამეურნეო და ფინანსური დამოუკიდებლობა. მათი მართვა ხორციელდება კონკრეტული ქვედანაყოფისათვის დამახასიათებელი ფორმით: შეუძლიათ თავიანთ პროდუქციას რეალიზაცია გაუკეთონ აგროფორმაში ან მისი სახელით სხვა ორგანიზაციაში.

აგროსამრეწველო კომბინატი (აგროკომბინატი) წარმოადგენს აგროსამრეწველო ტიპის ფორმირებას, რომელშიც გაერთიანებულ საწარმოებში მართვის ცალკეული ფუნქციების ცენტრალიზაციის საფუძველზე შერწყმულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის პროცესები. აგროკომბინატში შემავალი საწარმოები არ ფლობენ სამეურნეო დამოუკიდებლობას.

კომბინატის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საბჭო, რომლის შემადგენლობის ფორმირება ხდება კომბინატში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების რწმუნებული პირებისაგან. ყოველდღიურ ხელმძღვანელობას ახორციელებს განცალკევებული აპარატი, რომელსაც გენერალური დირექტორი ხელმძღვანელობს.

აგროკონცერნი (კონცერნი) ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანებულ იურიდიულად დამოუკიდებელ საწარმოთა გაერთიანებაა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, გადამუშავებას, რეალიზაციას, სერვისსა და სხვა საქმიანობას ერთობლივად ეწევიან. აგროკონცერნში მონაწილენი თავიანთი უფლებებისა და ფუნქციების ნაწილს ნებაყოფლობით გადასცემენ მას. ამასთან, არ შეუძლიათ კიდევ სხვა კონცერნის შემადგენლობაშიც იყვნენ.

აგროკონცერნის მართვის უმაღლესი ორგანოა მასში შემავალ საწარმოთა კრებებზე არჩეულ რწმუნებულ პირთა კრება. რწმუნებულთა კრებებს შორის კონცერნის საქმიანობის ოპერატიულ მართვას ახორციელებს საბჭო ან გამგეობა. ყოველდღიურ ხელმძღვანელობას კი - მართვის განცალკევებული აპარატი ასრულებს, რომელსაც აგროკონცერნის ხელმძღვანელობა კონტრაქტის

საფუძველზე ქირაობს. მას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე ან პრეზიდენტი.

პოლდინგური კომპანია - ეს არის კომპანიის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც იქმნება სხვა კომპანიების (ფირმების) აქციების საკონტროლო პაკეტის ფლობის გზით, მათი საქმიანობის კონტროლისა და მართვისათვის.

კლასიკური პოლდინგური კომპანია შედგება სათაფო (დედა), ქალიშვილი და შვილიშვილი კომპანიებიდან (ფირმებისაგან). ქალიშვილი კომპანიები ფლობენ დამოუკიდებელი იურიდიული პირების სტატუსს, მათი ადგილმდებარეობა არაა დამოკიდებული სათაფო კომპანიების ადგილმდებარეობაზე. გაკორტების შემთხვევაში ისინი თავიანთი ვალდებულებებითა და ქონებით აგებენ პასუხს. ქალიშვილი კომპანიები ხშირად მათზე დაქვემდებარებული შვილიშვილი კომპანიების აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელები არიან.

არსებობს პოლდინგური კომპანიების ორი ტიპი: წმინდა პოლდინგი, რომელიც ასრულებს მხოლოდ საკონტროლო-მმართველობით და ფინანსურ ფუნქციებს და შერეული პოლდინგი, რომელიც აღნიშნულის გარდა დაკავებულია სამეწარმეო საქმიანობითაც. ე.ი. პოლდინგური კომპანია ეს არის კორპორაცია, რომელიც ფლობს სხვა კორპორაციის აქციათა საკონტროლო პაკეტს, რაც უფლებას აძლევს იქონიოს მასზე საქმიანი კონტროლი. დასავლეთის ეკონომიკაში პოლდინგი ფინანსური ცენტრი და ტენია ნებისმიერი მსხვილი კორპორაციისა.

აგროკონსორციუმი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების საწარმოთა, ორგანიზაციათა და ბანკების კოოპერაციაა, რომლებიც მთლიანად ინარჩუნებენ თავიანთ დამოუკიდებლობას და გაერთიანებული არიან სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის მიზნობრივი პროგრამებისა და პროექტების ერთობლივად განხორციელების მიზნით. დასახული ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ აგროკონსორციუმი წყვეტს საქმიანობას ან გარდაიქმნება სხვა სახის გაერთიანებად.

აგროკონსორციუმის ორგანიზაცია და ფუნქციონირება დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

- საწარმოთა ნებაყოფლობითი შესვლა ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების სფეროში;
- დამოუკიდებელი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა და თანაბარუფლებიანობა;
- პარტნიორებს შორის ურთიერთობათა რეგულირების სახელშეკრულებო სისტემა;
- პროდუქციისა და შემოსავლების პროპორციული განაწილება მთლიან წარმოებაში წილობრივი მონაწილეობის მიხედვით.

აგროკონსორციუმის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა დირექტორების საბჭო, რომელიც ირჩევს თავმჯდომარეს, ამტკიცებს ხელშეკრულებებს, ადგენს მუშა ორგანოებს (გამგეობა, სარევიზიო კომისია და სხვა), წყვეტს კონსორციუმში მიღებისა და გარიცხვის საკითხებს, განიხილავს და ადგენს პროგრამებსა და ანგარიშებს გაწეულ საქმიანობაზე, ანაწილებს შემოსავლებს მონაწილეთა შორის, აწესებს კონსორციუმის ფონდში გადარიცხვების ნორმატივებს.

კითხვები და ამოცანები:

1. ჩამოაყალიბეთ ეკონომიკური მოვების არსი.
2. ჩამოაყალიბეთ ფირმის მოვების მაქსიმალური პირობა სრულყოფილი და არასრულყოფილი კონსორციუმის პირობებში.
3. რა პერსპექტივები გააჩნია საქართველოში გლეხთა საკრედიტო კავშირებს?
4. დაახასიათეთ აგროკონსორციუმის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები.

5. სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე ფუნქციონირებადი ფირმის საერთო დანახარჯების ფუნქციაა: $TC=150+0,0005Q^2$. ზღვრული ხარჯები $MC=0,001Q$. თუ საქონლის ფასია 0,5 ლარი, რამდენი უნდა გაწარმოოს, რომ მივიღოთ მაქსიმალური მოგება? განსაზღვრეთ მისი მოცულობა?
6. ფირმის საწარმოო ფუნქციაა $Q = \frac{K \times T}{4}$. კაპიტალის ერთეულის ფასია 32 ლარი, ხოლო მიწის რენტა პექტარზე შეადგენს 160 ლარს. როგორი იქნება რესურსთა ოპტიმალური კომბინაცია 32 ტ მარცვლეულის საწარმოებლად?

თემა 4. აგრარული სექტორი და წარმოების ფაქტორთა ბაზრები

„ღარი უღონოს სხვის ღირვ შექმნა, ღარი უსწორის სხვამ საქმარობდ გუბნა. ღარი უკოდანაროს სხვის კოდან ქველა და ამაღის წყდობით ღარი ქვეას წარმოადგენს თავის რიგულსე ბუმი ბაღდაღდან მასყეს.“

ოლა ჰევილი

- 4.1. რესურსებზე მოთხოვნა და მიწოდება სხვადასხვა სტრუქტურის ბაზრებზე
- 4.2. მიწის ბაზარი
- 4.3. ეკონომიკური რენტა
- 4.4. მიწის რენტა და მიწის ფასი
- 4.5. სასოფლო-სამეურნეო მიწის არენდა
- 4.6. შრომის ბაზარი
- 4.7. კაპიტალის ბაზარი

4.1. რესურსებზე მოთხოვნა და მიწოდება სხვადასხვა სტრუქტურის ბაზრებზე - საწარმოო რესურსები იმ ბუნებრივ, სოციალურ და სულიერ ძალთა ერთობლიობაა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საქონლის, მომსახურებისა და სხვა ფასეულობათა შექმნის პროცესში. რესურსები, როდესაც ჩაერთვებიან წარმოების პროცესში დებულობენ წარმოების ფაქტორთა სახეს.

მიუხედავად მზა პროდუქციის ბაზართან გარკვეული მსგავსებისა, რესურსების ბაზარი რიგი სპეციფიკური თავისებურებებით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ *რესურსებზე მოთხოვნა წარმოებულის ხასიათს ატარებს*. იგი იზრდება ან მცირდება მოცემული რესურსისგან დამზადებულ პროდუქციაზე მოთხოვნის ცვლილების შესაბამისად; *რესურსების მოხმარება ურთიერთდაკავშირებულია*. მათი გამოყენება ცალ-ცალკე გამონაკლისს განეკუთვნება. განსაკუთრებით შესამჩნევია იგი სოფლის მეურნეობაში, სადაც წარმოების პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელია მინიმუმ ორი რესურსი - მიწა და შრომა; აგრარული წარმოებისთვის აუცილებელი მრავალი საშუალების წარმოება ხორციელდება დარგებში, რომლებსთვისაც დამახასიათებელია მონოპოლიისადმი მიდრეკილებადი ხასიათი, მაშინ როცა აგრარულ სექტორში სახეზეა სრულყოფილი კონკურენციისადმი მიდრეკილებადი ხასიათი.

სხვადასხვა სტრუქტურის ბაზრებზე რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდების განხილვისთვის აუცილებელია გავეცნოთ რიგ საკითხებს. კერძოდ, საერთო პროდუქტის ნაზრდს ნატურალურ ერთეულში, რომელიც მიღებულია რომელიმე რესურსის გამოყენების ერთეულით ზრდის შედეგად, ამ რესურსისგან ზღვრული ფიზიკური პროდუქტი ეწოდება (MP_x, MP_L, MP_1, \dots). ზღვრული პროდუქტი ფულად გამოსახულებაში ($MRP_x, MRP_L, MRP_1, \dots$) წარმოადგენს დამატებით შემოსაკაღს, მიღებულს დამატებითი ერთეული რესურსის გამოყენებისგან. $MRP_x = MR \times MP_x^2$; სადაც, MP_x^2 - ზღვრული ფიზიკური პროდუქტი X-ია a რესურსისაგან. MR - შემოსაკაღის ფულადი ცვლილება, გამოწვეული X საქონლის დამატებითი ერთეულის გაყიდვით.

კონკრეტულად, ცალკეული რესურსების მიხედვით, აღნიშნული შემდეგნაირად შეიძლება განვავრცოთ: შრომის ზღვრული შემოსაკაღიანობა უტოლდება ფირმის ზღვრული შემოსაკაღისა და შრომის ზღვრული პროდუქტის ნამრავლს: $MRP_L = MR \times MP_L$. სრულყოფილი კონკურენციის პირობებში

ზღვრული შემოსავალი უტოლდება გამომშვების ფასს ($MR=P$). თუ ფირმა მოგების მაქსიმუმიზაციაზე ფიქრობს იგი მუშებს დაიქირავეს მანამ, სანამ ზღვრული შემოსავალი შრომის გამოყენებისგან არ გაუტოლდება შრომის ანაზღაურებას ($MRP_L = W$) ე.ი. მანამ, სანამ ზღვრული შემოსავალი შრომის გამოყენებისგან არ გაუტოლდება ხარჯებს, რომელიც მის შესყიდვასთანაა დაკავშირებული (ე.ი. შრომის ანაზღაურებას). წარმოდგენილ ფორმულაში MRP_L -ის ნაცვლად შრომის ანაზღაურების (W) და MR -ის ნაცვლად ფასის (P) ჩასმით მივიღებთ: $W = P \times MP_L$.

$MP_L = \frac{W}{P}$ სადაც W - ნომინალური შრომის ანაზღაურებაა; P - გამომშვების ფასი;

$\frac{W}{P}$ - რეალური შრომის ანაზღაურება.

ამგვარად, მოგების მაქსიმუმიზაციის პირობა ამ შემთხვევაში შრომის ზღვრული პროდუქტისა და რეალური შრომის ანაზღაურების ტოლობა იქნება. ჩვენ გამოვთვალეთ, რომ $MR \times MP_L = W$, ანალოგიურად შეიძლება გამოვთვალოთ იგივე ტოლობა მიწისა და კაპიტალისათვის: $MR \times MP_k = r$, სადაც r მიწის რენტული შეფასებაა და $MR \times MP_k = rk$, სადაც rk კაპიტალის რენტული შეფასებაა. რადგანაც დანახარჯთა მინიმიზაციის დროს ყველა ფაქტორიდან ზღვრული შემოსავალი ტოლი უნდა იყოს და მოგების მაქსიმუმიზაციის პირობიდან ($MR=MC$) გამომდინარე მეურნეობისთვის (საწარმოსთვის) ოპტიმალურ სიტუაციაში უნდა

შესრულდეს პირობა: $MR = MC = \frac{W}{MP_L} = \frac{rk}{MP_k} = \frac{r}{MP_L}$.


სრულყოფილი კონკურენციის პირობებში მზა პროდუქციის ბაზარზე ზღვრული ამონაგები (ე.ი. დამატებითი ერთეული პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები) პროდუქციის ერთეულის საბაზრო ფასს უტოლდება ე.ი. $MR = P$. ამ დროს რესურსის ზღვრული პროდუქტისაგან მიღებული ამონაგები ანუ ზღვრული ამონაგები რესურსისაგან (MRP) ტოლი იქნება ამ ზღვრული პროდუქტის ღირებულებების: $MRP_s^x = VMP_s^x = P_s \times MP_s^x$.

არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში ზღვრული ამონაგები (MR) დაბალია პროდუქტის ერთეულის საბაზრო ფასზე (P_x) და ამიტომ ზღვრული პროდუქტის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ნაკლებია მის ღირებულებაზე: $MRP_s^x < VMP_s^x$. (Value of marginal product, ზღვრული პროდუქტის ღირებულება).

რესურსებზე მისთვის ოპტიმალური მოთხოვნის განსაზღვრისას ფირმა ორიენტირებულია რესურსის შემოსავლიანობის დონეზე ე.ი. MRP_s^x - ზე. რამდენადაც სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე $MRP_s^x = VMP_s^x$, ამდენად გრაფიკზე გამოსახული იქნება ერთი, უარყოფითი დახრის მქონე ხაზი. უარყოფითი დახრა მიუთითებს, რომ მზა პროდუქციის კონკურენტულ ბაზარზე ფასი და ზღვრული ფიზიკური პროდუქტის ღირებულება კლებადი ხიდიდებია (ნახ. 4.1. ა). იმ შემთხვევაში, როცა მზა პროდუქციის ბაზარი მონოპოლიზებულია, ზღვრული პროდუქტის რეალიზაციით მიღებული დამატებითი შემოსავალი მის ღირებულებაზე ნაკლები იქნება (ხაზი MRP_s^x გადის VMP_s^x ხაზის ქვეშ. ნახ. 4.1. ბ.).


თუ გამოსაყენებელი რესურსების ბაზარი კონკურენტულია ეს ნიშნავს, რომ რესურსთა ნებისმიერი ერთეული ფირმას შეუძლია იყიდოს ერთნაირ ფასში. ხაზი MRC_s ამ შემთხვევაში (იგივე ფასის ხაზი) იქნება პორიზონტალური (ნახ. 4.1. გ.). თუ რესურსთა ბაზარი არასრულყოფილი კონკურენციისაა, მაშინ ასეთ ბაზარზე იქნება ერთი, ან რამდენიმე გამყიდველი და ფირმა-მყიდველს ყოველი დამატებითი ერთეული რესურსის ყიდვა მოუწევს წინაზე უფრო მაღალ ფასად (ფასის ხაზი P , არის მიწოდების ხაზიც S_s , ანუ რესურსებზე საშუალო ხარჯების - ARC_s და აქვს დადებითი დახრა). სარგებლობს რა თავისი გაბატონებული

სიტუაციით, რესურსის გამყიდველი არა მარტო დამატებით, არამედ ყველა ერთეულს მაღალ ფასად გაყიდის. ამგვარად, ფირმის დამატებითი ხარჯები (MRC_a), დაკავშირებული რესურსების გამოყენების ზრდასთან, აღმოჩნდება დამატებული ერთეული რესურსის ფასზე მაღალი და მივიღებთ: $MRC_a > P_a (=ARC_a)$ (ნახ. 4.1. დ.).



ნახ. 4.1. ა) რესურსის ზღვრული პროდუქტის ღირებულება (VMP_a). მისგან შემოსხავალი (MRP_a) და მასზე ფირმის მოთხოვნა (D_a) მზა პროდუქტის სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე.
 ბ) რესურსის ზღვრული პროდუქტის ღირებულება (VMP_a), მისგან შემოსხავალი (MRP_a) და მასზე ფირმის მოთხოვნა (D_a) მზა პროდუქტის არასრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე.
 გ) ფირმის ზღვრული ხარჯები (MRC_a) და რესურსების მიწოდება (S_a) სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე.
 დ) ფირმის ზღვრული ხარჯები (MRC_a) და რესურსების მიწოდება (S_a) არასრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე.

ბაზრის სტრუქტურიდან გამომდინარე ავტარულ სექტორში რესურსების ბაზარზე ყველაზე ტიპურია შემდეგი სიტუაცია, როცა ფირმა ყიდის თავის პროდუქციას და ყიდულობს მისთვის საჭირო რესურსს სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე. ამ დროს ფირმისთვის ოპტიმალურია a_e მოცულობის რესურსის შესყიდვა და უნდა შესრულდეს პირობა რესურსის ზღვრული ერთეულისგან წარმოებული დამატებითი პროდუქტის ღირებულება უტოლდება რესურსის ერთეულის ფასს, $VMP_a^* (=MRP_a^*) = P_a (=MRC_a)$ (ნახ. 4.2). ასევე შეიძლება ადგილი ქონდეს სიტუაციას, როცა ფირმა მზა პროდუქციას ყიდის სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე, ხოლო რესურსებს ყიდულობს არასრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე ცხადია, ასეთ შემთხვევაში ფირმის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად იზღუდება, რადგანაც იგი იძულებულია უფრო მაღალ ფასად შეიძინოს რესურსთა ნაკლები რაოდენობა.



ნახ.4.2. ფირმა ყიდის თავის პროდუქციას და ყიდულობს რესურსებს სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე.

4.2. მიწის ბაზარი. მიწის, როგორც აგრარული სექტორის განსაკუთრებული ეკონომიკური რესურსის თავისებურებათა შორის აღსანიშნავია შემდეგი: 1) მიწის მიწოდების შეზღუდული (ფიქსირებული) ხასიათი. სივრცობრივი განსაზღვრულობა. მიწის მიწოდება შეზღუდულია არა მარტო მიწით, არამედ მაკროდონეზეც. უმრავლესი ფერმებისთვის გაფართოება არა მარტო მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან პერიოდშიც კი ძნელია.

ხმელეთის ფართობი (ანტარქტიდის გამოკლებით), რომელსაც პრაქტიკულად იყენებს კაცობრიობა შეადგენს 13,392 მლრდ ჰა-ს, ანუ დედამიწის საერთო ფართობის 26,2%-ს. მიწები, რომელზედაც ადამიანები ახორციელებენ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, შეადგენს პლანეტის მიწის ფართობის 8,9 %-ს (1,19 მლრდ ჰა-ს). ამჟამად მსოფლიოში დამუშავებულია მიწის საერთო რესურსების მხოლოდ 10,8 %. მსოფლიოში დამუშავებული მიწის ფართობის 60 % ევროპასა და აზიაზე მოდის. FAO - ს მონაცემებით მსოფლიო მიწის რესურსების 70 % წარმოდგენილია დაბალპროდუქტიული საეარგულებით. მთელი მიწის ფონდი კი შემდეგნაირადაა განაწილებული: ძლიერ ცივ კლიმატურ პირობებშია მოქცეული 20%, ძლიერ გვაღვიან კლიმატურ პირობებში - 20%, ძლიერი სისქის ნიადაგები შეადგენენ 10%-ს, სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებულია 10%, საძოვრებით, ველებითა და ტყეებით დაკავებულია 20%.

2) მიწის ნაყოფიერების (ხარისხის) განსხვავებულობა. ნაყოფიერება დამოკიდებულია ნიადაგის ხარისხზე და ნაყოფიერი მიწების რაოდენობა კონკრეტული ქალაქისა და ცალკეული ფერმის ირგვლივ ორმაგად შეზღუდულია როგორც ხარისხის, ისე რაოდენობის მხრივ.

3) მიწისთვის დამახასიათებელია განლაგების უძრობა. წარმოების სხვა საშუალებებისაგან განსხვავებით ძირითადად შეუქმლებელია მისი გადანაცვლება ერთი ადგილიდან მეორეზე.

4) მიწის, როგორც წარმოების საშუალების შეუცვლელობა. კაცობრიობის განვითარების კვალობაზე მიმდინარეობს ტრადიციული წარმოების საშუალებების მექანიკური, ელექტრონული და ატომური ძრავებით ჩანაცვლება. მიწა კი კვლავაც რჩება წარმოების შეუცვლელ საშუალებად.

მრავალწლიანი გამოყენებისას მიწის უცვლელი ხასიათი ნებისმიერი წარმოების საშუალება გამოყენების პროცესში განიცდის მორალური ან ფიზიკური ხასიათის ცვლას. მიწა კი რაციონალური გამოყენების პირობებში არა თუ ცვდება, იფიტება, არამედ უფრო ნაყოფიერი ხდება.


6) აგრარულ სექტორში მიწის იმობილურობა. უმრავლეს შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისთვის თავიანთი მეურნეობა წარმოადგენს დასაქმების ერთადერთ რეალურ წყაროს. მათთვის ფერმერული მეურნეობა წარმოადგენს როგორც ოჯახს, ასევე სამუშაო ადგილს და აქედან გამომდინარე, მიწას რთულად ელევა. ფერმერმა შეიძლება შეცვალოს ის კულტურა, რომელიც მოჰყავდა ან სხვა ფერმერს მიჰყავდა ნაკვეთი, მაგრამ თვით საეარგული უმრავლეს შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში რჩება.

მიწაზე მოთხოვნა არაერთგვაროვანია და იგი მოიცავს ორ ძირითად ელემენტს - სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მოთხოვნას. $D = D_{სს} + D_{არასს}$

სადაც, D - მიწაზე ერთობლივი მოთხოვნაა. $D_{სს}$ - სასოფლო-სამეურნეო მიწაზე მოთხოვნა. $D_{არასს}$ - არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე მოთხოვნა.

თუ აბცისთა ღერძზე აგზომავთ მიწის ფართობს, ხოლო ორდინატზე - მიწის ერთეულის ფასს, სასოფლო-სამეურნეო მიწაზე მოთხოვნის მრუდს ექნება უარყოფითი დახრა. რაც ნიშნავს, რომ არსებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის პირობებში სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ახალი მიწების ჩართვისას უნდა გადავიდეთ საშუალო და ცუდი ნაყოფიერების მიწების გამოყენებაზე. არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე მოთხოვნის მრუდს ასევე უარყოფითი დახრა

გაანჩნია, რადგანაც იგი უკავშირდება მდებარეობას და აქაც არსებობს გარკვეული შეზღუდვები. რაც შეეხება მიწაზე ერთობლივ მოთხოვნას, იგი განხილულთა შეჯამებით მიიღება (ნახ. 4.3).




ნახ. 4.3. მიწაზე ერთობლივი მოთხოვნა

სასოფლო-სამეურნეო მოთხოვნა მიწაზე განვითარებული ეკონომიკის პირობებში სურსათზე მოთხოვნის წარმოებულს წარმოადგენს. იგი შედგება მიწათმოქმედების, მეცხოველეობის და ა.შ. პროდუქციაზე მოთხოვნისაგან. სასოფლო-სამეურნეო მიწაზე მოთხოვნა გულისხმობს ნიადაგის ნაყოფიერებასა და მისი ამადნების შესაძლებლობებს, ასევე ადგილმდებარეობას - სურსათისა და ნედლეულის გამოყენების ცენტრიდან ხიშორის ხარისხს. სასოფლო-სამეურნეო მიწაზე მოთხოვნაზე ასევე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მომხმარებლის ბიუჯეტში სურსათის წილის შემცირება, რაც იწვევს მომხმარებლის ხარჯების შემცირებას სურსათზე და ეროვნულ შემოსავალში სოფლის მეურნეობის წილი მცირდება.

სასოფლო-სამეურნეო მოთხოვნისაგან განსხვავებით, არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე მოთხოვნას ზრდისკენ მდგრადი ტენდენცია გააჩნია. იგი აერთიანებს მოთხოვნათა განსხვავებულ სახეებს და შედგება მიწაზე მოთხოვნისაგან მშენებლობისთვის, ინფრასტრუქტურის ობიექტებისთვის, მრეწველობისთვის და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მიწაზე მოთხოვნას ანტიინფლაციური ხასიათი გააჩნია. ინფლაციასთან ბრძოლის ერთ-ერთ მიმართულებად წარმოგვიდგება ფულადი სახსრების გაუფასურებისას უძრავი ქონების შესყიდვა და მიწა გამოდის სიმდიდრისა და ზრდის ერთ-ერთ გარანტად.

არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე მოთხოვნა მიწის ნაყოფიერებაზე დამოკიდებული არ არის. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მისი მდებარეობა.

მიწის მიწოდება. რადგანაც მიწის მიწოდება ფიქსირებული სიდიდეა, მიწაზე მიწოდების გრაფიკი ვერტიკალური ხაზის სახითაა წარმოდგენილი. (ნახ. 4.4).




ნახ.4.4. მიწის მიწოდების შრუდი

43. ეკონომიკური რენტა. რენტის ქვეშ ჩვეულებრივ გულისხმობენ ქირას მიწის გამოყენებაზე. უფრო ფართო გაგებით რენტის ცნება გამოიყენება ყველა იმ მატერიალურ ფაქტორთა მიმართ, რომელსაც აქირავენ. ფრანგულიდან წარმოშობილი სიტყვა „რენტა“ (ფრ. rente, ლათ. reddita) ნიშნავს „მიცემულს“ ეკონომიკური რენტა განსხვავდება რენტის, როგორც რომელიმე რესურსზე ფინანსური გადასახადისაგან. რესურსების უმრავლესობა, რომლებიც წარმოებაში გამოიყენება მიეკუთვნებიან ეკონომიკურს, ანუ შეზღუდულს. რესურსთა შეზღუდულობასთანაა დაკავშირებული ისეთი ცნება, როგორიცაა ეკონომიკური რენტა.

ეკონომიკური რენტა წარმოადგენს სხვაობას იმ ფასს, რომლის გადასახდელოცაა მზადაა ფირმა სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე დამატებით საჭირო შეზღუდული რესურსისთვის და იმ მინიმალურ ფასს შორის, რომელიც უზრუნველყოფს მოცემულ ბაზარზე წარმოების ფაქტორების მიწოდებას.

ეკონომიკური რენტა ხშირად დაკავშირებულია განსაზღვრული სახის რესურსთა ცალკეული ერთეულების გამოწვევისთან. ამიტომ ეკონომიკური რენტა შეიძლება განსაზღვრულ იქნას როგორც შემოსავალი, რომელიც ზოგიერთ რესურსს მისი მფლობელისთვის მოაქვს თავისი გამოწვევისობითა და შეზღუდულობით. თუ რესურსების მიწოდების შეზღუდულობა მისი მფლობელის მიერ შექმნილია ხელოვნურად, მაშინ მიღებული ზეშემოსავალი მონოპოლიურ რენტად იწოდება.

ეკონომიკური რენტის ფორმირების პროცესი ცხადად შეიძლება წარმოვიდგინოთ მოთხოვნისა და მიწოდების მრუდთა ანალიზის საფუძველზე (ნახ. 4.5).




ნახ.45. ეკონომიკური რენტის ფორმირება

$OAEF_e$ ფიგურის ფართობი გვიჩვენებს შემოსავალს, რომლის მისაღებად, წარმოების ფასიდან გამომდინარე, მზად იყო მწარმოებელი, მაგრამ მან მიიღო OP_eEF_e მართკუთხედის ფართობის ტოლი შემოსავალი და ეკონომიკურმა რენტამ შეადგინა AP_eE ფიგურის ფართობის ტოლი თანხა.

რომელიმე რესურსის აბსოლუტურად ელასტიკური მიწოდებისას (S ხაზი პორიზონტალურია), განსაზღვრულ ფასებში, რესურსის მოხმარება და მისგან ამონაგები განისაზღვრება რესურსზე მოთხოვნის მრუდის საშუალებით. რამდენადაც შეუზღუდავი რესურსის დამატებითი ერთეულის მოზიდვისთვის არაა საჭირო მასზე ანაზღაურების ჩვეულებრივზე მეტად გაზრდა, ცხადია რომ ეკონომიკური რენტა ნულის ტოლია.


როცა დამატებითი ერთეული რესურსის მოხიდეა მოითხოვს უფრო მაღალ ანაზღაურებას, მიწოდების მრუდი დადებით დახრას ღებულობს. ვთქვათ, საწყისი მოთხოვნა (D_1) რესურსზე (მაგ. შრომაზე) და მისი მიწოდება (S) განსაზღვრავს წონასწორობის ხელფასს (W_1). ამ განაკვეთით თავისი

მომსახურების მიწოდებისთვის მზადაა მხოლოდ ერთი მუშაკი, ხოლო მეორე მუშაკის მოსაზიდად საჭირო იქნება უფრო მაღალი განაკვეთი (W_2). ამ დროს პირველი მუშაკის ფასისმიერი დისკრიმინაცია გათვალისწინებული არ არის, ე.ი. ისიც მიიღებს W_2 ხელფასს, თუმცა მზად იყო მიეღო W_1 -ც. მისი ხელფასის ნაზრდი განიხილება, როგორც ეკონომიკური რენტა: $ER_1 = W_2 - W_1$. ანალოგიურ შემთხვევას ექნება ადგილი მესამე მუშაკის მოზიდვისას. უკვე მეორე მუშაკიც მიიღებს ეკონომიკურ რენტას: $ER_2 = W_3 - W_2$ პირველის ეკონომიკური რენტა კი იქნება: $ER_3 = W_3 - W_1$. (ნახ. 4.6.).



ნახ. 4.6. ეკონომიკური რენტა რესურსების შეზღუდული მიწოდებისას

იმ შემთხვევაში, როდესაც რესურსის მიწოდება აბსოლუტურად არაელასტიკურია (მიწოდების მრუდი S დებულობს ვერტიკალურ მდგომარეობას), რესურსის გაყიდვიდან მიღებული მთელი შემოსავალი ეკონომიკური რენტის სახეს დებულობს. ამ შემთხვევაში რესურსზე მოთხოვნის ზრდის მიუხედავად, მისი მიწოდება ვერ გაიზრდება. მყიდველთა შორის კონკურენცია კი ასეთ რესურსზე ააშაღლებს ფასს და გაზრდის მესაკუთრის შემოსავალს. (ნახ.4.7.).




ნახ. 4.7. ეკონომიკური რენტა რესურსების ფიქსირებული მიწოდებისას

4.4. მიწის რენტა და მიწის ფასი. მიწის რენტა ეკონომიკური რენტის კერძო სახეს წარმოადგენს. მიწის რენტა ესაა გადასახადი მიწის და იმ სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენებისთვის, რომელთა მიწოდებაც მკაცრად შეზღუდულია.

თავდაპირველად განვიხილოთ რენტა, რომელსაც დებულობს მიწის ყველა მესაკუთრე, მისი ხარისხისაგან დამოუკიდებლად. ასეთ რენტას „აბსოლუტურს“

უწოდებენ. რადგანაც მიწის მიწოდება აბსოლუტურად არაელასტიკურია, ამიტომ თუ აბცისთა ღერძზე ავიღებთ მიწის ფართობს, ხოლო ორდინატთა ღერძზე - რენტას, მიწოდების მრუდი S , ორდინატთა ღერძის პარალელური ხაზის სახით წარმოგვიდგება. რაც შეეხება მოთხოვნის მრუდს (D_0), კლებადი ნაყოფიერების კანონიდან გამომდინარე იგი უარყოფითი დახრის იქნება. (ნახ.4.8). D_0 ხაზის და S -ის გადაკვეთის წერტილი განსაზღვრავს მიწის ბაზარზე წონასწორობას. R_0 აღნიშნავს ყოველთვის რენტას I კა მიწაზე, ხოლო $OQ_0E_0R_0$ ფართობი - ერთობლივ რენტას. R_1 და R_2 შესაბამისად გვიჩვენებს მიწის ფართობის ერთეულზე რენტის ზრდას და კლებას.




ნახ. 4.8. მიწის „აბსოლუტური“ რენტის დონის ცვლილება

აბსოლუტური რენტის წარმოდგენილ მოდელში ეთვლიდით, რომ მიწები ერთნაირი ხარისხისა და მდებარეობისაა. სინამდვილეში მიწები განსხვავებულია („დიფერენცირებულია“) როგორც ნაყოფიერებით, ისე ადგილმდებარეობით. დაეუშვათ, ნაყოფიერების თვალსაზრისით არის სამი სახის მიწა: საუკეთესო, საშუალო და უცუდეხი. კაპიტალისა და შრომის თანაბარი დაბანდებისას მიღებული იქნება განსხვავებული შედეგები: საუკეთესოზე - მაღალი, უცუდეხზე - დაბალი. ამიტომაც რენტა საუკეთესო მიწაზე უფრო მაღალი, ვიდრე საშუალოსა და უცუდეხზე. თავის მხრივ, საშუალოზე უფრო მაღალი იქნება, ვიდრე უცუდეხზე. უცუდეხი მიწა მის შესაკუთრეს მისცემს წმინდა ეკონომიკურ (აბსოლუტურ) რენტას, ხოლო საშუალო და საუკეთესო მიწების შესაკუთრები, ამასთან ერთად მიიღებენ დიფერენციულს.

ნახ. 4.9-ზე მოცემულია დიფერენციული რენტის მიღების მექანიზმი. საუკეთესო მიწის მფლობელები ყოველ პექტარზე მიიღებენ დიფერენციულ რენტას R_1 -ის ოდენობით თვეში, საშუალო ხარისხის მიწის მფლობელები - დიფერენციულ რენტა R_2 -ს, ხოლო უცუდეხი ნაკვეთის მფლობელების დიფერენციული რენტა ნულის ტოლი იქნება.

რადგანაც მიწის ნაყოფიერება მუდმივი არ არის, იგი მეურნეობრიობის შედეგად შეიძლება გაუმჯობესებულ ან გაუარესებულ იქნას. დღევანდელიობაში მიწა კაპიტალისა და შრომის ხანგრძლივი დაბანდების შედეგს წარმოადგენს. თუ დამატებითი კაპიტალდაბანდები ზრდიან წარმოების ეფექტიანობას, საუბარი იქნება დამატებითი უკუგების ზრდაზე და საარენდო ხელშეკრულების გადასინჯვის შედეგად რენტა R_1 - მდე გაიზრდება. საპირისპირო სიტუაციაში, რენტა საუკეთესო მიწაზე R_1 - მდე დაეცემა.

განასხვავებენ დიფერენციულ რენტა I-სა და დიფერენციულ რენტა II-ს. დიფერენციული რენტა I დაკავშირებულია ნიადაგის ნაყოფიერებასა და გასადების ბაზრებთან მიმართებაში ადგილმდებარეობის განსხვავებულობასთან. დიფერენციული რენტა II კი წარმოიშობა წარმოების საშუალებებისა და შრომის დამატებითი გამოყენების შედეგად, ე.ი. მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის დროს.



ნახ. 49. დიფერენციული რენტის ფორმირება

მიწაზე ფასი რენტის კაპიტალიზაციით განისაზღვრება. დაეუფავთ, რომ მიწის რომელიღაცა ნაკვეთი ყოველწლიურად R სიდიდის რენტას იძლევა, როგორი იქნება ამ ნაკვეთის ფასი? კითხვაზე პასუხის გაცემისთვის აუცილებელია მიწის მესაკუთრისთვის ალტერნატიული ღირებულების განსაზღვრა. მიწის ფასი უნდა შეადგენდეს თანხას, რომლის ბანკში შენახვისას მიწის ყოფილმა მესაკუთრემ პროცენტის სახით უნდა მიიღოს რენტის ანალოგიური თანხა. შესაბამისად, მიწის ფასი შეადგენს მომავალი მიწის რენტის დისკონტირებულ ღირებულებას:

$$V_i = \sum \frac{R_t}{(1+i)^t} \quad \text{თუ } t \rightarrow \infty, \text{ მაშინ } \frac{1}{(1+i)^t} \rightarrow 0 \text{ და } \lim_{t \rightarrow \infty} \sum \frac{R_t}{(1+i)^t} = \frac{R}{i} \text{ სადაც, } R$$

- წლიური რენტაა, i - ხესხის პროცენტის განაკვეთი.

უფრო მარტივად, თუ რენტა შეადგენს 400 დოლარს, ხოლო ხესხის პროცენტის განაკვეთი 5%, მიწის ფასი იქნება: $400 : 5\% = 400 \times 100 : 5 = 8000$ დოლარს.

სინამდვილეში რენტა წარმოადგენს იმ თანხის მხოლოდ ნაწილს, რომელსაც არენდატორი უხდის მიწის მესაკუთრეს. საარენდო გადასახადი რენტის გარდა მოიცავს შენობა-ნაგებობების ამორტიზაციის თანხას, ასევე დაბანდებულ კაპიტალზე პროცენტს.

ზოგადეკონომიკური თვალსაზრისით მიწის ფასის წარმოდგენილი გამოთვლა მისაღებია, მაგრამ იგი ყველა ნიუანსს ვერ ითვალისწინებს. კერძოდ: მიწათმფლობელისთვის მიწის რენტის ზრდის (ან შემცირების) შედეგად მიღებული სარგებლის (ან ზარალის) დამატებით ნაზრდს. მიწისთვის, სხვა წარმოების საშუალებებისაგან განსხვავებით, აღნიშნული ნაზრდი იმითაც განისაზღვრება, რომ მისი რაციონალური გამოყენების პირობებში, მიწა ამორტიზებას არ განიცდის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიღებულია მიწის ფასის გამოთვლისთვის შემდეგი ფორმულის გამოყენება:

$V_i = \frac{R(1+g)}{i-g}$ სადაც, g ინფლაციის საერთო დონესთან შედარებით მიწის რენტის დამატებითი ზრდის ინდექსია.

4.5. სასოფლო-სამეურნეო მიწის არენდა. სასოფლო-სამეურნეო მიწის არენდა გულისხმობს მის გაქირავებას შესაბამისი ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე. მიღებულია მისი ორი ფორმა - ფულადი და ნატურალური.

არენდის ფულადი ფორმის დროს არენდატორი მიწათმფლობელს უხდის განსაზღვრულ საარენდო ქირას, რომელიც შეიძლება გათვლილი იყოს მთელს

ფართობზე ან ფართობის ერთეულზე ხშირად ისეც ხდება, რომ საარენდო ქირა ითვალისწინებს მოსავლის მოკლობას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასებს და იცვლება მათი ცვლლების შესაბამისად.

სასოფლო-სამეურნეო მიწის არენდის ნატურალური ფორმა, შეთანხმების ან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გულისხმობს არენდატორის მიერ მიწის მესაკუთრისთვის პროდუქციის ნაწილის გადაცემას. მიწათმოქმედებაში, როგორც წესი, არენდატორი მიწის მესაკუთრეს აძლევს მიღებული პროდუქციის განსაზღვრულ ნაწილს და იმ იცვლება მთლიანი პროდუქციის ცვლილების შესაბამისად. რაც შეეხება მცხოველეობას, მიწის მესაკუთრე არენდატორზე აქირავებს მიწას და შესაბამის ნაგებობებს, ხოლო პირუტყვი შეიძლება იყოს როგორც მიწის მესაკუთრის, ის არენდატორის, ან საწილო.

როგორც წესი, მიწის არენდის ნატურალური ფორმის დროს საარენდო გადასახადი უფრო მაღალია, რაც განპირობებულია იმით, რომ ასეთ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არსებულ რისკს ინაწილებენ მიწის მესაკუთრე და არენდატორი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიწის არენდის ფულადი ფორმის პირობებში ეს რისკი მთლიანად არენდატორს აწევია.

4.6. შრომის ბაზრი. შრომა წარმოადგენს მთავარ ფაქტორს წარმოების ფუნქციონირებისათვის, ხოლო შრომის ანაზღაურება - საბაზრო ფასის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხახეს.

შრომა განუყოფელია მის მატარებლისგან. ნედლეულისაგან, მიწისაგან და ა.შ. განსხვავებით იგი არ შეიძლება იყოს მეწარმის საკუთრება. შრომა არა მარტო, არამედ სოციალური ფაქტორიცაა, მის მატარებელს გააჩნია უფლებები, რომელსაც იცავს პროფკავშირები და სახელმწიფო.

რადგანაც შრომის შედეგები სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბუნებრივ-კლიმატურ, სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე, ამის გამო აგრარულ შრომას სერთულე და მისი შედეგების აღბათობის მაღალი ხარისხი გააჩნია.

აგრარულ სექტორში შრომას გააჩნია რიგი ნიშან-თვისებები, რომელთაგან აღსანიშნავია:

1) აგრარული შრომის იმობილური ხასიათი. დღეისათვის აგრარულ სექტორში ფუნქციონირებადი ფერმების უმრავლესობა საოჯახო ფერმებია და მათში ფართო გამოყენება აქვს ოჯახის წევრთა შრომას. მიუხედავად სხვადასხვა სახის პრობლემებისა, ფერმერი ცხადია ვერ შეამცირებს ოჯახის წევრებს და მათი შრომის ალტერნატიული დასაქმებისაკენ გადართვის შესაძლებლობები შეზღუდულია.


2) აგრარული შრომის მალაკვალიფიკაციური ხასიათი. აგრარული შრომა მიმართულია ბუნებრივი პირობების, მცენარეთა და ცხოველთა თავისებურებების გამოყენება-გაუმჯობესებისაკენ რაც მრავალმხრივ გამოცდილებას, სხვადასხვა აგროკულტურებისა და ცხოველთა მოვლის წესების ცოდნას მოითხოვს.

3) აგრარული შრომის სეზონური ხასიათი. აგრარულ სექტორში განსაკუთრებული დაკაბულობით გამოირჩევა გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდები, შესაბამისად ამ პერიოდებზე მოდის შრომის მნიშვნელოვანი დანახარჯები.

აგრარული სექტორის წერილი საოჯახო ფერმებისთვის დამახასიათებელია ოჯახის წევრთა შრომის გამოყენება, ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც გარკვეული პერიოდისთვის საჭიროა დამატებითი სამუშაო ძალის მოზიდვა, იგი ხორციელდება სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე.


აგრარული სექტორის მსხვილი ორგანიზაციული ფორმების შემთხვევაში შრომის ბაზრისთვის ყველაზე სპეციფიკურია სრულყოფილი კონკურენციის

პირობები. ამ დროს შრომის ფასი ფორმირდება ნებისმიერ სხვა საქონელზე ფასის მსგავსად. (ნახ. 4.10.).



ნახ. 4.10. ხელფასის ფორმირება სრულყოფილი კონკურენციის პირობებში

სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ხელფასის ცვლილება განსაზღვრავს შრომაზე მოთხოვნის მოცულობის ცვლილებას. თუ ხელფასი იზრდება W_0 -დან W_1 -მდე, დაქირავებულ მუშაკთა რიცხვი შემცირდება L_0 -დან L_1 -მდე, თუ ხელფასი დაეცემა W_2 -მდე, დასაქმებულთა რიცხვი გაიზრდება L_2 -მდე. (ნახ.4.11.).



ნახ.4.11. შრომაზე მოთხოვნა და შრომის ანაზღაურებას შორის კავშირი

4.7. კაპიტალის ბაზარი. კაპიტალი საზოგადოებრივი სიმდიდრის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს. ფართო გაგებით კაპიტალი ესაა ნებისმიერი რესურსი, შექმნილი უფრო მეტი რაოდენობის ეკონომიკური დოვლათის წარმოების მიზნით. საქონლისა და მომსახურების გარკვეული მოცულობის შექმნისთვის აუცილებელია საწარმოო პროცესში რესურსთა გარკვეული მარაგის ე.ი. კაპიტალის არსებობა.

განასხვავებენ კაპიტალის ორ ძირითად ფორმას: ფიზიკურ (მატერიალურ-ნივთობრივ) კაპიტალს (მანქანა-მოწყობილობები, შენობა-ნაგებობანი, ნედლეული და ა.შ.) და ადამიანურ (ადამიანისეულ) კაპიტალს (საერთო და სპეციფიკური ცოდნა, შრომითი ჩვევები, საწარმოო გამოცდილება და ა.შ.). შკაცრი

დიფერენცირებით ადამიანური კაპიტალი ესაა შრომითი რესურსების განსაკუთრებული განსხვავებულობა.

ფიზიკური კაპიტალი თავის მხრივ იყოფა ძირითად კაპიტალად, რომელსაც მიეკუთვნება გრძელვადიანი გამოყენების რეალური აქტივები, ისეთი როგორიცაა: შენობა-ნაგებობანი, მანქანა-მოწყობილობები, მუშა და პროდუქტიული პირსტყვი და ა.შ. და საბრუნავ კაპიტალად, რომელიც გამოიყენება წარმოების თითოეულ ციკლში და მიეკუთვნება ნედლეული, შრომის ძირითადი და დამხმარე მასალები.

ძირითადი კაპიტალი გამოიყენება რამდენიმე წლის განმავლობაში და შეცვლას ექვემდებარება მისი ფიზიკური და მორალური ცვეთის შესაბამისად. საბრუნავი კაპიტალი მთლიანად გამოიყენება ერთი სამრეწველო ციკლის განმავლობასი და მისი მოცულობა მთლიანად მიეკუთვნება წარმოების დანახარჯებს, მაშინ როცა ძირითადი კაპიტალის ღირებულება ნაწილ-ნაწილ გაითვალისწინება ახლად შექმნილი პროდუქციის ხარჯებში.

აგრარულ სექტორში კაპიტალის არსებით თავისებურებებს მიეკუთვნება:

- 1) მოკლევადიან პერიოდში კაპიტალდაბანდებათა უმეტესი ნაწილი მუდმივ ხარჯებს განეკუთვნებიან. მიუხედავად წარმოების საბოლოო შედეგებისა ფერმერს მისი გაწევა მაინც უწევს და ნაკლებად ექვემდებარება კორექტირებას.
- 2) აგრარულ სექტორში მანქანა-მოწყობილობების კომპლექსური ხასიათი. სეზონურობიდან გამომდინარე მთელი რიგი მანქანა-მოწყობილობების გამოყენება მოკლე პერიოდს მოიცავს, დანარჩენ პერიოდში კი აუცილებელია მათი შენახვის ხარჯების გაწევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფერმერებისთვის კომპლექსური ხასიათის მანქანა-მოწყობილობებია უფრო მისაღები.
- 3) აგრარულ სექტორში გამოყენებული აგრეგატების მობილური ხასიათი. დიდი სიერცობრივი განფენილობისა და მიწის დამუშავების აუცილებლობიდან გამომდინარე აგრარულ სექტორში, სხვა დარგებთან შედარებით უფრო მეტადაა საჭირო მობილური აგრეგატები და კარგი სატრანსპორტო ქსელი, რაც მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს.

კითხვები და ამოცანები:

1. მოცემულ თემაში მოგების მაქსიმიზაციის პირობის წამოყალიბებისას შრომის ფასად აღებულია შრომის ანაზღაურება, ხოლო მიწისა და კაპიტალისათვის - მათი რენტული შეფასებები, რატომ?
2. დაახასიათეთ მიწის, როგორც სპეციფიკური წარმოების ფაქტორის თავისებურებები.
3. დაახასიათეთ აგრარული შრომის თავისებურებები.
4. დაახასიათეთ კაპიტალის თავისებურებები აგრარულ სექტორში.
5. საქონელზე მოთხოვნისა და მიწოდების ფუნქციებია: $Q_d = 2500 - 200P$; $Q_s = 1000 + 100P$. გამოთვალეთ ბაზარზე წონასწორობის პარამეტრები (P_e, Q_e).
6. მიწის მესაკუთრეს უნდა გაყიდოს სასოფლო-სამეურნეო სავარგული 10 ჰას ოდენობით. ამ პერიოდისთვის 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან მიღებული რენტაა 140 ლარი, გრძელვადიან დეპოზიტებზე ბანკის პროცენტის განაკვეთი შეადგენს 7%-ს. ა) ზოგადეკონომიკური თვალსაზრისით როგორი იქნება მთლიანი სავარგულის ფასი? ბ) რა ფაქტორებზე იქნება დამოკიდებული მიწის მესაკუთრის მიერ მოცემული სავარგულის გამოთვლილ ფასზე მაღალ ან დაბალ ფასად გაყიდვა?

თემა 5. აგროსამრეწველო კომპლექსი

ესი შედეგის მიხედვით სამ კლასიდან: მწარმოებელი კლასი, მესაქონელი კლასი და უწყველი კლასი. მწარმოებელი კლასი მესაქონელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულს, მესაქონელი კლასი - მწარმოებელს, ხოლო უწყველი კლასი - მწარმოებლის გარდა სხვა სფეროებში მოღვაწეობს.

ფრანსუა კრე

- 5.1. აგროსამრეწველო კომპლექსის არსი. მისი ფორმირების წინამძღვრები
- 5.2. ინტეგრაცია და კოოპერაცია: არსი, ფორმები
- 5.3. აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურა
- 5.4. სასურსათო და არასასურსათო ქვეკომპლექსები
- 5.5. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურა

5.1. აგროსამრეწველო კომპლექსის არსი, მისი ფორმირების წინამძღვრები.

აგროსამრეწველო კომპლექსი (ასკ) წარმოადგენს აგრარული სექტორის პროდუქციის წარმოებით, შენახვით, გადამამუშავებითა და საბოლოო პროდუქციის მომხმარებელამდე დაყვანით დაკავებულ, ერთმანეთთან ეკონომიკურად, ორგანიზაციულად და ტექნოლოგიურად დაკავშირებულ დარგთა სისტემას.

XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთ მახასიათებელს კელავწარმოების პროცესის მადალეფექტური განვითარება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკური ზრდის ხარისხობრივი სრულყოფა წარმოადგენდა. აღნიშნულ ფაქტორთა ზეგავლენით აგრარულმა წარმოებამ და მასთან დაკავშირებულმა გადამამუშავებელმა, მომსახურე, მომმარაგებელმა და. ა. შ. დარგებმა ძირული რეკონსტრუქცია განიცადეს, რამაც თავისი გამოხატულება პპოვა როგორც საწარმო-ორგანიზაციულ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებში. დღის წესრიგში დადგა აგრარული სექტორისა და მისი პროდუქციის გადამამუშავებელი დარგების უფრო მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა. კერძოდ:

- კელავწარმოების პროცესში განხორციელებულმა ხარისხობრივმა ცვლილებებმა შექმნა საფუძვლები აგრარული სექტორის ინდუსტრიულ საფუძველზე გადასვლისთვის. წარმოების კონცენტრაციამ, შრომის დანაწილებისა და სპეციალიზაციის გაღრმავებამ, წარმოების ტექნიკურმა სრულყოფამ, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვამ კი ინდუსტრიულ საფუძველზე ფუნქციონირებადი საწარმოების შექმნა-განვითარება გამოიწვია;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა შორის კონკურენციის ზრდამ მათ წინაშე წარმოების სრულყოფის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში უახლესი მიღწევების სწრაფი დანერგვის აუცილებლობა წარმოშვა, რაც დიდ კაპიტალდაბანდებებთან ერთად, მნიშვნელოვან მეცნიერულ ციდანას, პრაქტიკულ კონსულტაციასა და კონკრეტულ საწარმო დახმარებასაც მოითხოვს. ეს კი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელს მზარდი ინფორმაციული უზრუნველყოფისა და რეგულარული კონსულტაციის აუცილებლობის ქვეშ აყენებს, რაც მხოლოდ საკუთარი ძალებით თითქმის შეუძლებელია. აუცილებელი ხდება ისეთ კომპეტენტურ დამკვეთებთან თანამშრომლობა,

რომლებიც სრულად და ეფექტურად შესძლებენ გაუწიონ მსგავსი დახმარება. მით უმეტეს, რომ ასეთი სახის პარტნიორთან თანამშრომლობის დროს კონკურენციული ბრძოლისას არსებული რისკის ფაქტორიც მნიშვნელოვნად კლებულობს.

სხვა ფაქტორებთან ერთად, აღნიშნულმა ფაქტორებმა შექმნეს მნიშვნელოვანი პირობები განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში აგრარული წარმოების გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებთან ურთიერთკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულების სწრაფი ზრდისათვის. ამ პირობებში სოფლის მეურნეობის მძლავრი ინდუსტრიალიზაციის პარალელურად მიმდინარეობს აგრარული ურთიერთობების დარგის ჩარჩოებიდან გამოსვლის, მისი არეალის გაფართოების პროცესი და იგი მთელს აგროსამრეწველო კომპლექსს მოიცავს. შესაბამისად, აგრარული პოლიტიკა და მისი ადეკვატური სამეურნეო მექანიზმი კომპლექსურ ხასიათს იძენს.

5.2. ინტეგრაცია და კოოპერაცია: არხი, ფორმები. აგრარული სექტორისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების საწარმო-ეკონომიკური კავშირების გაძლიერების ობიექტურ პროცესს ინტეგრაცია და კოოპერაცია წარმოადგენს. მიღებულია, რომ ინტეგრაციის პირობებში გაერთიანებული საწარმოები ერთიანი სამეურნეო-ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ქვეშ ფუნქციონირებენ და თავიანთ სამეურნეო დამოკიდებულებას მთლიანად ან ნაწილობრივ კარგავენ. კოოპერაციის დროს კი საწარმოები თავიანთ სამეურნეო და იურიდიულ დამოკიდებულებას ინარჩუნებენ და თავიანთ ურთიერთობებს ხელშეკრულების საფუძველზე აგებენ.

ინტეგრაცია და კოოპერაცია რეალურად მიმდინარე ეკონომიკური პროცესების საგნებით განსაზღვრულ ურთიერთობებს ასახავენ. ამასთან მიღებულია, რომ კოოპერაციის ზოგად ნიშანს სპეციალიზირებულ საწარმოთა და დარგთა შორის ეკონომიკური კავშირების არსებობა წარმოადგენს ინტეგრაციისათვის კი უკვე ასეთ ნიშნად მათი საწარმოო და ეკონომიკური ერთიანობა გამოდის, რომელიც განვითარების გარკვეულ საფეხურზე ორგანიზაციულ ერთობაში გადაიზრდება. აგროსამრეწველო ინტეგრაცია წარმოების განსაზოგადოების უმაღლეს ფორმად ითვლება, რომლის ფორმირების საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის ყველა ფორმის (შრომის დანაწილება, წარმოების სპეციალიზაცია, კონცენტრაცია, კოოპერაცია, კომბინირება) შემდგომი განვითარება.

ინტეგრაცია აგროსამრეწველო კომპლექსში არის ობიექტური პროცესი, რომლის დროსაც საწარმო-ეკონომიკური კავშირების გაძლიერების გზით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების ორგანული შეერთება. იგი წარმოადგენს კოოპერაციის შემდგომ განვითარებას. იგი თავისთავად მრავალმხრივი პროცესია და თავის ასახვას განსხვავებულ ფორმებში პოულობს.

ეკონომიკურ მეცნიერებაში მიღებულია წარმოების ინტეგრაციის შემდეგი სახეები: პორიზონტალური, ვერტიკალური და კონგლომერატული.

პორიზონტალური ინტეგრაციისათვის დამახასიათებელია ერთი დონის, ერთგვაროვანი საწარმოების ორგანული შეერთება, მათ შორის საწარმო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავების საფუძველზე.

ვერტიკალური ინტეგრაცია გულისხმობს იმ საწარმოთა გაერთიანებას, რომლებიც ფუნქციონირებენ მომიჯნავე ან ურთიერთდაკავშირებული წარმოებისა და მომსახურების დარგებში. ამ დროს საბოლოო პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები ერთიანდებიან ამ პროდუქციის წარმოების პროცესის გარკვეულ ეტაპზე ან საფეხურზე სპეციალიზირებულ საწარმოებთან. ინტეგრაციის ეს სახე მოიცავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამამუშავების, შენახვისა

და რეალიზაციის პროცესებს და ერთ სისტემაში აერთიანებს სასოფლო-სამეურნეო, გადამამუშავებელ, სავაჭრო და ა. შ. საწარმოებს.

კონგლომერატული ინტეგრაციისათვის დამახასიათებელია განსხვავებული პროფილის საწარმოთა გაერთიანება, ისეთი საწარმოებისა, რომლებსაც გარკვეული სახის საქონლის წარმოებისა და გასაღების მხრივ ერთმანეთთან რაიმე საერთო არ გააჩნიათ.

ასევე მიღებულია კოოპერაციის შემდეგი ტიპები: პორიზონტალური, ვერტიკალური და შერეული (ჰეტეროგენული). პორიზონტალური ტიპის კოოპერაცია მოიცავს ერთი და იმავე პროფილის საწარმოთა ურთიერთდაკავშირებისა და თანამშრომლობის პროცესს. ვერტიკალური კოოპერაცია აერთიანებს ერთი და იმავე ან განსხვავებული დარგის, მაგრამ ტექნოლოგიური ციკლის სახვადასხვა საფეხურის საწარმოებს. ხოლო შერეული (ჰეტეროგენული) ტიპის კოოპერაციაში ასახვას პოულობს ისეთ საწარმოთა თანამშრომლობა, რომელთა პროდუქცია ან მომსახურება ურთიერთს ავსებენ და ამდენად ქმნიან პროდუქციის მეტ-ნაკლებად დამთავრებულ სახეს.

5.3. აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურა. აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურის ქვეშ იგულისხმება აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენელი ობიექტების, ე.ი. აგროსამრეწველო წარმოებაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისაგან მოხმარების საგნების მწარმოებელ და მზა პროდუქციის მომხმარებელამდე მიმწოდებელ საწარმოთა და დარგთა აღნაგობა და თანაფარდობა. ეკონომიკურ ლიტერატურაში ყველაზე ხშირად გვხვდება აგროსამრეწველო კომპლექსის ტერიტორიულ-საწარმოო, სოციალურ-ეკონომიკური, ფუნქციონალური და დარგობრივი სტრუქტურების დახასიათება.

აგროსამრეწველო კომპლექსის ტერიტორიულ-საწარმოო სტრუქტურის ქვეშ იგულისხმება შრომის დანაწილებისა და წარმოების ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების შესაბამისად ფორმირებული გარკვეული ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში ფუნქციონირებადი აგროსამრეწველო კომპლექსის ელემენტთა ერთობლიობა და აღნაგობა, ხოლო აგროსამრეწველო კომპლექსის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ქვეშ იგულისხმება აგროსამრეწველო კომპლექსის საზღვრებში მოქმედ სხვადასხვა ტიპის მეურნეობათა და კომპლექსის სფეროებსა და დარგებში დასაქმებულთა ერთობლიობა და თანაფარდობა. ფუნქციონალურ სტრუქტურაში ასახვას პოულობს კომპლექსის შინაგანი ფუნქციონალური კავშირები. ნებისმიერი სისტემის ფუნქცია მუდამ პირველად წარმოადგენს და განმსაზღვრეულ როლს ასრულებს მისი სტრუქტურის ფორმირებაში. კონკრეტულ შემთხვევაში ფუნქციონალური სტრუქტურა გამოდის აგროსამრეწველო კომპლექსის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების საფუძვლად. მასში აისახება ყველა სახის საქმიანობა და შიგაკომპლექსური თუ კომპლექსთა შორისი კავშირები, ყოველგვარი გამორიცხვის გარეშე, მაშინ, როცა დარგობრივ სტრუქტურაში მხოლოდ ის დარგები გამოისახებიან, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ აგროსამრეწველო წარმოებაში ე.ი. რომელთა ფუნქციონირებაშიც სჭარბობს შიგაკომპლექსური კავშირები. ფუნქციონალური მიდგომით აგროსამრეწველო კომპლექსი წარმოგვიდგება, როგორც მისი საბოლოო პროდუქტის კვლავწარმოების სისტემა, ხოლო დარგობრივით - ეროვნული მეურნეობის დარგების ორგანიზაციულად გაერთიანებულ და ერთად ფუნქციონირებად ერთობლიობად. მიღებულია აგროსამრეწველო კომპლექსის შემდეგ ფუნქციონალურ ბლოკებად დაყოფა:

I ბლოკი - მთელი სისტემისათვის წარმოების საშუალებების წარმოება;

II ბლოკი - სასოფლო-სამეურნეო წარმოება;

III ბლოკი - სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისაგან მოხმარების საგნების წარმოება;

IV ბლოკი - აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციის რეალიზაცია.

V ბლოკი - მთელი სტადიის კვლავწარმოების ციკლის საწარმოო ტექნოლოგიური მომსახურება.

სპეციალისტებს შორის საკმაოდ განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგობრივი სტრუქტურის მიმართ. მსოფლიოს მადაღგანვითარებულ ქვეყნებში (აშშ, იაპონია, გერმანია, ფინეთი და ა.შ.) მიღებულია აგროსამრეწველო კომპლექსის სამსფეროიანი დაყოფა.

I სფეროში - გამოყოფენ სოფლის მეურნეობის, გადაამამუშავებელი მრეწველობისა და მათი მომსახურე დარგებისათვის წარმოების საშუალებათა მწარმოებელ დარგებს;

II სფეროში - აგრარულ წარმოებას. თევზის მრეწველობასა და სატყეო მეურნეობას. მაგალითად, იაპონიის აგროსამრეწველო კომპლექსის II სფეროში სასაქონლო პროდუქციის 1/4 თევზის მრეწველობაზე მოდის.

III სფეროდ მიღებულია გადაამამუშავებელი და გემოკვების მრეწველობა.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიღებულია აგროსამრეწველო კომპლექსის ოთხსფეროიანი დაყოფა, ხოლო კომპლექსის არსის, მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით იგი შემდგენაირად ყალიბდება:

I სფერო. აგროსამრეწველო კომპლექსის მთელი სისტემისათვის წარმოების საშუალებების მწარმოებელი დარგები:

სატრანსპორტო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა; მეცხოველეობისა და საკვებწარმოებისათვის მანქანათმშენებლობა; მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის მანქანა-მოწყობილობების წარმოება; სპეციალისტული სატრანსპორტო საშუალებებისა და მედიორაციული ტექნიკის წარმოება; სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის წარმოება; აგრარული სექტორისთვის მასალების წარმოება; მინერალური ხასუქების და მცენარეთა დაცვის საშუალებების წარმოება; კომბინირებული საკვებისა და მიკრობიოლოგიური მრეწველობა; სასოფლო-სამეურნეო მშენებლობა (მედიორაციული და საგზაო მშენებლობის ჩათვლით).

II სფერო. სოფლის მეურნეობა (აგრარული სექტორი), სატყეო მეურნეობა, თევზის მეურნეობა.

III სფერო. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადაამამუშავებელი დარგები: კვების მრეწველობა - გემოკვების, ხორცის და რძის, ფქვილისა და ბურღულის, თევზის მრეწველობა; მსუბუქი მრეწველობა (სამკერვალო მრეწველობისა და ხელოვნური ბოჭკოების წარმოების გარეშე).

IV სფერო. ინფრასტრუქტურა. საწარმოო ინფრასტრუქტურა: აგრარული სექტორის საწარმოო-ტექნიკური ომარაგებისა და მომსახურების სისტემა; აგროტექნიკური, აგროქიმიური, საირიგაციო-მედიორაციული, საავიაციო და ვერტანტიარული მომსახურება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებისა და შენახვის სისტემა; კვების მრეწველობისა და კომპლექსში შემავალი მსუბუქი მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და მომსახურება; ელექტრორული და სასაწყობო მეურნეობა; ტრანსპორტი და საგზაო მეურნეობა; საზოგადოებრივი კვება; სატარო მეურნეობა; აგროსამრეწველო კომპლექსის საბოლოო პროდუქციით ვაჭრობა; კავშირგაბმულობა და საინფორმაციო-გამოთვლითი მომსახურება; გამოყენებითი მეცნიერული გამოკვლევანი და აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების დაპროექტება. სოფილური ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს: სოფლად საბინაო-კომუნალურ მეურნეობას, საყოფაცხოვრებო მომსახურებასა და საბავშვო ობიექტებს, კულტურის,

განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემებს; აგროსამრეწველო კომპლექსისათვის კადრების მომზადებას.

5.4. სასურსათო და არასასურსათო ქვეკომპლექსები. მიღებულია აგროსამრეწველო კომპლექსის დაყოფა საბოლოო პროდუქტის გამოყენების მიხედვით. ამ თვალსაზრისით აგროსამრეწველო კომპლექსი იყოფა ორ ქვეკომპლექსად - სასურსათო და არასასურსათო ქვეკომპლექსებად. სასურსათო ქვეკომპლექსს საზღვარგარეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად აგროსასუსართო სექტორსაც უწოდებენ.

სასურსათო ქვეკომპლექსი აგროსამრეწველო კომპლექსის ნაწილია, რომელიც წარმოადგენს სასურსათო პროდუქტების კვლავწარმოებაში მონაწილე და ერთმანეთთან საწარმოო-ეკონომიკურად დაკავშირებულ ეროვნული მეურნეობის დარგთა ერთობლიობას. არასასურსათო ქვეკომპლექსი მოიცავს აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ ეროვნული მეურნეობის დარგთა იმ ნაწილს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისაგან ამზადებენ არასასურსათო საქონელს. იგი მოიცავს აგრარული სექტორის ნაწილს, მსუბუქი მრეწველობის იმ ნაწილს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს მოიხმარს და ამ დარგების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფ მრეწველობის დარგებს.

სასურსათო ქვეკომპლექსის ყველაზე გაერცვლებული მოდელი მოიცავს სამ ძირითად სფეროს:

I. წარმოების საშუალებების წარმოება სოფლის მეურნეობისათვის;

II. აგრარული სექტორი (სოფლის მეურნეობა);

III. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის გადამუშავება და გასაღება, მთელი ინფრასტრუქტურის ჩათვლით.

სპეციალისტთა ნაწილში ახევე არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურა განხილულია ტერიტორიულ ჭრილში, ამ შემთხვევაში მის შემადგენლობაში გამოყოფენ:

1. რეგიონულ აგროსამრეწველო კომპლექსს, რომელიც მოიცავს გარკვეული ტერიტორიის საწარმოო ფორმირებების ფარგლებში არსებული აგროსამრეწველო კომპლექსის ელემენტებს.

2. ლოკალურ აგროსამრეწველო კომპლექსს, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში მდებარე სასოფლო-სამეურნეო, მისი ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებს. დამამზადებელ ორგანიზაციებს, მატერიალურ-ტექნიკური მომსახურებისა და ტექნიკის რემონტის საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

3. არეალურ აგროსამრეწველო კომპლექსს, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ჯგუფებს და ინტეგრატორ საწარმოს, რომელიც გარკვეულ რადიუსზე აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებას.

4. პირველად აგროსამრეწველო კომპლექსს, რომელიც მოიცავს კონკრეტული სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებათა და გადამამუშავებით დაკავებულ საწარმოებს.

5.5. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურა. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალმა დარგებმა განვითარების სპეციფიკური გზა განელეს, რომელიც ხასიათდებოდა განვითარების მარცვლებულია მკვეთრი განსხვავებულობით.

არსებული მონაცემებით (ცხრილი 3.1) ასკ-ის მთლიან პროდუქციაში I სფეროს 11,6% უკავია, II სფეროს - 32,8%, III სფეროს - 44,9%, ხოლო IV სფეროს - 10,7%.

	1988 წელი		1990 წელი		1995 წელი		2001 წელი		2001 წ. 1988 წ.-თან %-ობით
	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	
ასკ-ის მთლიანი პროდუქცია	12248,3	100	10218,8	100	5006,7	100	6231,3	100	50,8
I სფერო	1285,8	10,5	988,5	9,7	514,5	10,2	725,3	11,6	56,4
II სფერო	5022,4	41,0	4104,5	40,2	2041,1	40,3	2046,1	32,8	40,7
III სფერო	5262,7	43,0	4510,7	44,1	2115,2	41,7	2799,1	44,9	53,2
IV სფერო	677,4	5,5	615,1	6,0	395,3	7,8	666,3	10,7	97,2

ეროვნულ ეკონომიკაში XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში განვითარებული კრიზისული პროცესების ფონზე, სახეზეა I სფეროს (სოფლის მეურნეობა, თევზის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა) ხედრით წონის შემცირების ტენდენცია. 1988 წელთან შედარებით 2001 წლისთვის აგროსამრეწველო კომპლექსის მთლიანი პროდუქციის გამოშვებამ შეადგინა 50%, I სფეროს - 56,4%, II სფეროს - 53,2%, VI სფეროს - 97,2%.

საშინაო დავალება. შეურჩიეთ სათაური და წარმადგინეთ არგუმენტირებული ნარკვევი საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსზე, რომელშიაც ასახული იქნება აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი ცალკეული დარგების განვითარების პარამეტრები, განვითარებაში არსებული პოზიტიური და ნეგატიური მომენტები, განვითარებისთვის ცალკეულ დარგებში არსებული პოტენციალი, განვითარების სცენარები.

დავალების ინფორმაციული უზრუნველყოფისთვის რეკომენდებული წყაროები:

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. სტატისტიკური კრებული.
2. საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები. ეკონომური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრი (GEPLAC).
3. საქართველოს შინამეურნეობები. სტატისტიკური კრებული.
4. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური კრებული.
5. საქართველოს მრეწველობა. სტატისტიკური კრებული.
6. WWW. sof_eko@statistics.gov.ge
7. WWW. geplac.org
8. WWW. Statistics.ge.

თემა 6. აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირება

„სტორიამ მოგვცა იმის ზერი მკაფიო, რომ კარგი მთავრობა – ეს ფუნქცია არ არის, არამედ სასოციალური აუცილებლობა. ეფექტიანი სახელმწიფოს ვარსებ მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარება შეუძლებელია.“

მსოფლიო ბანკი, ანგარიში მსოფლიო განვითარებაზე, 1997

- 6.1. სახელმწიფოებრივი რეგულირების არსი
- 6.2. აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების ობიექტური ხასიათი
- 6.3. აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზნები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში
- 6.4. აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების შეთოდები

6.1. სახელმწიფოებრივი რეგულირების არსი. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება სახელმწიფო სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი, სტაბილური და სამართლიანი ფუნქციონირებისაკენ, ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისაკენ მიზანმიმართულ ზემოქმედებათა კომპლექსია. (სიტყვა-სიტყვით რეგულირება რისამე გარკვეული წესით წარმართვას, მოწესრიგებას ნიშნავს).

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განვლილმა პერიოდმა დაადასტურა, რომ თავისუფალი კონკურენცია პრაქტიკაში გამოჩნაკლისს უფრო მიეკუთვნება და ეკონომიკისათვის ბაზრის არასრულყოფილი კონკურენციის სტრუქტურები უფრო მეტადაა დამახასიათებელი. ამიტომ ძირითად მიზეზთა შორის, რომლის გამოც სახელმწიფო მუდმივად უნდა ჩაერთოს საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებაში მიღებულია ისეთი მდგომარეობის განხილვა, როდესაც ბაზარს რესურსების ეფექტიანი განაწილებისათვის ძალა არ შესწევს (ბაზრის ფიასკო). იგი შემდეგ ოთხ სიტუაციას გულისხმობს: 1) მონოპოლია; 2) არასრულყოფილი (ასიმეტრიული) ინფორმაცია; 3) გარე ეფექტები; 4) საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების აუცილებლობა.

ცხადია, მსგავსი მიდგომა ბოლომდე ვერ ასახავს სახელმწიფოსა და ბაზრის როგორც ცივილიზებული ეკონომიკური სისტემის ობიექტურად აუცილებელ ელემენტთა მნიშვნელობას, აკნინებს სახელმწიფოს როლს, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ფუნქციას. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ობიექტური მიზეზები უფრო ფართო მასშტაბებითაც არის წარმოდგენილი და შემდგენიარადაა კლასიფიცირებული: 1) ეკონომიკის ეფექტიანი განვითარების შეუძლებლობა მისი ტერიტორიული სივრცის განსაზღვრის გარეშე; 2) მუდმივი კვლავწარმოებისა და ქვეყნის განვითარების ძირითადი მიზნებისა და მთელი მოსახლეობის გრძელვადიანი ინტერესების გამსაზღვრელი ეკონომიკური გარემოს მხარდაჭერის აუცილებლობა; 3) საზოგადოების კონსოლიდაციის მიზნით ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესთა ბალანსის ფორმირება-მხარდაჭერა; 4) ინსტიტუციური მიზანმიმართულობა და კვლავწარმოების ფაზებს შორის წარმოქმნილი დისპროპორციის კორექტირება; 5) განვითარების მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით ბაზარზე ეკონომიკური ურთიერთქმედების აუცილებელი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა. რაც არა მარტო სახელმწიფოებრივ რეგულირებას, არამედ რამდენიმე ქვეყნის შეთანხმებულ მოქმედებას მოითხოვს.

უმნიშვნელოვანეს მიზეზს, რომლის გამოც სახელმწიფომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს ეკონომიკაში, განსაკუთრებით კი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომელთა განვითარების პარამეტრებიც ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მდგრადი განვითარების პრობლემაა, რომელთა გადაწყვეტაც მხოლოდ საბაზრო მექანიზმების საშუალებით წარმოუდგენელია. სწორედ აღნიშნული მიმართულებითაა დღეისთვის ორიენტირებული როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა, ამ პოლიტიკის განხორციელების ბერკეტები. ასევე ცხადია, რომ მაკროეკონომიკურ სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით საბაზრო სისტემის მექანიზმებ ბოლომდე უფექტიანი არ არის. იგი მთელს თავის სიკეთეს კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვებულისთვის იმეტებს და მის საფუძველში არ შეიმჩნევა მყარ ტენდენციები მოსახლეობის სოციალური გარანტიების უზრუნველყოფისაკენ. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის განმსაზღვრელ მიზეზთ შორის ასევე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის მექანიზმით ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევების, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოების, ეკონომიკური პროგრესისთვის აუცილებელი და მისაღებ დამუშავებების განხორციელების შეუძლებლობა. XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისისთვის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მიზეზთ შორის ეკოლოგიური და პლანეტარული უსაფრთხოების უზრუნველყოფის არგუმენტებმაც მყარად დაიმკვიდრა ადგილი.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციონირებადღფეროვანია და დინამიკური ხასიათისაა, მათი დიფერენციაცია გარკვეულ მიდგომებით მაინცაა შესაძლებელი. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციონირებადღფეროვანად გაერთიანებული და ქრესტომათიული ხასიათის კლასიფიკაცია პ. სამუელსონსა და გ. ნორდჰაუსს ეკუთვნის და იგი უფექტიანობის სამართლიანობასა და სტაბილურობას მოიცავს. ასევე ცნობილია ამის მეცნიერების მიერ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციონირების უფრო ვრცელ კლასიფიკაცია: 1) საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს უზრუნველყოფა; 2) კონკურენტული და ცვა; 3) შემოსავლებისა და სიმდიდრის განაწილება; 4) რესურსების განაწილება; 5) ეროვნული პროდუქტის სტრუქტურის შეცვლის მიზნით; 6) მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, ანუ ინფლაციისა და დასაქმების კონტროლი; 7) სახელმწიფო სექტორის ფუნქციონირება; 8) ეკონომიკური პროგრამირება და პროგნოზირება.

6.2 აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების ობიექტური ხასიათი. ეკონომიკურ ლიტერატურაში სოფლის მეურნეობა განიხილება დარგ რომელშიაც უმთავრესად თავისუფალ კონკურენციასთან მიახლოებულ სიტუაცია აქვს ადგილი. აქედან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფერო უფელაზე ნათლად უნდა იყოს გამოხატული კოორდინაციის საბაზრო მექანიზმი და ბაზრის თვითრეგულირების პრინციპები. არსებული პრაქტიკა კი საპირისპირო ამტკიცებს - აგრარული სექტორი სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ეკონომიკურ ლიტერატურაში, არგუმენტები, რომლებიც მიუთითებენ აგრარულ სექტორში კომპლექსური სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობაზე ძირითადად ოთხი მიმართულებით ფოკუსირდება. პირველ საგარეო ვაჭრობის არგუმენტები. იგი ერის სურსათით გარკვეულ თვითუზრუნველყოფის პრობლემას უკავშირდება. მეორე, სოფლის მეურნეობა შემოსავლებთან დაკავშირებული არგუმენტები. სასოფლო-სასოფლო მწარმოებელთა წინაშე მუდმივად დგას დაბალი და არასტაბილური შემოსავლები პრობლემა. მესამე, არგუმენტები, დაკავშირებული სასოფლო ტერიტორიების განვითარებასთან. მეოთხე, ბუნებადაცვითი არგუმენტები.

აღნიშნული არგუმენტები განაპირობებენ იმას, რომ მხოლოდ აგრარული წარმოების მხარდასაჭერად გადასახადის გადამხდელებს XX საუკუნის 90-იან წლებში ყოველწლიურად 350 მლრდ დოლარის გაღება უწევდათ.

როდესაც საუბარია აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივ რეგულირებაზე, მის ობიექტურ ხასიათს აგრარული წარმოების შემდეგ თავისებურებებს უკავშირებენ. პირველი. შრომის ნაყოფიერების ზრდის ზეგავლენით სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების შედეგად ფასების დაცემა. აღნიშნული მიზეზი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მიღწევებში მდგომარეობს, რაც განვითარებულ ქვეყნებში სურსათზე მიწოდების ზრდის უფრო მაღალ ტემპს იწვევს მოთხოვნის ზრდასთან შედარებით. მეორე. კვების პროდუქციაზე მოთხოვნის დაბალი ელასტიკურობა, როგორც ფასების, ისე შემოსავლების მიმართ. რის გამოც ფასების მნიშვნელოვანი შემცირება მოთხოვნის მხოლოდ უმნიშვნელო ზრდას გამოიწვევს. მოთხოვნის უმნიშვნელო ზრდას მივიღებთ შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაშიაც. მესამე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებებიდან გამომდინარე აგრარული წარმოების მაღალი რყევადობა, რაც ფასების ცვლილების და აქედან გამომდინარე, არაოპტიმალური გადაწყვეტილების საფუძველი შეიძლება გახდეს. მეოთხე. მიწის კონცენტრაციის შეზღუდული შესაძლებლობანი და საბაზრო პირობებში მისი სწრაფი გამოსვლა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან. თვით განვითარებულ ქვეყნებშიაც კი მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე მთლიანობაში სავარგულების მნიშვნელოვანი წილი მოდის. (მაგ. აშშ-ში XX საუკუნის 90-იანი წლებისთვის მცირე სასოფლო-სამეურნეო საწარმოები საერთო რაოდენობის 74,4 % -ს შეადგენდნენ. ისინი ფლობდნენ მიწის ფართობის 38 % -ზე მეტს, მაგრამ სასაქონლო პროდუქციის მხოლოდ 11%-ს აწარმოებდნენ). მართალია მსგავსი მეურნეობები შედარებით დაბალი ეფექტიანობით გამოირჩევიან, მაგრამ მათში დასაქმებულია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც სოციალურ სტაბილურობას განაპირობებს, ამიტომაც სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმები მათი მხარდაჭერისკენაა მიმართული. მეხუთე. აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დარგების მონოპოლიზმისკენ მიდრეკილებადი ხასიათი, რის გამოც აუცილებელი ხდება ისეთი სახელმწიფოებრივი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც აგროსამრეწველო კომპლექსის სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სფეროებს შორის პარიტეტულობას უზრუნველყოფს. მეექვსე. აგრარული პროტექციონიზმის პრინციპები. რომლის საფუძველი უნდა შეადგინოს ხასურსათო უსაფრთხოებამ, საგარეო ხევატრო ბალანსის მხარ-დაჭერამ, ეროვნული აგრარული წარმოების, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი- დარგის შენარჩუნებისა და განვითარების სტიმულირებამ.

6.3. აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზეზები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ ეტაპზე აგრარული სექტორისათვის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა იზრდება. ამასთანავე, ზემოთ აღნიშნული რიგი თავისებურებანი ტრანსფორმაციას განიცდის, გარკვეულწილად სხვა სპეციფიკას იძენს, მაგრამ ამავედროულად მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების განმსაზღვრელი სხვა არ-გუმენტებიც შემოდის ბრუნვაში. კერძოდ, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია აგრარული წარმოების კრიზისული ხასიათი, შემოსავლების უკიდურესად დაბალი დონე, მისი მკვეთრი უთანაბრობა, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის მაღალი წილი. აღნიშნული სპეციფიკის გათვალისწინებასთან ერთად გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფოებრივი რეგულირების წინაშე დგება ამოცანათა ისეთი სპექტრი, რომელიც განვითარებული ქვეყნების

სახელმწიფოებრივი რეგულირების არსენალში დღეისთვის არ არის აქტუალური. კერძოდ:

- სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის აქტიური გარდაქმნის პოლიტიკის განხორციელება;

- წარმოების უკონტროლო დაცემის შეწყვეტისა და აგროსამრეწველო წარმოების სტაბილიზაციის ღონისძიებების განხორციელება;

- მზაფრი სოციალური დიფერენციაციის შემსუბუქების ღონისძიებათა განხორციელება;

- აგრარული პროტექციონიზმის პოლიტიკის განხორციელება.

6.4. აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდები. მეთოდები, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო ახორციელებს, აგრარული სექტორის რეგულირებას, მრავალმხრივია და ხშირად ურთიერთშემესები ხასიათისაა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდებიდან ყველაზე ფართო ყურადღება მოთხოვნა-მიწოდების რეგულირების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების სტაბილიზაციისაკენ მიმართულ ღონისძიებებს ეთმობა და აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდთა კლასიფიკაცია შემდეგნაირია:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების რეგულირება;

- სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფინანსო-საკრედიტო და საგადასახადო რეგულირება;

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეგლამენტირება (კონტიგენტირება);

- ექსპორტ-იმპორტის რეგულირება;

- სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და ინოვაციათა დანერგვისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა;


- არახელსაყრელ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი მეურნეობებისადმი მხარდაჭერა;

- აგრარული მიკროზონების სოციალური პირობის რეგულირება.

მიზნობრივი (დაცული) ანუ ორიენტირებული ფასები. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე სახელმწიფოებრივი ზემოქმედების გაგრძელებულ მექანიზმს მიზნობრივი (დაცული) ანუ ორიენტირებული ფასების გამოყენება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ეკონომიკურ ლიტერატურაში მას შენარჩუნებულ ფასებს უწოდებენ. სახელის ასეთი ინტერპრეტაცია კი დაკავშირებულია აგრომწარმეთა შემოსავლებში სხვა დარგებთან მიმართებაში პარიტეტის შენარჩუნების მიზანთან. ცხადია, რომ ამ მექანიზმის საშუალებით აგრომწარმეთა უმთავრესი პრობლემის - დაბალი შემოსავლების გამოსწორება ხორციელდება. მიზნობრივი ფასების დაწესების საშუალებით გარანტირებული ხდება მოცემული პროდუქციის წარმოების ზრდა. ე.ი. ის ახრულებს მიწოდების სტიმულირების ფუნქციას და კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე ემსახურება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლების ზრდას, რათა არ მოხდეს მათი რესურსების სხვა, უფრო მომგებიან სფეროებში გადინება და ამით უზრუნველყოფს აგრარულ სექტორში მოცემული დოვლათის გარანტირებულ წარმოებას.

მიზნობრივი ფასების დაწესება საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის შედარებით ტლანჩი მეთოდია და ამიტომაც განსაკუთრებული ობიექტური პირობების არსებობასაც მოითხოვს. იგი განსაზღვრავს არა საბაზრო ფასის დონეს, არამედ ფერმერთა შემოსავლების ქვედა ზღვრის მაჩვენებლად გვეუღინება. ამასთანავე, როდესაც მხოლოდ რეგულირების საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელია

პროდუქციის დეფიციტი, სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოსახრებიდან გამომდინარე მიზნობრივი ფასების საშუალებით ზრდის მიწოდებას.



ნახ. 6.1. მიზნობრივი ფასის დაწესების შექანიზმი

მისი დაწესების შექანიზმი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ბაზარზე წონასწორობა მყარდება E წერტილში, P_e ფასისა და Q_e საქონლის მოცულობის პირობებში (ნახ. 6.1). აღნიშნულ სიტუაციაში ზემოთ დასახელებული მიზნებიდან გამომდინარე წესდება მიზნობრივი ფასი, რომელიც წონასწორობის ფასზე მაღალ დონეს ახახავს ($P_{დღე}$). გატარებული ღონისძიებების შედეგად გაიზრდება მოცემული პროდუქციის წარმოება Q_e რაოდენობიდან $Q_ა$ -მდე შეხაბამისად გაიზრდება მწარმოებელთა შემოსავლებიც. შემოსავლების ნაზრდი უტოლდება $OP_{დღე}BQ_ბ$ მართკუთხედისა და $OP_eEQ_ბ$ მართკუთხედის ფართობთა სხვაობას. ე.ი. $P_eP_{დღე}BQ_ბQ_e$ ფიგურის ფართობს. ამავდროულად შემცირდება მოცემულ დოვლათზე მოთხოვნის მოულობა $Q_ა$ -მდე, რადგანაც მაღალი ფასები სტიმულს უკარგავენ მყიდველს. წარმოქმნილი ნამეტის რეალიზაციის პრობლემის გადაწყვეტა კი სახელმწიფოს ეკისრება, რაც გარკვეულ ტვირთად აწვება საზოგადოებას. ამიტომაც ურთულეს პრობლემად ითვლება იმ პროდუქტთა განსაზღვრა, ხოლო მწარმოებელთა შორის იმ ჯგუფთა დადგენა, რომელთაც უნდა შეეხოს მიზნობრივი ფასები. არსებული პრაქტიკით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ მიზნობრივი ფასების დაწესებამ ხელი არ შეუშალოს საბაზრო ფაწარმოქმნის შექანიზმს. ცხადია, მონოპოლიის პირობების გარდა და მიზნად უნდა დაისახოს კონკრეტული პროდუქციის მწარმოებელთათვის ნორმალური რენტაბელობის დონის დაცვა. მიზნობრივი ფასების დონის დადგენისთვის სამაგალითოდ შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის გამოცდილება. ერთიანი აგრარული პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირის ქვეყნების სოფლის მეურნეობის მინისტრების საბჭო მარცვლეულზე მიზნობრივი ფასის დაწესებას ყოველწლიურად ახდენს. ამ დროს მიზნობრივი ფასი წესდება იმ დონეზე, რომელიც იქნება მარცვლეულის წარმოების ყველაზე დეფიციტურ ზონაში, კონკრეტულად კი ასეთ ზონად მიჩნეულია ქ. დუსბურგი, გერმანიაში.


როცა საუბარია მიზნობრივ (შენარჩუნებულ) ფასებზე, გამოყოფენ მის შემდეგ შედეგებს: ჭარბი პროდუქცია, ფერმერთა მოგება, მომხმარებელთა და მთლიანად საზოგადოების ზარალი, საერთაშორისო დანახარჯები. მართლაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიზნობრივი ფასების პოლიტიკის შედეგად პროდუქციის ნამეტთან გვექნება საქმე, რომელიც სახელმწიფოს ტვირთად აწვება. რაც შეეხება მომხმარებლებს, რადგანაც მიზნობრივი ფასი მაღალია წონასწორობის ფასზე, ცხადია რომ მოცემული პროდუქცია მყიდველთა უფრო შეზღუდული წრისთვის ხდება ხელმისაწვდომი. საზოგადოების საერთო ზარალი განიხილება, როგორც ნამეტის შესასყიდად სახელმწიფო ხარჯების გაწევა, რაც

გადასახადთა ზრდასთან მოიაზრება. ასევე დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული მიღებული ნამეტის შენახვაც. საზოგადოებისთვის ზარალს წარმოადგენს ისიც, რომ მიზნობრივი ფასების პოლიტიკა ეკონომიკაში რესურსების არაეფექტიან განაწილებას წარმოშობს. მაღალი ფასები სამამულო ბაზარს მიმზიდველს ხდის უცხოელი მწარმოებლებისთვის და სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელი ხდება მათთვის შესაბამისი ბარიერების დაწესება, რაც ასახავს საერთაშორისო დანახარჯებში პოულობს.

აღნიშნული პრობლემის გამო, დღეისთვის უკვე ცხადია, რომ მხოლოდ მიზნობრივი ფასის დაწესებით სახურველი ეფექტის მიღწევა ძნელია. ამიტომაც განვითარებული ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკა აგრარული სექტორის რეგულირების ნაწილში მიზნობრივი ფასების მექანიზმის პარალელურად, მისი თანამდევი უარყოფითი ეფექტის შესამსუბუქებლად, სახელმწიფოებრივი რეგულირების არსენალიდან სხვა მეთოდებსაც იყენებს, რომლებიც მიწოდების შეზღუდვის და მოთხოვნის შენარჩუნების მიზნებს იხსახენ.

საინტერვენციო ფასები. მიზნობრივი ფასების გვერდით, სახელმწიფოს მიერ აგრარული სექტორის საფასო რეგულირების ინსტრუმენტებს შორის ფართო გამოყენება გააჩნია საინტერვენციო ფასებს. იგი წარმოადგენს ფასის მინიმალურ-გარანტირებულ დონეს, რომელშიაც ამ მიზნით სპეციალურად შექმნილმა სახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა შეიძინონ მიწოდებული საქონლის გარკვეული მოცულობა. საინტერვენციო ფასი მიზნობრივი ფასის დონეზე დაბლა წესდება და მიზნად ბაზარზე ფასების გარკვეულ დონეზე შეკავებას ისახავს. ცხადია, მის დაფიქსირებას მოცემულ დოვლათზე მსოფლიო ფასზე დაბალ დონეზე, აზრი არ აქვს. საინტერვენციო ფასის დაწესება აგრომწარმეებს თავიდანვე გარანტირებულს უხდის შემოსავლების გარკვეულ დონეს. ამავდროულად, მთავრობას შესაძლებლობა ეძლევა თავიდანვე განსაზღვროს სახელმწიფოში მოცემული საქონლის წარმოების გარანტირებული მოცულობა, მიუხედავად მის წარმოებაში მოხალოდნელი რყევებისა.

მიზნობრივი
ფასი



ნახ. 6.2. მიზნობრივ და საინტერვენციო ფასებს შორის დამოკიდებულება

ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნებში გავრცელებული პრაქტიკით მარცვლეულზე მიზნობრივ და საინტერვენციო ფასებს შორის სხვაობა განისაზღვრება საფრანგეთის ქორმედან, რომელიც ევროპაში მარცვლეულის წარმოების ყველაზე ხელსაყრელ ზონად ითვლება, გერმანიის ქდუსბურგში (მარცვლეულის წარმოების ყველაზე დეფიციტური ზონა) მისი ტრანსპორტირების ხარჯების მოცულობით. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ქვეყნებში როგორც კი მოხდება ფასების დონის საინტერვენციო ფასზე დაბლა დაცემა, მაშინვე სპეციალურად ამ მიზნით მოქმედი საინტერვენციო სააგენტოები საინტერვენციო

ფასებში იწყებენ ამ პროდუქციის შექმნას, რომელსაც ან ინახავენ მარაგების სახით, ან ცდილობენ სხვადასხვა გზებით იგი საგარეო ბაზრებისკენ მიმართონ.

ამგვარად, მიზნობრივი ფასი და საინტერვენციო ფასი ფასების ფუნქციონირების შიგა მექანიზმის ამოსავალს, ბაზისს წარმოადგენენ. მათ შორის სხვაობა კი შიგა ბაზარზე ფასების შესაძლო რყევის მანიჭენებელია.

ფასების მრავალფაზიანი სისტემა. იგი მოწოდებულია გარკვეულწილად შეარბილოს მიზნობრივი და საინტერვენციო ფასების გამოყენებასთან დაკავშირებული სიხისტე და მათგან განსხვავებით მთელი წლის განმავლობაში ფასების ერთ დონეზე დაფიქსირებას კი არ ითვალისწინებს, არამედ სამამულო მწარმოებელთა მიერ შინა ბაზრის გაჯერების კვალობაზე სახელმწიფოს მიერ ფასზე ზემოქმედების ცვლილებას გულისხმობს, ძირითადად საბაჟო ბერკეტების საშუალებით.

ფასების მრავალფაზიანი სისტემის გამოყენებაში სამაგალითოდ, ამასთანავე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების რეგულირების არსებულ პრაქტიკაში სპეციფიკურად, წარმოგვიდგება შვეიცარია. რაც რამდენიმე თავისებურებითაა განპირობებული. უპირველეს ყოვლისა, აგრარულ პროდუქციაზე შვეიცარიის შინა ბაზარი ძალზე ელასტიკურია მსოფლიო ბაზრის ფასებთან მიმართებაში. საქართველოსათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე შინა ბაზარი პატარა მოცულობისაა და დღის წესრიგში დასაბამიდან მწვავედ იდგა მისი დაცვის პრობლემა. სწორედ ამან განაპირობა, რომ ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში მოხდა ამ ქვეყანაში აგრარული წარმოების რეგულირებისთვის საფუძვლის ფორმირება. შვეიცარიაში პროდუქციის სახიდან გამომდინარე არსებობს, ფასების როგორც მყარი, ასევე მიზნობრივი და სამფაზიანი სისტემა. მყარი ფასის დაწესების საფუძველს მთავრობის, მოცემული პროდუქციის მწარმოებელთა კავშირისა და ასევე მისი გადამამუშავებლების კავშირის შეთანხმება წარმოადგენს. ამასთანავე, ამოსავალი მწარმოებლისთვის შემოსავლების მისაღები დონის უზრუნველყოფა (ასეთი ფასები წესდება რძეზე, სასურსათო მარცვლეულზე, კარტოფილზე) და ცხადია, რომ იგი მიწოდების სტიმულირების ფუნქციას ასრულებს. რაც შეეხება მიზნობრივ ფასებს, იგი უშუალოდ მთავრობის მიერ წესდება ხორცზე, კვერცხზე, საფურავე მარცვლეულზე და არსებობს გადახრის შესაძლებლობა 10-12 %-ის ფარგლებში. ფასების სამფაზიანი სისტემის გამოყენება ყველაზე საინტერესოა და იგი კლასიკურ მაგალითად შეიძლება წარმოვიდგინოთ. ასეთი ფასები შვეიცარიაში წესდება ხილზე და ზოგიერთ ბოსტნეულზე. მისი მთავარი პირობა მოცემულ დოვლათზე იმპორტის მაღალი წილია. პირველი ფაზის დროს (როცა ადგილობრივი წარმოება მოცემულ დოვლათზე არ არის) ფასები თავისუფალია. მეორე ფაზის დროს (როცა ბაზარზე სამამულო პროდუქცია გამოჩნდება) მოცემული პროდუქციის იმპორტიორს უწესდება გადასახადი (ძირითადად საბაჟო), რომელიც შიგა წარმოებას კონკურენტულს ხდის, თვით შიგა ფასები კი ამ დროს თავისუფალია. მესამე ფაზის პირობებში (როცა საკუთარ წარმოებას სრულად შეუძლია ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება) აღნიშნული პროდუქციის იმპორტი იზღუდება, ზოგჯერ მთლიანადაც კი იკრძალება.

საგირავნო ფასები. XX საუკუნის ბოლო ათწლეულში აგრარული წარმოების ფასების საშუალებით რეგულირების სისტემა კიდევ უფრო დაიხვეწა. ამასთანავე, მასში ბიუჯეტის დეფიციტის, ბიუჯეტური სახსრების მიზნობრივი გამოყენებისა და გადასახადების შემცირების პრობლემებიდან გამომდინარე ძველთან ერთად ახალი ელემენტებიც გამოჩნდა, რომელიც ერთის მხრივ ფერმერის ინტერესების დაცვას ითვალისწინებს, მაგრამ მეორეს მხრივ, ბიუჯეტის თანხების მაქსიმალურად რაციონალურ გამოყენებას ემსახურება. ასეთ სისტემად წარმოგვიდგება საგირავნო ფასების მექანიზმიც. საგირავნო ფასები იმ ქვეყნებში, სადაც მათი გამოყენება ხდება, საინტერვენციო ფასების მსგავსად

მინიმალური-გარანტირებული ფასის ფუნქციას ასრულებს და მიზნად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე საბაზრო ფასის გარკვეულ დონეზე დაბლა დაცემას უშლის ხელს, რითაც მწარმოებლისთვის თავიდანვე გარანტირებულს ხდის შემოსავლის გარკვეულ დონეს. საგირავნო ფასების მექანიზმი იმაში მდგომარეობს, რომ მწარმოებელს არსებულ პროდუქციაზე ეძლევა უპროცენტო სესხი, რომელიც ფასების მაღალი დონისას შეუძლია დააბრუნოს, ხოლო თუ საბაზრო ფასი მისთვის არ იქნება მისაღები ცხადია გირაოში ხდებულ პროდუქციას ტოვებს. აშშ-ში სპეციალურად ამ მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემადგენლობაში ფუნქციონირებს სასაქონლო-საკრედიტო კორპორაცია, რომლის საგირავნო ოპერაციაც გულისხმობს ფერმერისთვის კრედიტის დაცემას და სანაცვლოდ გირაოში პროდუქციის მიღებას. ამ დროს კრედიტის თანხის განსაზღვრა ხდება პროდუქციის მოცულობასთან და საგირავნო ფასებთან მიმართებაში. როგორც აღნიშნეთ, საბაზრო ფასების შემცირებისას ფერმერებს შეუძლიათ ჩადებული პროდუქცია სასაქონლო-საკრედიტო კორპორაციაში გადასცენ საკუთრებაში, ხოლო სხვისას, ფერმერებს ეძლევათ უფლება გაყიდონ ეს პროდუქცია და უპროცენტო ვალი დააბრუნონ. ასეთი მექანიზმის არსებობა ორმაგ ფუნქციასაც ასრულებს ერთის მხრივ, დაბალი საბაზრო ფასებისას ფერმერს გარკვეული შემოსავალი გარანტირებული აქვს. მეორეს მხრივ, გირაოში ჩადებული პროდუქცია საბაზრო ბრუნვიდან გამოდის, რითაც მცირდება მიწოდება, სტიმული ეძლევა ფასების ზრდას. ამასთან, იგი მიზნობრივ ფასებზე 10-15 %-ით დაბალია, რითაც გარკვეულწილად ზოგავს საბიუჯეტო სახსრებს.

თუ რამდენად მნიშვნელოვანია საგირავნო ფასების სისტემის გახვეწება აშშ-ის აგრარული სექტორისთვის ჩანს იქიდანაც, რომ ამ ფასებს სპეციალური აგრარული კანონების კრილში 4-5 წელიწადში ერთხელ ადგენს კონგრესი. როგორც წესი, საგირავნო ფასი წესდება წინა ხუთი წლის საშუალო საბაზრო ფასის 85 %-ის დონეზე. აღსანიშნავია ისიც, რომ საგირავნო ფასების პროგრამაში მოხვედრა ყველა ფერმერისთვის როდია ხელმისაწვდომი, მის პარალელურად მან მონაწილეობა უნდა მიიღოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კონსერვაციის პროგრამაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სასაქონლო-საკრედიტო კორპორაცია მას მსგავს კრედიტებს არ გამოუყოფს. უკანასკნელ წლებში საგირავნო ფასების პროგრამა ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა, როგორცაა სასაქონლო-საკრედიტო კორპორაციის მარაგების მნიშვნელოვანი ზრდა სხვადასხვა პროდუქციაზე, რომლის შემცირების მიზნით შემოღებულ იქნა (ბრინჯზე, ზამბაზე სოიოთ მარცვლოვან და მარცვლოვან-პარკოსან კულტურებზე) საგირავნო კრედიტის ახალი ფორმა - გასაღების კრედიტი. გასაღების კრედიტის დროს პროდუქციის ანაზღაურება ხდება არა საგირავნო ფასებით, არამედ მიმდინარე საბაზროთი. ამასთან, მათი დონე არ უნდა იყოს საგირავნო ფასის 70 %-ის დაბლა.

იმპორტულ პროდუქციაზე მინიმალური ფასი. მისი განსაზღვრა და გახვეწება დაკავშირებულია საგარეო ბაზრებიდან შინა ბაზარზე პროდუქციის მოხვედრის შეზღუდვასთან. შინა ბაზარზე ხელოვნურად შექმნილი მაღალი ფასები ცხადია იმპორტული პროდუქციის მოზღვავენს გამოიწვევს, თუ საზღვარზემ არ მოხდა მისი პარამეტრების შეზღუდვა. ამიტომაც იმპორტულ პროდუქციაზე მინიმალურ ფასს ხშირად საყრდენ ფასსაც უწოდებენ, რადგანაც იმპორტულ პროდუქციაზე ქვეყნის საზღვრის გადაკვეთისთანავე სრულიად ახალ, მნიშვნელოვნად მაღალ დონეს აფიქსირებს. ფასის ასეთი სისტემის არსი იმაშია, რომ განსაზღვრავს იმპორტის ტარიფს, რომელიც გაითვლება როგორც საყრდენ ფასსა და შეუძლია ფასს შორის სხვაობა. ასეთი ფასი კი ცხადია მაღალია შიგა ფასზე, მაშორის საინტერვენციო ფასზეც.


ევროკავშირის ქვეყნებში იმპორტულ პროდუქციაზე მინიმალური ფასის დაწესება მიღებულია მარცვლეულის ექვსი სახეობის მიხედვით თვეში ორჯერ და

გაითვლება მიზნობრივი ფასიდან პროდუქციის შემოტანის ძირითადი პორტიდან, მისი მოხმარების ძირითად ადგილამდე ტრანსპორტირების ხარჯების გამოკლებით (შემოტანის ძირითად პორტად როტერდამი ითვლება, ხოლო ძირითადი მოხმარების ადგილად კვლავ გერმანული ქალაქი დუსელდორფი რჩება).


როგორც ვხედავთ, იმპორტულ პროდუქციაზე ფასების დაფიქსირებას ევროკავშირის ქვეყნები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ და ძალიან ხშირად ახდენენ მის გადასინჯვას, რაც გასაგებია თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ქვეყნები მარცვლეულის ექსპორტიორები არიან და ცხადია არ დაუშვებენ თავიანთ ბაზარზე მსოფლიო ბაზრიდან პროდუქციის შემოტანას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფინანსო-საკრედიტო და საგადასახადო რეგულირება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საფინანსო-საკრედიტო და საგადასახადო ბერკეტები. ამასთანავე, მათი გამოყენება ნაკლები დანახარჯებით მნიშვნელოვანი ეფექტის მიღების შესაძლებლობას იძლევა. მაღალგანვითარებული ქვეყნების მთავარი ორიენტირი აღნიშნული მექანიზმის გამოყენებისას ძირითადად მსხვილ, სპეციალიზებულ და მაღალეფექტიან მეურნეობებზეა გაკეთებული, მაგრამ ამავედროულად იგი მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსაც უთმობს გარკვეულ ყურადღებას. ამ ქვეყნების ეკონომიკურ საქმიანობაში აგრომეწარმეთა სუბსიდირების, დაკრედიტებისა და დაბეგვრის რამდენიმე ძირითადი ხერხის გამოყოფაა შესაძლებელი. ამასთანავე, მათი გამოცადკეება, რეგულირების სხვა მეთოდებისგან იზოლირებულად წარმოდგენა, შეუძლებელია. ისინი სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთიანი კომპლექსის ურთიერთგადაჯაჭვულ ელემენტებად წარმოგვიდგება, რომელთა შორის საზღვრის გავლება მიღებულ ეფექტში წილის თვალსაზრისით, ძნელია.

ზოგადად, სუბსიდირებისა და დაბეგვრის ზეგავლენა საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებაზე, კონკრეტულ პროდუქციაზე ფასისა და ბაზარზე მის მოცულობაზე, საპირისპიროა. კერძოდ, ბაზარზე მიღწეული წონასწორობის შემთხვევაში თუ ფასი და პროდუქციის მოცულობა, შესაბამისად P_e და Q_e დონეს აღწევს (ნახ. 63) T სიდიდის გადასახადის შემოღება წონასწორობის ამ პარამეტრებს შეცვლის. კონკრეტულად, ბეგარა პირველ რიგში, ტვირთად დააწვება მწარმოებელს, რის გამოც მიწოდების მრუდი S მდგომარეობიდან გადაინაცვლებს S' მდგომარეობაში. ე.ი. მიწოდება შემცირდება, შესაბამისად წონასწორობის ახალი



ნახ. 63. დაბეგვრის ზეგავლენა საბაზრო მექანიზმზე



ნახ. 64. სუბსიდირების ზეგავლენა საბაზრო მექანიზმზე

პარამეტრები გვექნება P_e' და Q_e' სახით. გაიზრდება მოცემულ პროდუქციაზე საბაზრო ფასი და შემირდება მისი წონასწორობის მოცულობა.

რაც შეეხება სუბსიდირების პროცესს, იგი საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებაზე საპირისპირო ზეგავლენას მოახდენს (ნახ. 6.4). V სიდიდის სუბსიდის გამოყოფის კვალობაზე საბაზრო ფასი პროდუქციაზე შემცირდება P_c -დან P_c' -მდე, ხოლო პროდუქციის მოცულობა გაიზრდება Q_c -დან Q_c' -მდე.

სახელმწიფოებრივი რეგულირების ამოცანას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენს განსაზღვროს თუ როგორ განაწილდება ბუგარის ტვირთი მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის და რა სიკეთეს მოუტანს იგი მათ.

დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების საბიუჯეტო სუბსიდირების შემდეგი მეთოდებია ყველაზე ფართოდ გაგრცელებული: პირდაპირი, ირიბი, აგრარული წარმოებისთვის რესურსების სუბსიდირება და სამომხმარებლო სუბსიდიები. პირდაპირი სუბსიდირების კონკრეტულ ფორმებს წარმოადგენენ პირდაპირი საფასო სუბსიდიები და არჩევითი სუბსიდიები. პირდაპირი საფასო სუბსიდის მექანიზმი ჩვენს მიერ უკვე განხილულ იქნა მიზნობრივი (დაცული) ფასის განხილვისას. მიღებულია მისი გადახდის ორი ფორმა. პირველი ფორმის დროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი რეალიზებული პროდუქციის ერთეულზე დებულობს დახმარებას მყარი სუბსიდის სახით. მეორე შემთხვევაში კი ეძლევა არა მკაცრად დადგენილი სუბსიდია, არამედ სხვაობა ფიქსირებულ-გარანტირებულ ფასსა და პროდუქციის რეალურ ფასს შორის.

რაც შეეხება არჩევით სუბსიდიას, იგი ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული მიზნების განსახორციელებლად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარკვეული წრისთვისაა ხელმისაწვდომი. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფოს სტრუქტურული პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე XX საუკუნის 70-იანი წლებიდან შემოღებულია არჩევითი სუბსიდირება და იმ ფერმერებს ეძლეოდათ იგი, რომელთა სახნავი 80 ჰა-ზე მეტი იყო ან მსხვილი რქოსანი პირუტყვის ხელაფობა 40 სულზე მეტს შეადგენდა.

ირიბი სუბსიდირება უკავშირდება აგრარული სექტორის მეურნეობების მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე, სოფლად ხაკომუნიკაციო საშუალებების შექმნასა და აღდგენაზე გაწეული ხარჯების სახელმწიფოს მიერ სრულ ან ნაწილობრივ ანაზღაურებას.

აგრარული წარმოებისთვის რესურსების სუბსიდირების განხორციელებისთვის აუცილებელია გარკვეული პირობების არსებობა, როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე კონკრეტული რესურსის მწარმოებელ დარგში. კერძოდ, რესურსის მწარმოებელ დარგში სრულყოფილი კონკურენციის პირობები უნდა სრულდებოდეს, რათა სუბსიდირებამ უკუფექტი არ გამოიწვიოს. ამასთანავე, სუბსიდირებული რესურსი მხოლოდ სოფლის მეურნეობისთვის უნდა იყოს სპეციფიკური, რათა არ გაჩნდეს მისი სხვა დარგებში გადინების ეფექტი. ზემოთ აღნიშნული პირობების არსებობისას აგრარული წარმოებისთვის რესურსების სუბსიდირების შედეგი ასახვას პოულობს გაიაფებულ რესურსებსა და მის შემცხებ რესურსებზე მოთხოვნის ზრდაში. პარალელურად გაიზრდება ამ რესურსების მწარმოებელთა მოგება და მისგან წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდება.

სამომხმარებლო სუბსიდიების გამოყენებას განსაკუთრებული გაგრცელება განვითარებად ქვეყნებში აქვს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მსახლეობის მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში ახორციელებს მსახლეობის ცალკეული ჯგუფებისათვის დახმარების გაწევას სასურსათო უზრუნველყოფაში. ასევე გაგრცელებულია სამომხმარებლო სუბსიდირების მეთოდი, რომლის დროსაც ზოგიერთი სურსათის გაყიდვას სახელმწიფო ახორციელებს საბაზროზე დაბალ ფასებში.

აგრარული სექტორის დაბეგრის სისტემა სხვადასხვა ქვეყანაში ცხადია განსხვავებულია. ამასთან საერთო ტენდენცია გადასახადთა სახეების

გამსხვილებისა და გამარტივებისკენაა მიმართული. აგრომეწარმეთა გადასახადების ძირითადი სახეები დღეისთვის წარმოგვიდგება საშემოსავლო, მოგების, ქონების, მ.შ. მიწის და დამატებული ღირებულების გადასახადის სახით. ამასთანავე მათი ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა საერთო ხარჯებში 2,5-დან 6 %-მდეა. თვით გადასახადებში კი 50 %-ზე მეტი მოგებისა და ქონების გადასახადზე მოდის.

დაბეგვრის სისტემაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროპის რიგი ქვეყნების პრაქტიკა, სადაც მეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვის არსებობიდან გამომდინარე გადასახადის გამოთვლის ორი ძირითადი მეთოდაა. თუ მეურნეობაში არ არსებობს საბუღალტრო აღრიცხვა იგი გადასახადს ცალკეული სახეების მიხედვით იხდის (საშემოსავლო, მიწის და ა.შ.), მაგრამ თუ არსებობს საბუღალტრო აღრიცხვა სხვადასხვა კრიტერიუმებიდან (მეურნეობის ზომა, მიწის ხარისხი, პირუტყვის სულადობა და ა.შ.) გამომდინარე გადასახადების მოცულობა შემოსავლების 30-დან 50%-მდე მერყეობს. აშშ-ში კი ფერმერულ მეურნეობაში გადასახადის განაკვეთი მოგების მოცულობაზეა დამოკიდებული. თუ წლიური მოგება 50 ათას დოლარამდეა მოგების გადასახადის განაკვეთია 15 %, მოგების ყოველ დამატებით 25 ათასზე კი - 25%.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დაკრედიტებისას, როგორც წესი მიზნობრივი, ანუ შეღავათიანი დააკრედიტების სისტემას ენიჭება უპირატესობა. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ამ მიზნით შექმნილია სპეციალური დაკრედიტების სისტემები (ხშირად სახელმწიფო). მაგალითად, აშშ-ში ამ საქმეს ძირითადად ემსახურება ფერმერული კრედიტების სისტემა, ფერმერთა საქმეების ადმინისტრაცია და სასაქონლო-საკრედიტო კორპორაცია. მათგან განსაკუთრებული როლი ფერმერული კრედიტების სისტემას ენიჭება. იგი მის დაქვემდებარებაში არსებული 12 რეგიონული ფედერალური მიწის ბანკის, 12 რეგიონული საკრედიტო ბანკის, საწარმოთა კრედიტების ასოციაციისა და ფერმერული კოოპერატივების 13 ბანკის მეშვეობით, უპირატესად ახორციელებს ფედერალურ პროგრამებში ჩართული ცალკეული ფერმებისა და ფერმერული კორპორაციების შეღავათიან დაკრედიტებას. მისი საკრედიტო რესურსები უზარმაზარია და 50-60 მლრდ დოლარს შეადგენს. ფერმერთა საქმეების ადმინისტრაციის სახსრების ნაწილი აშშ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტიდან ფორმირდება და იგი, როგორც ფერმერებს, ასევე სოფლის სხვა მცხოვრებთა შეღავათიან დაკრედიტებას ემსახურება. მისი კრედიტის თანხა 200 ათას დოლარამდეა, 4-5% განაკვეთით, 1-7 წლამდე ვადით. გარანტიის არსებობისას კი სესხის თანხა ორმაგდება.


ასევე გაგრძელებულია საქონლის გირაოს ქვეშ დაკრედიტება ე.წ. „სასაქონლო კრედიტები“. მსგავსი ოპერაცია სასაქონლო-საკრედიტო კორპორაციების მიერ ხორციელდება და ფერმერს საშუალება ეძლევა მიიღოს მოკლევადიანი კრედიტი მომავალი მოსავლის ერთეულზე, რომელიც ამავედროულად გირაოს ფუნქციასაც ასრულებს. როგორც წესი, ასეთი კრედიტი 9 თვის ვადით გამოიყოფა და ფერმერთა საბრუნავი საშუალებების ძირითადი წყაროა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოცდილება და დახვეწილი სისტემა გააჩნიათ ევროკავშირის ქვეყნებს. ამ ქვეყნებში აგრომეწარმეების შეღავათიანი კრედიტებით მომსახურებისთვის შექმნილია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული და იპოთეკური ბანკების ფართო ქსელი. კრედიტების ადვილ ხელმისაწვდომობასთან, მის შეღავათიან განაკვეთთან ერთად, მთავარი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს რომ ცალკეული პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო თავის თავზე იღებს სესხის პროცენტის ნაწილის დაფარვას. აღნიშნულის გარდა ერთიანი აგრარული პოლიტიკის განხორციელების, სასოფლო-სამეურნეო ბაზრების რეგულირების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაწონასწორების მიზნით მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებებს ახორციელებს 1962 წელს შექმნილი ორიენტაციისა

გარანტიების ევროპული ფონდი (FEOGA). ამ ფონდის ერთ-ერთი ნაწილი - გარანტიების ფონდი თავისი სახსრების თითქმის ნახევარს ხარჯავს სურსათზე დაბალი სამომხმარებლო ფასების მხარდაჭერაზე, აგრარული ბაზრების სტაბილიზაციასა და საგარეო ვაჭრობაში პროტექციონიზმის განხორციელებაზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეგლამენტირება (კონტივენტირება).
 აღნიშნული მეთოდი სახელმწიფოებრივი რეგულირების ისეთ ინსტრუმენტთა რანგს განეკუთვნება, რომელიც აგროპროდუქციის წარმოებაზე უშუალო ზემოქმედებით, მიზნად ისახავს სამომხმარებლო მოთხოვნის სავარაუდო მოცულობისა და მიწოდების ისეთ დონეზე შენარჩუნებას, რომ არ მოხდეს არც მწარმოებელთა შემოსავლების და არც ფასების მნიშვნელოვანი რყევა. მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეგლამენტირების ორი ფორმაა აპრობირებული: მოცემული პროდუქციის წარმოებისთვის კვოტის დაწესება და ნათესი ფართობებისა და პირუტყვის სულადობის რეგლამენტირება. რეგლამენტირების ორივე ფორმა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან იღებს სათავეს და მისი განხორციელებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს შინა ბაზარზე ადგილობრივი მწარმოებლისთვის იმპორტიორთან შედარებით მკვეთრად გამოხატული კონკურენტული უპირატესობა. იგი შეიძლება იყოს ბუნებრივი, ან სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკით შექმნილი. ცხადია, წინააღმდეგ შემთხვევაში სამამულო საქონლის ნაცვლად შინა ბაზარს იმპორტი გააჯერებს. სახელმწიფო ამ მიზნით ყველაზე ხშირად მიწოდების შეკვეცის პროგრამაში მოხვედრილი საქონლის იმპორტის შეზღუდას ახორციელებს და იგი განსაკუთრებით ეფექტურია არაელასტიკური მოთხოვნისა და ამავდროულად მწველად შესანახი პროდუქციის შემთხვევაში.

საწარმოო კვოტის დაწესების ზემოქმედება კოორდინაციის საბაზრო მექანიზმზე ეკონომიკურ ლიტერატურაში შემდეგნაირადაა ახსნილი: თავისუფალი კონკურენციისა და სახელმწიფოს მხრიდან პროდუქციის წარმოებაში ჩაურევლობის პირობებში საბაზრო წომასწორობის პარამეტრები P_e და Q_e იქნება. (ნახ. 6.5), მაგრამ თუ სახელმწიფო რეგლამენტირებას გაუკეთებს მოცემული პროდუქციის წარმოებას Q_p დონეზე, ფასებიც P_p -მდე გაიზრდება. განხორციელებულ დონისძიებას სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისთვის ორმაგი დადებითი ეფექტი ექნება. პირველი, პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი OP_eQ_e -დან გაიზრდება QP_pBQ_p -მდე. მეორე, რეგლამენტირების პროგრამაში ჩართული პროდუქციის მწარმოებლები მიიღებენ ხარჯების ეკონომიას Q_pCEQ_e მოცულობით. რაც შეეხება მოცემული პროდუქციის მომხმარებლებს, მათი დანაკარგები დაკავშირებულია ფასების ზრდის კვალობაზე პროდუქციის შესყიდვის შესაძლებლობების შემცირებასთან. საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კვოტირების შედეგად აღნიშნული პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლები გაიზრდება ადგილი ექნება სოციალურ დანაკარგებს, რომელიც შემდეგნაირად აისახება: $(P_pP_eBA - ACE) - (P_pP_eBA - ABE) = -(ACE + ABE)$.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების კვოტირების პროცესის უარყოფითი პარამეტრები აისახება იმაში, რომ იგი საშუალებას აძლევს მაღალი წარმოების ხარჯების მქონე მწარმოებლებს შეინარჩუნონ აღნიშნული პროდუქციის წარმოება და ამით დარგის საერთო ეფექტიანობას ამცირებს. ამასთანავე, მსგავსი პროგრამების განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან მაღალ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია ისიც, რომ აგრარულ წარმოებაში მსგავსი მეთოდებით ჩარვეის აუცილებლობა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის დღის წესრიგში არ დგას და ნაკლებად გამოიყენება.



ნახ. 6.5. წარმოების კოორტირების ზეგავლენა საბაზრო მექანიზმზე

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო საგარეულების რეგლამენტირების პროცესს, იგი წარმოების კოორტირების ანალოგიურად ზღუდავს მიწოდების ზრდას, ამადლებს ფასებსა და შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა შემოსავლებს. მიღებულია, რომ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საგარეულების ბრუნვიდან ამოღებას სტიმულირებას უკეთებს საკომპესაციო გადახდების გამოყენებით.

ამჟამად განსაკუთრებით გავრცელებულია რძისა და რძის პროდუქტების წარმოების როგორც საბაზისო, ასევე საშედეგო მაჩვენებლების რეგლამენტირება. მაგალითად, ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ვეუნებში რძისა და რძის პროდუქტების წარმოების მოცულობა ქვეყნებს შორის რამდენიმე წლით ადრეა განაწილებული და კოორტირებული. კოორტირების დარღვევისთვის გადასახადი კი შეადგენს პროდუქციის ერთეულის ღირებულების 74%-ს. ამ ქვეყნებში ასევე კოორტირებულია დაწესებული შაქრის, რძის, მარცვლეულის, თამბაქოს, ღვინოს წარმოებაზე. XX საუკუნის 30-იან წლებში შვეიცარიაში რძის გაყიდვისთვის სახელმწიფოს სპეციალური ნებართვა იყო საჭირო, შემდგომში კი კონტიგენტირების პრაქტიკა შემოვიდა. რძეზე ფასს ამჟამადც სახელმწიფო აწესებს და ისეთნაირად ახორციელებს კოორტირებას, რომ მოხდეს სარძეო წარმოების კონცენტრაცია, ხოლო კოორტირების დარღვევა ფასის 85 %-ით, ან კოორტირების შემცირებით შეიძლება იქნას სანქცირებული. სახელმწიფოსთან ერთად აღნიშნულ პროცესში ფართოდაა ჩართული რძის მწარმოებელთა ცენტრალური კავშირიც, რომელიც ყველისა და კარაქის წარმოების ანალოგიურ კავშირებთან ერთად კონტროლს უწევს რძის გაყიდვის პროცესს.

კონტიგენტირების ეფექტიანი გამოყენების გვერდით აღნიშნული დონისძიების ცალსახად დახასიათება შეუძლებელია. რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მეთოდთა განსხვავებულ შედეგიანობაზე. მოსალოდნელი მოვლენების სრული წარმოდგენის გარეშე შესაძლო კონტრეფექტიანობაზე. მაგალითად, აშშ-ში ფართოდაა გავრცელებული აგროპროდუქციის წარმოების შეზღუდვისკენ მიმართული პროგრამები, რომელთა მთავარი მახასიათებელია მიზნობრივი ფასების დაწესების პარალელურად ნაშტთან ბრძოლა. ამ პროგრამებით სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან მიწების ამოღება დახვეწილი და მრავალფეროვანი მექანიზმის საშუალებით ხორციელდებოდა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მიერ მიწოდების შეზღუდვის საყოველთაოდ მიღებული ამ მეთოდის ეფექტიანობას მეცნიერები ცალსახად ვერ აფასებენ, რადგანაც მიწების ბრუნვიდან ამოღება, მართალია იწვევდა მიწოდების შემცირებას, მაგრამ მოსალოდნელზე ნაკლები ზომით, რადგანაც ფერმერები

ტექნოლოგიების მხარდი ტემპით სრულყოფისა და ინტენსიფიკაციის ძალზე მაღალი დონის კვალობაზე ბრუნვიდან დაბალმოსავლიან მიწებს იღებდნენ.

ექსპორტ-იმპორტის რეგულირება. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის სასურველი პირობების უზრუნველყოფის კიდევ ერთ მექანიზმს წარმოადგენს ექსპორტ-იმპორტის რეგულირება. აღნიშნული მექანიზმის საშუალებით გარეგანი პროდუქციის წარმოების რეგულირება თვით სამამულო წარმოების პირობებით განისაზღვრება. როდესაც ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს შინა მოთხოვნას მარეგულირებელი ორგანოები შედარებით ლიბერალურ ღონისძიებებს ატარებენ, რათა საგარეო ბაზრებიდან მოიზიდონ პროდუქციის გარეგანი მოცულობა.


მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტ-იმპორტის პირობების საშუალებით პროდუქციის წარმოებაზე ზემოქმედების ხერხები ძალზე განსხვავებულია აბსოლუტურად ლიბერალურიდან დაწყებული, სახელმწიფო მონოპოლით დამთავრებული, ეკონომიკურ ლიტერატურაში ყველაზე ხშირად მაინც შემდეგი ინსტრუმენტები გამოიყოფა: 1) იმპორტზე ტარიფები; 2) შემოტანის კონტიგენტირება; 3) იმპორტის საფასო წახალისება; 4) ექსპორტ-იმპორტზე სახელმწიფო მონოპოლია; 5) იმპორტის აკრძალვა; 6) ექსპორტის სუბვენტირება.

იმპორტზე ტარიფების მეშვეობით აგრარული წარმოების რეგულირებისას აქცენტი შინა მწარმოებლების დაცვაზე კეთდება და იგი წარმოგვიდგება ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტად, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ხელთარი მწარმოებლებისთვის პროტექციონისტული პირობების შექმნა. ეკონომიკურ ლიტერატურაში მის მთავარ მიზნად, ბიუჯეტში სახსრების მოზილვისასთან ერთად, ხშირად შინა ბაზრის იაფი იმპორტისაგან დაცვაა განსაზღვრული და მოქმედების მექანიზმი შემდეგნაირადაა ახსნილი: ნახ. 6.6-ზე წარმოდგენილ გრაფიკზე პროდუქციის შინა მიწოდება S_2 მრუდში პოულობს ასახვას ასეთ შემთხვევაში ბაზრის წონასწორობის პარამეტრებს P_e ფასი და Q_e ხაზონდის მოცულობა წარმოადგენენ. რაც შეეხება მსოფლიო ბაზრის მიწოდებას, იგი აბსოლუტურად ელასტიკურია. ე.ი. გარკვეულ ფასად პროდუქციის მნიშვნელოვანი მოცულობა შეიძლება მიმართულ იქნას შინა ბაზრისკენ და P_e ფასის ქროს ეს მიწოდება S_2 მრუდში აისახება. ასეთ შემთხვევაში იმპორტზე ტარიფის (T) შემოღება ($T=P_1-P_e$) შინა ბაზარზე პროდუქციას გააძვირებს და იმპორტული საქონლის მიწოდება S_{21} დონემდე გადაინაცვლებს, ხოლო შინა წარმოება გაიზრდება X_1 დონემდე, სამაგიეროდ მოხმარება პირიქით, Q_1 -მდე შემცირდება. მოცემული პროდუქციის მწარმოებლებისათვის იმპორტზე T ტარიფის შეღებვით მიღებული ეფექტი $P_e P_1 BA$ - ფიგურის ფართობში აისახება, მომხმარებელთა დანაკარგი კი - $P_e P_1 KM$ ფიგურის ფართობში. გატარებული ღონისძიებების შედეგად, გარდა იმისა, რომ იგი წახალისებს ადგილობრივ მწარმოებლებს შემოსავლების ზრდით, სახელმწიფო მიიღებს შემოსავლებს, რომელიც CBKL მართკუთხედის ფართობის ტოლია.

შემოტანის კონტიგენტირება გულისხმობს ცალკეული სახის პროდუქციის შემოტანაზე კვორტების დაწესებას და ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოები აკონტროლებენ აღნიშნული საქონლის შემოტანის მოცულობას. ისიც იმპორტზე ტარიფების მსგავსად ადგილობრივი წარმოების წახალისებასა და დაცვას უმსახურება და მექანიზმიც იდენტურია, იმ განსხვავებით, რომ სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს რათა საქონლის იმპორტმა განსაზღვრული მრუდობა შეადგინოს. (ნახ.6.6 -ზე $X_2 Q_1$). მაგალითად, იაპონიაში ბრინჯის შეტანაზე კვორტა 1994 წელს იყო შინამოხმარების 4%, 2000 წელს - 8%. კანადაში კვორტა რძის შეტანაზე.

რაც შეეხება იმპორტის საფასო წახალისებას, აღნიშნული ინსტრუმენტი პირიქით, უცხოური პროდუქციის სამამულო ბაზარზე მიღების

სტიმულირებისთვის გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო აღნიშნული საქონლის მოზიდვის მიზნით შინა ბაზარზე ფასების მსოფლიო ბაზრის ფასებზე უფრო მაღალი დონის სტიმულირებას ახორციელებს. ზოგიერთ ქვეყანაში თითოეული კილოგრამი ფქვილის გადამამუშავებაზე გადამამუშავებულ საწარმოებს დოტაციას აძლევენ, რათა მათ საგარეო ბაზრებზე შეძლონ ხორბლის შექმნა. იაპონიაში მსოფლიო ბაზრის ფასთან შედარებით რძეზე ფასი 40 %-ით, ხოლო პროხის ხორცზე 3-ჯერ მეტია.




ნახ. 66. იმპორტის ტარიფისგან მიღებული ეფექტი

რაც ქვეყნებში მიღებულია ექსპორტ-იმპორტზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესება. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში ცალკეული საქონლის შემოტანისა და გატანის უფლება მხოლოდ სახელმწიფოს ენიჭება. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მეთოდი არც თუ ისე ხშირად გამოიყენება მაგალითის სახით შეიძლება კვლავ შევიცარია წარმოვიდგინოთ. სადაც ალკოჰოლის შემოტანაზე, ზეთუნის ზეთისა და ყველის ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლიაა. რაც შეეხება იაპონიას, ამ ქვეყანაში ხორბლის, ქერის, მცენარეული ზეთისა და მშრალი რძის იმპორტს მხოლოდ სახელმწიფო სააგენტოები ახორციელებენ.

იმპორტის აკრძალვა, ცხადია გულისხმობს გარკვეული სახის საქონლის შემოტანის სანქცირებას. ამასთანავე, მას შეიძლება ჰქონდეს როგორც ხანგრძლივადიან პერიოდში აკრძალვის, ასევე შედარებით მოკლევადიანი პერიოდით აკრძალვის (როგორც ზეენ ეს განვიხილეთ ფასების სამფაზიანი სისტემის დროს) ხასიათი. ცნობილია კანადის მაგალითი, სადაც რძის იმპორტი საერთოდ აკრძალულია.

ექსპორტის სუბვენცირება მრავალფეროვან მექანიზმებს ეყრდნობა და გულისხმობს ცალკეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტისადმი სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული დახმარების გაწევას. ამ შემთხვევაში, ჩვენს მიერ განვიხილული, იმპორტის წახალისების უკუპროცესებთან გვაქვს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ექსპორტის მხარდაჭერის მრავალი მეთოდიდან დანერგილი, ყველაზე ფართო გამოყენებას პოულობს ექსპორტის სუბვენცირება საბაჟო განაკვეთთა ინსტრუმენტარებითა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის სუბსიდირებით. ამასთან, თუ პირველ შემთხვევაში ექსპორტის წახალისებისთვის უშუალოდ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას არ აქვს ადგილი, მეორე შემთხვევაში იგი გარკვეულ დანახარჯებს უკავშირდება.

ექსპორტის სუბსიდირებისას, როგორც წესი, სახელმწიფო ახორციელებს ქვეყნიდან გატანილი პროდუქციის თითოეულ ერთეულზე გარკვეული დახმარების გაწევას (ნახ. 6.7). თუ სახელმწიფო ექსპორტზე სუბსიდიის სახით იხდის $ABKM$ ფიგურის ფართობის ტოლფარდ თანხას, ასეთ შემთხვევაში შინა ბაზარზე მოთხოვნა



ნახ. 6.7. ექსპორტის სუბსიდირების ეფექტი

Q_e -დან Q_1 -მდე შემცირდება. სამაგიეროდ, საგარეო ბაზრისთვის მიწოდება X_e -დან X_1 -მდე გაიზარდება. ცხადია, მწარმოებელთა შემოსაველი გაიზარდება (ნაზრდს გვიჩვენებს P_1P_1KL ფიგურის ფართობი). სამაგიეროდ, შინა ბაზარზე მომხმარებლები პროდუქციაზე ფასის ზრდისა და მისი მოცულობის შემცირებისგან, P_1P_1BC ფიგურის ფართობის შესაბამის დანაკარგს დებულობენ. საბოლოოდ, სოციალური ხარჯები ექსპორტის სუბსიდირებაზე შეადგენს $ABC + LKM$. ($P_1P_1KL - ABKM - P_1P_1BC$).

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და ინოვაცია დანერგვისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა. აგრარულ წარმოებაზე ზემოქმედების მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევითა და დანერგვისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სისტემის არსებობა. იგი დღეისთვის ყველა განვითარებული აგრარული სექტორს მჭიდრო ქვეყანაშია წარმოდგენილი და მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრარულ სექტორზე სახელმწიფო ორგანოთა ზემოქმედების ინსტრუმენტებს შორის. მის ძირითად ფორმებს წარმოადგენს: ეკონომიკური სისტემის ადაპტაციისადმი დახმარების გაწევა; სოფლის მეურნეობის საინფორმაციო სისტემის განვითარება; სამეცნიერო გამოკვლევათა შედეგების დანერგვის დანქარების სტიმულირება; გარემო პირობების დაცვის განვითარების სტიმულირება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ინოვაციური პროცესების კვლევისა და დანერგვის სისტემის გარკვეულწილად ცენტრალიზებულია. მრავალი მცირე ფირმა თუ კვლევითი დაწესებულება ემსახურება სამეცნიერო-ტექნიკურ კვლევებს, რომელიც შედგომს აკუმულირდება უფრო მსხვილ ცენტრებში, საიდანაც ხორციელდება ცალკეულ მეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მათი დანერგვა.

ევროპის ქვეყნებში ამ მიზნით ფუნქციონირებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სოციალურ-ეკონომიკური კონსულტაციების პუნქტების სისტემა, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების დანერგვას უზრუნველყოფს. ამასთანავე, ისინი ხშირ შემთხვევაში ბიუჯეტიდან მნიშვნელოვან დანერგვებს დებულობენ. მეცნიერების მიღწევითა და დანერგვისა და პროპაგანდის სისტემა აშშ-ში ბიუჯეტურ დაფინანსებაზეა. მასში დასაქმებულია 21 000 ადამიანი და მოიცავს ფედერალურ და ბორატორიებში კვლევების სახელმწიფო დაფინანსებას და ეროვნული სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკის შენახვას. გამოთვლილია, რომ ამ ქვეყანაში

ყოველწლიურად სიახლეთა დანერგვაზე გაწეული ხარჯები მთლიანი პროდუქციის ღირებულების 1%-ს შეადგენს.

არახელსაყრელ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი რეგიონებისა და მეურნეობებისადმი მხარდაჭერა სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებათა შორის განსაკუთრებულია მისი დიდი დამოკიდებულება ბუნებრივ პირობებზე. ამავდროულად, მასზე მძლავრ ზემოქმედებას ახდენს გეოგრაფიული პირობებიც, რომელიც შეიძლება ეკონომიკური მდგომარეობის გამსაზღვრელად წარმოგვიდგეს. ცხადია, რომ მეურნეობებს შორის წარმოდგენილ მახასიათებლებში განსხვავებულობა ცალკეულ რეგიონებში აგრარული წარმოების არასტაბილურობას იწვევს. ე.ი. ბუნებრივ თუ ეკონომიკურ პირობებში განსხვავებულობა მძლავრ ზემოქმედებას ახდენს აგროპროდუქციის წარმოების მოცულობაზე, აგრომეწარმეთა შემოსავლებზე. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აპრობირებულია სპეციალიზებული მიზნობრივი პროგრამების საშუალებით როგორც ბუნებრივად, ისე ეკონომიკურად არახელსაყრელ პირობებში მყოფი მეურნეობებისადმი მხარდაჭერა.

მიღებულია, რომ ბუნებრივ-ეკონომიკური თვალსაზრისით არახელსაყრელს მიეკუთვნება სუსტად განვითარებული რეგიონები, რომლებშიაც დაბალია ნიადაგის ნაყოფიერება, პირუტყვის სიმჭიდროვე, მაღალია წარმოების ხარჯები. აგრეთვე, მთიან და მთაგორიან რეგიონებში განთავსებული მეურნეობები, ასევე ისეთ რეგიონებში განთავსებული მეურნეობები სადაც სხვა რეგიონებთან შედარებით დაბალია სოფლის მოსახლეობის შემოსავლების დონე, ხოლო ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მიზანშეუწონელია ამ რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაცია.

ევროპის ქვეყნებში დეპრესიული და აგრარული წარმოებისთვის არახელსაყრელი რეგიონების განსაზღვრის პრაქტიკა 1975 წელს შემოვიდა. იგი მოიცავდა მაღალმთიან და დაბალპროდუქტიული მიწების მქონე რეგიონებს. ამ პერიოდისთვის ევროპის თანამეგობრობის ქვეყნების ტერიტორიათა 40 % სწორედ ასეთ რეგიონებს მიეკუთვნებოდა და ძირითადად ამ მიწებზე საკომპენსაციო გადახდები ხორციელდებოდა. ამჟამად ევროპის ქვეყნებში განვითარებული და სუსტად განვითარებული რეგიონების დონეთა გამოთანაბრებისა და არახელსაყრელ ბუნებრივ-ეკონომიკურ ობიექტებში მყოფი მეურნეობებისა და რაიონების მხარდაჭერის მიზნით ფუნქციონირებენ სპეციალური პროგრამები და დეპრესიული რეგიონებისადმი მიეკუთვნების კრიტერიუმები. კერძოდ: - მოსახლეიანობა, ან სასოფლო-სამეურნეო შემოსავლის დონე, ქვეყნის შესაბამისი საშუალო მაჩვენებლის 80 %-ზე ნაკლები;

- საძოვრისა და სათიბის პექტარზე პირუტყვის სიმჭიდროვე 1-ზე ნაკლები;

- მოსახლეობის სიმჭიდროვე ქვეყანაში არსებულზე 50%-ით ნაკლები, ან მოსახლეობის გადინება 0,5%-ზე მეტი წლიურად;

- რაიონის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში აგრარულ სექტორში დასაქმებულთა წილი 15%-ზე მეტი.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისთვის ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნებში არახელსაყრელ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი მეურნეობების მხარდაჭერის პროგრამებმა ფერმების 30%-ზე მეტი მოიცვა. იგი შეეხო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 35%-მდე, მარცვლოვნების 20%-ზე მეტს, მსხვილი რქოსანი პირუტყვის 30%-მდე და ცხვრის 50%-ზე მეტს. ამავე პერიოდში, მარტო ცალკე აღებულ გერმანიაში არახელსაყრელ პირობებში ფუნქციონირებდა მეურნეობებად მთელი ფერმების 50%-ზე მეტი ითვლებოდა და ისინი წელიწადში საშუალოდ 2000 მარკის სხვადასხვა სახის დახმარებებს ღებულობდნენ.

არახელსაყრელ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში ფუნქციონირებადი მეურნეობებისადმი დახმარების სპეციალიზებული მიზნობრივი პროგრამები

ძირითადად შემდეგ ღონისძიებებს გულისხმობს: 1) არახელსაყრელ პირობებში მეურნეობის გაძლიერების სახელმწიფოს ფულადი დახმარება;

2) სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოდერნიზებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფი დოტაცია;

3) საკვებწარმოების განვითარების სპეციალური პროექტების მხარდაჭერა.

ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ცალკეული ქვეყნები თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე ხშირად მიმართავენ პირუტყვის სუდადობაზე და ფართობის ერთეულზე დოტაციებს. ცხადია, რომ საქართველოსთვის არახელსაყრელ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი მეურნეობებისადმი მხარდაჭერის ეფექტიანი სისტემის ფორმირება აქტუალურია და იგი მთელი რიგი ამოცანებითაა განპირობებული, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში ცალკეულ რეგიონებს შორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრება.

სოციალური პირობების რეგულირება სახელმწიფოს მიერ აღნიშნულ კრილში განხორციელებულ მხარდაჭერას ხშირად უწოდებენ ღონისძიებებს, რომელიც არ არის მიმართული სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის ზრდისკენ. იგი მოიცავს სოფლების განვითარების, არასახოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა ზრდის ღონისძიებებს. სახელმწიფო ახორციელებს პროგრამათა ფართო სექტორს, რომელიც მოწოდებულია სასოფლო არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ. აშშ-ში მხოლოდ სოფლის მეურნეობის ხაზით ამ მიმართულებით ყოველწლიურად 1,5 მლრდ დოლარზე მეტი იხარჯება და იგი მრავალფეროვან ფულად, თუ ტექნიკურ დახმარებებში პოულობს ასახვას. ევროკავშირის ქვეყნებში აღნიშნულ მიზანს ემსახურება ჩვენს მიერ განხილული გარანტიებისა და ორიენტაციის ევროპული ფონდის (EFGO) ერთ-ერთი ნაწილი - ორიენტაციის ფონდი, რომელიც ახორციელებს ერთიან პოლიტიკას სოფლების სოციალური განვითარების მიზნით.

კითხვები და ამოცანები:

1. დაახასიათეთ ბაზრის ფიასკოს არსი. რა სიტუაციებს გულისხმობს იგი?
2. დაახასიათეთ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები
3. დაახასიათეთ აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების ობიექტური პირობების განმსაზღვრელი ფაქტორები
4. რა მიზეზები განსაზღვრავენ ვარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობას?
5. აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების რომელ მეთოდებს იცნობთ? თქვენი აზრით რომელია ყველაზე აქტუალური საქართველოსთვის? რატომ?
6. საქონელზე მოთხოვნისა და მიწოდების ფუნქციებია: $Q_d = 600 - 25P$; $Q_s = 100 - 100P$. დაახასიათეთ სიტუაცია, როცა ამ საქონელზე მთავრობა ფასად 5 დარს დააწესებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასარია რ., მესხია ი. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. თბილისი, 1996.
2. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ. პოსტინდუსტრიული ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001.
3. ბიწაძე ბ., ლიპარტია ზ., ციმინტია კ. მიკროეკონომიკა. თბილისი, 2004.
4. გოგოხია რ. საბაზრო ეკონომიკა. თბილისი, 1996.
5. გველესიანი მ. ეკონომიკისი. თბილისი, 2000.
6. კაკულია რ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები. თბილისი, 2003.
7. კვარაცხელია დ. გლობალიზაცია, სუვერენული სახელმწიფო, ეროვნული ეკონომიკა. თბილისი, 2003.
8. მაკონელი კ., ბრიუ ს. ეკონომიკისი. I და II ტ. თბილისი, 2001.
9. მოდებაძე ნ., გარაყანიძე ზ. სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა საქართველოში. თბილისი, 1998.
10. სვირავა გ. მიკროეკონომიკა. თბილისი, 2004.
11. ქარქაშაძე ნ. მსოფლიო სოფლის მეურნეობა. თბილისი, 1993.
12. ჩხეიძე თ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, 2000.
13. ციმინტია კ. შინამეურნეობების როლი საბაზრო ურთიერთობათა განვითარებაში. თბილისი, 2003.
14. შენგელია თ. მაკროეკონომიკური ანალიზის ონტოლოგია (კლასიკოსებიდან კეინსიანელებისაკენ). თბილისი, 2001.
15. ღურწკაია კ. ეკონომიკური თეორია. თბილისი, 1997.
16. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. I-III ტ. თბილისი, 1996-2002.
17. ჭითანავა ნ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დიაგნოსტიკის შუქჩრდილები. ე. „ბიზნესი და კანონმდებლობა“. №8, 2004.
18. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები. თბილისი, 1993.
19. Кейнс Дж.М. Аграрная революция и продовольственный вопрос в Европе. Петроград, 1924.
20. Рикардо Д. Сочинения Давида Рикардо. СПб, 1882.
21. Рикардо Д. Принципы политической экономии. Ленинград, 1924.
22. Попов И.А. Экономика сельского хозяйства. Москва, 2000.
23. Серова Е.В. Аграрная экономика. Москва, 1999.
24. Трейси М. Сельское хозяйство и продовольствие в экономике развитых стран. Введение в теорию, практику и политику. СПб, 1995.
25. Тюнен И.Г. Изолированное государство. Москва, 1926.
26. Тюрго А. Избранные экономические произведения. Москва, 1961.
27. Шакиров Ф.К. Организация производства на предприятиях АПК. Москва, 2003.
28. Adjustment in OECD Agriculture: Reforming Farmaland Policies. Pariz, 1998.
29. Gardner B. The Economics of Agricultural Policies. N.Y. 1987.
30. McCalla A. F., Josling T.E. Agricultural Policies and World Markets. N.Y.-L. 1985.
31. Jonson D.G. World Agriculture in Disarray. L. Macmillan Press Ltd., 1991.
32. Tracy M. Agricultural Policy in the European Union and Other Market Economies. Brussels: EU, 1996.

Kakhaber Tsimintia

Economics of Agrarian Sector

Кахабер Циминтия

Экономика Аграрного Сектора

ხელმოწერილია დასაბუჯდად
საბუჯდი ქაღალდი 60X84 1/16
პირობითი ნაბუჯდი თაბახი

შეკვეთა №25

ტირაჟი 200

ფასი სახელშეკრულებო